



ქართული
ენობის
სამეცნიერო
სამსახური

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

9 772298 1095006

1134
2023

ს რ ი ჯ ი

ფასი 3 ლარი



2023
2 (310)

ბაქაუ ზაანიშვილი
სხვა განზომილებები

სარჩევი

პერსონა	1	ნანა კობაიძე მედეა ზაალიშვილის შეპყრობილობა და სხვა განზომილებები
	8	მედეა ზაალიშვილი ლექსები
	10	მედეა ზაალიშვილი მოულოდნელი წუთების ნათელი
	13	ნესტან ნენე კვინიკაძე მოშინაურებული თავის გულისცემა და წიგნები
	15	ეზრა პაუნდი ლექსები ინგლისურიდან თარგმნა მედეა ზაალიშვილმა
	20	ლიზა ძაგნიძე მედეა ზაალიშვილის "კელტური მიმწუხრი"
	23	დავით ცარელაშვილი სული რომ ამომდიოდა ანუ მოდერნისტული ეპოსი
თარგმანი	27	მარგარეტ ეტვედი ქვრივები ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
	31	რონ პეჯეტი ლექსები ინგლისურიდან თარგმნა მიხეილ ციხელაშვილმა
პროზა	36	ირმა ტაველიძე ძველი და მძიმე
პოეზია	43	ოტტო ხვედელიძე ლექსები
	46	მედეა იმერლიშვილი ლექსები
კრიტიკა	49	ვალერი ოთხოზორია ვაჟა და მოდერნულობა

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები

მალხაზ ხარბედია
ლექსო დორეული
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალღობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მალღაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.



არილი - დასასვენებელი სინამდობა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარილი

ხალხური



ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

AriliMagazine

გამოდის 1993 წლიდან

© ყურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ყურნალი გამოდის
საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის
სამინისტროს ფინანსური
მხარდაჭერით



ნანა კობაიძე

მედეა ზაალიშვილის შეპყრობილობა და სხვა განზომილებები



არ ვიცი, წაგიკითხავთ თუ არა მედეა ზაალიშვილის “ცაში გამოკიდებული სახლი” - ავტობიოგრაფიული ჩანაწერები, სადაც თავის რთულ გზაზე, მთარგმნელობით გამოცდილებასა და იმ ადამიანებზე გვიამბობს, რომელთაც მნიშვნელოვნად განსაზღვრეს მისი ცხოვრება. ამ წიგნის შემდეგ ძნელია წერო ქალზე, საყვარელ საქმეს ყველაფერი რომ მიუძღვნა. მით უფრო, თუ გავიხსენებთ მის მიერ გადმოქართულებულ პოეტთა რაოდენობას: შექსპირიდან - ფროსტის, იეიტსის, პაუნდისა და ელიოტის ჩათვლით. პოეზიას ვამბობ, თუმცა, გარკვეულწილად, პროზაც იგულისხმება - პირველ რიგში, ფოლკნერის “სული რომ ამომდიოდა”. მოთხრობებსაც გატაცებით თარგმნის, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, შინაგანად მაინც ლექსის მთარგმნელია, ამიტომ მისი შემოქმედებითი პორტრეტის მთავარი ღერძი სწორედ პოეზია იქნება.

როდესაც 2017 წელს გამოცემულ თარგმანების კრებულს ვკითხულობდი, იქ თავმოყრილ ავტორთა ჟანრობრივმა და სტილისტურმა დიპაზონმა გამაკვირვა. ეს მისი მდიდარი პროფესიული არქივის ერთი მონაკვეთია: მე-20 საუკუნის პოეტურ თარგმანთა ნაწილი ბოლო წლების ლიტერატურულ პერიოდიკაში გამოქვეყნდა, ნაწილი - დაბეჭდვას ელო-

დება. ამ თარგმანებს, მღელვარე დღეებს, მუშაობაში დათენებულ ღამეებს, საყვარელ ავტორებს, რომლებიც თარგმნა და რომელთა თარგმნასაც კიდევ აპირებს, საკუთარ მოგონებებშიც ეხება. თუმცა პირისპირ საუბარი სხვა გამოწვევაა. ისე უბრალოდ ჰყვება შექსპირის, შელის, ბერნსის, ბაირონის, ელიოტის, ფოლკნერისა და სხვათა თარგმა-



ნებზე, ვითომც არაფერი, ვითომც ხიდან ხეზე ჩიტი გადაფრინდა. ყველაზე რთული ამ ისტორიების ტექსტად ქცევაა, ისეთ ტექსტად, თარგმანით შეპყრობილ მათ მთხრობელს რომ შეეფერება. შეპყრობილობა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ზუსტად ასახავს იმ მდგომარეობას, რაც 91 წლის ასაკში ახალი მიზნების მონიშვნის ძალას აძლევს ქალბატონ მედეას.

ცაში გამოკიდებული სახლის ამბები

როგორც წესი, ადამიანები მთარგმნელები გააზრებულად, ზრდასრულობაში ხდებიან, მისი მთარგმნელობითი გზა კი ძალიან ადრე, მონაფეობისას იწყება. დიდწილად ეს მამის დამსახურებაა. მან ბავშვობიდან შეაყვარა პოეზია. *“პატარა ვიყავი, ლექსებს რომ ვწერდი. მეშიდე კლასში ბაირონი ვთარგმნე: ის ლექსი შევარჩიე, რომელიც თავად მომწონდა - “გნახე, სტიროდი”. ნიკო ყიასაშვილმა, რომელიც მაშინ ჩვენი მხატვრული წრის ხელმძღვანელი იყო, რამდენიმე ადგილის შესწორება მირჩია. ერთი კვირის შემდეგ ისევ მივუტანე, ოღონდ არაფერი შემიცვლია. ნაიკითხა და, - ახლა კარგიაო, - მითხრა”.*

ლიმილით იხსენებს ვახტანგ ჭელიძესაც, რომელიც მაშინდელ ქალთა მე-6 გიმნაზიაში ინგლისურ ენას ასწავლიდა. მისგან ბევრი რამ შეითვისა, თუმცა მცირე “უთანხმოებაც” ჰქონდათ: *“ინგლისური კი მიყვარდა, მაგრამ პოეზია უფრო მაინტერესებდა. ერთხელაც მერხში მიდევს გალაკტიონის ლექსები და გამაზრებული ვკითხულობ, ის კიდევ რაღაცას გვიხსნიდა. ვერ გავიგე, როგორ მომეპარა. გამოიღო წიგნი, დახურა და ხელზე დაირტყა - ამ წიგნს ველარ ელირსებოო. რომ არ ვუსმენდი, ეწყინა. დედაჩემი ბიბლიოთეკის გამგე იყო, წიგნები იქიდან გამოიქონდა. მერე დიდხანს დავდევი ბატონ ვახტანგს - დამიბრუნეთ და აღარასოდეს ნავიკითხავ თქვენს გაკვეთილებზე-მეთქი. აღარ დამიბრუნა”.*

ეს და კიდევ ბევრი ისტორია გასული საუკუნის გამორჩეულ მთარგმნელებთან მისი ურთიერთობის შესახებ კარგად მახსოვს “ცაში გამოკიდებული სახლიდან”, მაგრამ მედეა ზაალიშვილის თხრობას სულ სხვა ხიბლი აქვს. ამ თაობის ადამიანები სხვაგვარად მეტყველებენ, სხვა დროის სურნელი მოაქვთ, რაც მის ნაწერებშიც ცხადად იგრძნობა. ერთხელ თემურ კობახიძეს უთქვამს, - რად უნდა კითხვა, ვისია თარგმანი: სიტყვა “ზარდახშაა” გამოყენებული, ესე იგი მედეა ზაალიშვილისააო.

სიტყვებთან ყოველთვის ფრთხილობდა, ცოცხალი არსებასავით ეპყრობოდა მათ, ამიტომაც ვერ გულობდა თარგმანებში სკაბრეზსა და ბილწისიტყვაობას. ლიტერატურა ლამაზი მიყვარსო, - დღემდე ასე ფიქრობს და ვერავითარი თანამედროვე ტენდენცია ვერ შეაცვლევინებს აზრს. მართალია, შედარებით “უხეშ” ტექსტებზეც მოუწია მუშაობა, მაგრამ ფრაზებს იქაც საგულდაგულოდ არჩევდა. *“ტომას ვულფს აქვს მოთხრობა - “მკვდარმაც კი იცის ბრუკლინი”, რომელიც უხამსი სიტყვებით*

იწყება. შევეცადე, ცოტა შემერბილებინა, თუმცა დედნის განწყობა შენარჩუნებულია. მთარგმნელის გადასაწყვეტია, რა ფორმით მიაწოდებს მკითხველს ორიგინალში არსებულ უცნებურ გამონათქვამს. შესაძლოა, პირდაპირ თარგმნილი ბევრს მოეწონოს, მაგრამ ხომ არის ხალხი, ვინც შეიძლება შემფოთდეს და ამის გამო აღარ მივიდეს ტექსტთან? ამ შემთხვევაში, მე მათზე ვფიქრობდი”.

ტაბუდადებული შექსპირი

მის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდნენ ადამიანები, პროფესიონალები, რომლებიც სხვადასხვა ეტაპზე უკვალავდნენ გზას. ერთ-ერთი მათგანი ცნობილი მთარგმნელი, გივი გაჩეჩილაძეა. სწორედ მან შენიშნა პირველ კურსზე ნიჭიერი სტუდენტი და სთხოვა, პერსი ბიში შელის ლექსები, რომლებიც ძალიან უყვარდა და ბლომდაც ჰქონდა ნათარგმნი, მწერალთა კავშირში, ახალგაზრდა მთარგმნელთა შეკრებაზე წარედგინა. საყვარელი ტექსტის, “ცვალებადობის” კითხვისას წინა რიგებში დაინახა ზვიად გამსახურდია, რომელიც თავადაც არაჩვეულებრივად თარგმნიდა. შეხვედრის ბოლოს ზვიადმა თავისი მოსაზრება გამოთქვა: არ მოველოდი და ძალიან მომეწონა მედეა ზაალიშვილის თარგმანები, განსაკუთრებით, “ცვალებადობაო.” მისმა შეფასებამ ფრთები შეასხა. მოგვიანებით შელის რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა “ლიტერატურულ გაზეთში”, რომლის რედაქტორი იოსებ ნონეშვილი გახლდათ. ეს იყო მისი ერთ-ერთი პირველი მთარგმნელობითი პუბლიკაცია.

გივი გაჩეჩილაძემ მიიყვანა შექსპირთანაც: სწორედ მან სთხოვა “ტიტუს ანდრონიკუსის” თარგმნა. ივანე მაჩაბლის შემდეგ შექსპირის ტრაგედიებთან მიკარება წარმოუდგენლად მიაჩნდა, თუმცა “ტიტუს ანდრონიკუსზე” მუშაობას, რომელიც ქართულ ენაზე არ გვქონდა, დათანხმდა.

ლიმიტრი ერისთავის შავ-თეთრი ილუსტრაციებით გაფორმებული პიესა შექსპირის ხუთტომეულის პირველ ტომში შევიდა. რედაქტორი ნიკო ყიასაშვილი გახლდათ (გივი გაჩეჩილაძე ვერ მოესწრო მის დაბეჭდვას). ამის შემდეგ ბატონმა ნიკომ სთხოვა, “ვენერა და ადონისი” ეთარგმნა. ერთი პირობა თავს იკავებდა - შექსპირი მისთვის დაუძლეველ ტაბუდ დარჩა, მაგრამ ნიკო ყიასაშვილმა დაიყოლია (“თარგმნე და უკვდავი გახდებიო” - ეხუმრებოდა). საცდელად პოემის მოზრდილი ნაწილი მოამზადა. შექსპირის კაბინეტში ტექსტის კითხვას თამაზ ჩხენკელიც ესწრებოდა. მოეწონათ და გაგრძელება გადაწყდა. “ტიტუს ანდრონიკუსისგან” განსხვავებით, სადაც მეტი სიმძაფრისა და ემოციის მიღწევას ცდილობდა, “ვენერასა და ადონისის” შემთხვევაში, რომელშიც წამყვანი თემა ვნება და სიყვარულია, მთავარი იყო პოემის ლირიკული ხასიათის შენარჩუნება.

“ტრაგედიას მეტი სიმძაფრე სჭირდება, ამიტომ “ტიტუს ანდრონიკუსის” თარგმნისას ისეთ სიტყვებს ვარჩევდი, რომ ემოციური და შთამბეჭდავი ყოფილიყო. ამისთვის ბევრი ვიმუშავე. “ვე-



ნერა და ადონისი” სასიყვარულო ამბავია და უფრო ლირიკული ხასიათი უნდა ჰქონოდა. საკმაოდ რთული იყო ვენერას ვნებების გადმოცემა: ორიგინალში პირდაპირ ძალადობს, მძაფრი როლი აქვს. ადონისი წინააღმდეგობას უწევს და ვერც უწევს. ფინალი ტრაგიკულია: ადონისს გარეული ტახი კლავს და მისი სისხლის წვეთებზე ლამაზი ყვავილები იზრდება. ეს ყველაფერი წარმოვიდგინე და რამდენადაც ლირიკული შეგრძნებები და რითმის აღქმა მქონდა, შევეცადე, კარგად მეთარგმნა”. არაჩვეულებრივად თარგმნა. ამ ჟანრის დამფასებლებისა და პოეზიის გურმანებისთვის მისი კითხვა ერთი სიამოვნებაა.

სხვათა შორის, შექსპირის სიცოცხლეში ეს პოემა, რომელიც შავი ჭირის მძვინვარებისას დაიწერა, ძალზე პოპულარული ყოფილა და არაერთგზის დაუბეჭდავთ. ტექსტი აწყობილია იამბური პენტამეტრით, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მანამდეც იყენებდნენ, ამ ნაწარმოების შემდეგ “ვენერასა და ადონისის სტრიქონადაც” მოიხსენიებოდა. მედია ზაალიშვილის თარგმანი ძალიან კარგად გვაგრძნობინებს მის ძალას. როგორც თავად ამბობს, მხოლოდ ტექსტის შინაგან მუსიკალობას ეყრდნობა - ქართული თარგმანის რიტმს ორიგინალის მელოდია განსაზღვრავს.

“მე არასოდეს ვითვლი მარცვლებს - სმენით ვთარგმნი. ორიგინალის მელოდიას ვუსმენ და ცვდილობ, იგივე მელოდია შევინარჩუნო ქართულადაც. თუ ვხედავ, რომ თარგმანი არ უღერს დედნის ჰანგზე, აღარ ვავრძელებ მუშაობას”. ამიტომაც, რომ მის თარგმანებში ყველა ავტორს საკუთარი ხმა და ინტონაცია აქვს: - **ამ ხმის პოვნა აუცილებელია. თუ ყველაფერი შენებურად წერე და თარგმნე, არაფერი გამოვა. ის ხმა უნდა დაიჭირო, ის ტონალობა, რასაც თავად ლექსი გკარნახობს, და თუ რაღაც წავიკითხავს და იცი მასზე - პოეტის ბუნებაც.”**

ისე მოხდა, რომ “ვენერა და ადონისი” ქართველ მკითხველთან მოგვიანებით მივიდა: ნიკო ყიასაშვილი გარდაიცვალა და შექსპირის ხუთტომეულიდან მხოლოდ სამი ტომის გამოცემა მოხერხდა. საბოლოოდ პოემა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა. თხელი, ლამაზი, უხვად ილუსტრირებული ნიგნი გამოვიდა. მის წარდგენას “ლიტერატურულ კაფეში” ბევრი კარგი მთარგმნელი და ლიტერატორი ესწრებოდა, თუმცა მეხსიერებაში ერთი ეპიზოდი შემორჩა: **“უცებ გავიხედე და დავინახე დავით წერეთლიანი და მანანა ლარიბაშვილი. გადაეშალათ ჩემი ნიგნი და ჩაპყურებდნენ. ძალიან შემეშინდა მათი შეფასების, განსაკუთრებით დავითის, რომელიც ბრწყინვალე მთარგმნელი, პოეტი და ადამიანი გახლდათ. მერე აღმოჩნდა, რომ მოსწონებია. იმავე წელს პრემია “საბაზე” წარგვაადგინეს: მე თარგმანების კრებულით, სადაც “ვენერა და ადონისიც” შევიდა, დავით წერეთლიანი - “ფაუსტიო.” რასაკვირველია, “ფაუსტმა” გაიმარჯვა. ძალიან გამიხარდა, რადგან გოეთეს თარგმნით მან უდიდესი შრომა გასწია.”**

ნიკო ყიასაშვილს კიდევ ერთი შექსპირული გამოცდილება უკავშირდება: წლების წინ ლონდონიდან გამოუგზავნეს შექსპირის ახლად აღმოჩენილი ლექსი, რომელიც საკმაოდ ვრცელი იყო და უცნობ ქალბატონს ეძღვნებოდა. ორიგინალი უსათაურო გახლდათ და “დიდი ხნის დაკარგული სტრიქონები” დაარქვეს სიმბოლურად. მისი თარგმნა ბატონ ნიკოს ძალიან უნდოდა და მედია ზაალიშვილმა თამარ ჯაფარიძესთან ერთად გადმოაქართულა. ისე მოხდა, რომ თარგმანის ხელნაწერი არც მას დარჩა და არც ქალბატონ თამარს. არსებობს მხოლოდ 90-იანების ბოლოს “ლიტერატურულ საქართველოში” დაბეჭდილი ეგზემპლარები, რომელთა მოძიებას არქივში გვემავს.

ერთადერთი, რაც შექსპირის შემოქმედებიდან საკუთარი სურვილით თარგმნა, იყო ცნობილი 66-ე სონეტი, რომელიც პოეზიის მთარგმნელთა ერთგვარი საჯილდაო ქვაა. ეს ოპუსი დანარჩენებისაგან განსხვავდება და აინტერესებდა, როგორ გამოუვიდოდა - ფაქტობრივად, საკუთარ თავს მოუნყო გამოცდა. თარგმნა და დადო, არსად დაუბეჭდავს. სულ რამდენიმე წლის წინ გამოამზეურა, როდესაც გამომცემლობა “ინტელექტმა” 66-ე სონეტის ქართული თარგმანები ერთ კრებულად გამოსცა.

უჯრამი შენახული თარგმანები

უჯრამი კიდევ ბევრი თარგმანი აქვს შემონახული. ხანდახან ისეთ ავტორს წააწყდება ხოლმე, აღარც კი ახსოვს, როდის თარგმნა. ცოტა ხნის წინ ამერიკელი მოდერნისტის, უოლეს სტივენსის 10 ლექსი იპოვა. **“ძალიან კარგი პოეტია, უცნაურზე უცნაური. წლების წინ ბუკინისტებში აღმოვაჩინე. წავიკითხე და გამაკვირვა, არავის ჰგავდა. არ ვიცი, საიდან მოაქვს ეს იდეები, სახეები, როგორც, მაგალითად, ლექსში - “პალმა გონების კიდეზე”, რომლის ფინალში ყველა მკითხველი თავისებურად აღიქვამს ამ ხატს: თითქოს რაღაც ამოტივტივდა, გონება მიიღია და მერე გამოჩნდა პალმა. ერთგვარი ფანტაზიაა. მსგავსი საოცრებები ბევრი აქვს. ძალიან რთულია მისი თარგმნა. პულიცერის და რობერტ ფროსტის პრემიების ლაურეატია. მინდა 10 ლექსიც დავამატო და გამოვაქვეყნო”.**

კიდევ ერთი გამორჩეული ამერიკელი პოეტი, სტივენსის თანამედროვე, პულიცერის პრემიის ოთხგზის ლაურეატი - რობერტ ფროსტი გასულ წელს თარგმნა. სხვათა შორის, ერთ-ერთ ინტერვიუში, რომელიც რამდენიმე წლის წინ “არილში” დაიბეჭდა, ფროსტს უოლეს სტივენსის შესახებ ეკითხებიან, ხომ არ გრძნობს მის შემოქმედებასთან ერთგვარ ნათესაობას, რაზეც ის პასუხობს:

“არა. ერთხელ სტივენსმა მითხრა: “შენ საკუთარი თემატიკა გაქვს”; მე კი ვუპასუხე, “შენ კი - სისულელეებზე წერ”. როდესაც თავისი მომდევნო ნიგნი გამომიგზავნა, ზედ წააწერა: “კვლავ სისულელებზე ვწერ”. ესე იგი, ჩემი ნათქვამი არ სწყენია! მასთან შემოქმედებით ნათესაობას არ ვგრძნობ. მეგობრები ვიყავით. აი, ასე, შორიდან” (თარგმნა თამარ ლომიძემ).

რაც შეეხება შეფასების კრიტერიუმებს, ფროსტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია განაფულობა, ოსტატობა და ასოციაციები, რასაც ნიჭთან ერთად წერტანაც სჭირდება. თავად ფროსტის პოეზია სადაა და გამჭვირვალე, წყალივით მსუბუქად მიედინება, მაგრამ უცებ რალაცას იტყვის მნიშვნელოვანს, დაგაფიქრებს და გონებაში ჩაგებეჭდება. მის ლექსებში, როგორც აღნიშნავენ, ბუნება ხშირად ხვდება ფილოსოფიას.

- "სულ ხესთან არის, ტყესთან არის, ნამდვილი ბუნების შვილია, მაგრამ უბრალოდ კი არ აღწერს ამ ყველაფერს, რალაცას უკავშირებს: ხან ზეცაშია გამოკიდებული, ხან ღრუბლებში, თითქოს აღმაფრენა აქვს. მგონია, სადაცაა გაფრინდება, რომლებზეც წერს, იმ ჩიტებთან ერთად. ამასთან ერთად, ფილოსოფოსიც არის: თითქოს ჩვეულებრივ რამეს ამბობს, სადას, მარტივს, მაგრამ ამავე დროს, ღირებულს და ღრმას. ძალიან ლამაზად გადმოსცემს სათქმელს და არაჩვეულებრივი შედარებები აქვს. "მთვარის თავისუფლება" მახსენდება, სადაც ხეებში გამოკრთალ მთვარეს ქალწულის თმაზე დაბნეულ სამკაულს ადარებს. შევეცადე, ეს ყველაფერი ქართულადაც შეძლებისდაგვარად ლამაზად გადმომეტანა:

*თვალი მოვკარი ახალ მთვარეს ტოტებში ხეთა,
ფერმის ირგვლივ რომ აზიდულან ღამეულ
ნისლში*

*თითქოს ასულის დალალებში სამკაულს ვხედავ,
და შევიგრძენი სრულყოფილი მშვენება მისი."*

სხვა განზომილება

რამდენიმე წლის წინ მის ცხოვრებაში რთული პერიოდი დაიწყო - თვალისჩინი დააკლდა. კითხვას ვეღარ ახერხებს, თუმცა შემართება ძველებური დარჩა. თანაშემწესთან ერთად მუშაობს: ის უკითხავს, თავად თარგმნის. ეს კიდევ სხვა ეტაპია - ლექსის სმენით აღქმის ეტაპი, რაც, ფაქტობრივად, ერთი განზომილებიდან მეორეში გადასვლას უტოლდება. პოეზიის მთარგმნელისთვის აუდიალური უნარები ისედაც აუცილებელია, ამ შემთხვევაში კი "პოეტური ყურის" მნიშვნელობა ორმაგდება. ურთულესი შრომაა, თუმცა უამისოდ ცხოვრება გაუჭირდებოდა. ასე, სმენით თარგმნა ფოლკნერის ბოლოდროინდელი მოთხრობები, ფროსტისა და პაუნდის ლექსები.

პაუნდზე მუშაობით დიდი ხნის ოცნება აისრულა, თუმცა იმის გამო, რომ ვრცელი პოემების ზეპირად თარგმნა გაუჭირდებოდა, შედარებით მომცრო ლექსებს ირჩევდა. ამ შემთხვევაში ზომას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ნებისმიერი ტექსტი მეტაფორებითაა სავსე და სიღრმისეული წვდომა სჭირდება. საკმაოდ მძიმე ბიოგრაფიის მქონე პოეტი პოეზიასაც თავის თარგმზე ჭრიდა და ირგებდა. მისეული სახე-გამოცანები რთული აღსაქმელია ინგლისურენოვანი მკითხველისთვისაც. სხვა ენაზე ადეკვატურად გადატანა კი ისე, რომ შენარჩუნებული იყოს მთავარი ძარღვი, დიდ ოსტატობას მოითხოვს მთარგმნელისგან.

"მინდა, ბევრი ვიფიქრო იმაზე, რასაც ვთარგმნი. გააზრება ცალკე პროცესია: ვაკითხებ, ვა-

კეთებთ პირდაპირ პნკარედს. მერე ისევ ინგლისურად ვაკითხებ, რომ მელოდია ყურში ჩამიჯდება. ამის შემდეგ ვცდილობ, პნკარედები გავრითმოდ და მივუსადაგო მელოდია. ბოლოს რალაც გამოდის. პაუნდი მთლიანად ზეპირად ვთარგმნი. მისი პოეზია გაჯერებულია მეტაფორებით, რომელთა აღქმაც და თარგმნაც თანაბრად რთულია. ის იყენებს დატვირთულ პოეტურ სახეებს, რომლებიც უნდა ამოიცნო და ისე გადმოიტანო. შენც მისებრ უცნაურად უნდა გქონდეს მომართული გონება. სხვანაირად ლექსის არსი დაიკარგება და მკითხველისთვის გაუგებარი დარჩება. მაგრამ მკითხველსაც გააჩნია: უნდა იგრძნო. პოეზია თუ ვერ იგრძენი, არაფერი გამოგივა. მთარგმნელი უძლურია, თუ კარგი მკითხველი არ შეხვდა".

ჯერჯერობით 20-მდე ლექსი გადმოაქართულა. ვიმედოვნებთ, გაგრძელება იქნება.

მინდა ვიცნობდე მისტერ ელიოტს

ელიოტზე მუშაობა წლების წინ დაიწყო და არაერთი ლექსი თარგმნა. რამდენიმე გამორჩეულად უყვარს: "უკვდავების ჩურჩული", "აღფრედ პრუფროკის სამიჯნურო სიმღერა," "ბერბანქი ბედეკერით", "ჰიპოპოტამი", "სავარჯიშო ხუთი თითისათვის"... რასაკვირველია, "უნაყოფო მინა".

"უნაყოფო მინა" (1922 წ.) ელიოტის შემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური ნაწარმოებია, რომელმაც ჯოსისის "ულისესთან" ერთად გასული საუკუნის მოდერნისტული ლიტერატურის ძირითადი გეზი განსაზღვრა. ეს არის განსხვავებული ნაწილებისგან შეკრული პოემა, რომელშიც ლიტერატურის ისტორიაში არსებული არაერთი თემა აისახა: ირიბად, ალევორიულად, როგორც ამ ტალღის ავტორებს უყვარდათ. ტომას სტერნზ ელიოტს, მისი თანამოაზრის, ეზრა პაუნდის მსგავსად, მიაჩნდა, რომ "თანამედროვე პოეზია რთული უნდა იყოს". როგორც პოეტის მკვლევარი, თემურ კობახიძე წერს, ამ მოთხოვნას ელიოტი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ შემოქმედებას უყენებდა. "მის პოეზიას დინჯი და ჩამწვდომი კითხვა უყვარს, თითქოს "უმნიშვნელო" დეტალებზე დაკვირვება, მინიშნებული წყაროების მიგნება, მხატვრული აზრის აღქმა, როგორც ემოციის ან, თუ გნებავთ, როგორც მელოდიისა (ჯერ კიდევ ა. ა. რიჩარდზი "იდეების მუსიკად" მოიხსენიებდა "უნაყოფო მიწას"). ყოველივე ეს განსაკუთრებულ განცდითა და ინტელექტუალურ ეფექტს ქმნის, რომელიც, როგორც წესი, "დაგვიანებულ" ხასიათს ატარებს - მკითხველი მას მხოლოდ უკვე ტექსტიდან მოწყვეტით, წაკითხულის შესახებ ფიქრის, მისი გახსენებისა და თავიდან გააზრების შედეგად აღიქვამს" (თემურ კობახიძე, "ტომას ელიოტი და მაღალი მოდერნიზმის ლიტერატურული ესთეტიკა").

რთული პოემაა "უნაყოფო მინა," დიდი შრომა და ჩაკირკიტება სჭირდება. მისი კითხვა სერიოზულ ლიტერატურულ მომზადებას მოითხოვს მკითხველისგან, სათარგმნად კი - გაცილებით მძიმეა: "თა-



ვის დროზე ზვიად გამსახურდიამ თარგმნა, მაგრამ ნაწილები აკლდა. რომ ნავიკითხე, მომინდა, სრულად შემევესო და თავიდან ბოლომდე ვთარგმნე. რა თქმა უნდა, განსხვავებულად. ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ტექსტია ელიოტის შემოქმედებაში - ათასნაირი თემაა, ბევრი პლასტი. ერთმანეთს ერწყმის მითოლოგია, ფილოსოფია, ლიტერატურა... ქვეთავები დასათაურებელია და ერთი მეორეს არ უკავშირდება, მაგრამ კითხვას რომ დაასრულებ, ერთიანი სახე იქმნება. თითქოს ჯერ ანანევრებს, მერე კრავს ამ ყველაფერს და, საბოლოოდ, ხვდება, რას გულისხმობს უნაყოფო მიწის იდეა. სათაურს სხვადასხვაგვარად თარგმნიდნენ, მათ შორის, "ივარქმნილ მიწად," მაგრამ "უნაყოფო" უფრო სწორ ფორმად მიმაჩნია. "ივარქმნილი" ნიშნავს, რომ ვილაცამ გაანადგურა და მერე გახდა უნაყოფო, ეს კი თავისთავად უნაყოფოა".

ამ ტექსტის რედაქტირებისა და გამოცემის საქმეში ეზრა პაუნდმა დიდი წვლილი შეიტანა. სწორედ მას მიუძღვნა ელიოტმა პოემა წარწერით - *Il miglior fabbro* (ჩემზე დიდ ოსტატს).

ცოტა ხნის წინ "კოქტილის წვეულება" თარგმნა, 145-გვერდიანი რიტმული პიესა. პატარა-პატარა ლექსებს აღარც ითვლის - საკმაოდ ბევრი დაგროვდა. თარგმნა არავის უთხოვია, თავად მოინდომა - ტომას სტერნზ ელიოტი მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ავტორია. "ლექსში - "სავარჯიშო ხუთი თივისათვის" საკუთარ თავზე წერს: "არ მსურს ვიცნობდე მისტერ ელიოტს, მისი უჟამური სახის ნაკვთებით". ელიოტის თარგმანები რომ წიგნად შეიკრას, დავარქმევდი - "მე მსურს,

ვიცნობდე მისტერ ელიოტს..." კარგა მოზრდილი წიგნი გამოვა".

მშფოთვარე ირლანდიელი

კიდევ ერთი დიდი პოეტი, უილიამ ბატლერ იეიტსი წლების წინ აღმოაჩინა. იმ პერიოდში ხშირად დადიოდა მთარგმნელობით სემინარებზე მოსკოვში და აუცილებლად სტუმრობდა რამდენიმე ამოჩემებულ წიგნის მაღაზიას. იქიდან ახალი გამოცემებითა და ავტორებით დატვირთული ჩამოდიოდა. შვილები საჩუქრებს ელოდებოდნენ, ის კი გახსნიდა საცხე ჩანთას და წიგნები ამოჰქონდა. ერთ-ერთ ჯერზე ნობელიანტი ირლანდიელი, უილიამ ბატლერ იეიტსით დაინტერესდა. თავდაპირველად ბიოგრაფიული წიგნი ნაიკითხა და მისმა მშფოთვარე ცხოვრებამ მოხიბლა: ირლანდიური მითოლოგიით, მისტიციზმით, ოკულტიზმით გატაცებამ, გვიანი პერიოდის ფილოსოფიურმა ძიებებმა, ურთიერთობამ საყვარელ ქალთან, მოდ გონთან, რომელზეც ვერა და ვერ იქორწინა, შემდეგ კულტური ალორძინების ერთ-ერთი მთავარი ფიგურის ლექსებითაც დაინტერესდა.

"ერთ მაღაზიაში აღმოვაჩინე იეიტსის ლექსების სქელი ტომი. მერე სხვაგანაც შემხვდა. ჩამოვიტანე და გადავწყვიტე, მეთარგმნა. მისმა პოეტურმა სახეებმა პირველი ნაკითხვისთანავე გამაოცა. განსაკუთრებით მიყვარს "გრძელკანჭა მწერი", რომელიც ასე იწყება:

ცივილი ზებულ სამყარომ ბოლოს რომ არ წაავოს ომი დიადი, დააშოშმინეთ ძალღი და პონი, უფრო შორეულ ძელზე მიაბით;



ლექსში არის გამორჩეული პოეტური სახე, შედარება, რომელიც განსაკუთრებულად მხიბლავს:

მისი გონება მდუმარებაზე ცოცავს,
ვით წყალზე გრძელკანჭა მწერი.

ეს სტრიქონი ხშირად მიტრიალებს თავში, როცა სახლში მარტო ვარ, ვფიქრობ და ვდუმვარ. კიდევ აქვს არაჩვეულებრივი ლექსი - “შეშლილი, როგორც ნისლი და თოვლი”, რომლის სათაურშივე იგრძნობა პოეზიის სუნთქვა. საოცარია “ეიდი ნატრობს ზეციურ ქსოვილს” - ბოლოში რითმები კი არა, სიტყვები მეორდება. ისეთი უცნაური ლექსია, წაკითხვისთანავე ვთქვი, რომ უნდა მეთარგმნა:

ნეტავი მქონდეს ზეციური უცხო ქსოვილი,
ამოქარგული ოქროსფერ და ვერცხლისფერ შუქით,

ცისფერი, ნაზი, დაბინდული ფერის ქსოვილი,
შექმნილი ლამის ან აისის მიმქრალი შუქით.
მე ფიანდაზად გაგიშლიდი ამ ქსოვილს ფეხთქვეშ,

მაგრამ, მე ღარიბს, დამრჩენია მხოლოდ ოცნება,

მე ფიანდაზად გაგიშალე ოცნება ფეხთქვეშ,

იარე ფრთხილად, არ გათელო ჩემი ოცნება.

ამას რომ ვკითხულობ, დღესაც მბურძგლავს. კიდევ მიყვარს “გაცურვა ბიზანტიისაკენ” - ლამაზი, ფილოსოფიური ლექსი, სევდიანი დასაწყისით - “რა დარჩენიათ აქ მოხუცებს, ამ უცხო მხარეს”... სხვათა შორის, ეს სტრიქონი შემდეგ იდიომად იქცა და ბევრმა არ იცის, რომ მისია. ბევრი კარგი ლექსი აქვს იეიტსს. სულ მინდა, ვიპოვო რამე, ვთარგმნო, მაგრამ თვალეები აღარ მემორჩილება”.

კიდევ ერთი სახასიათო ოპუსია “ინისფრის კუნძული ტბაში,” რომელსაც ამაღელვებელი ისტორია აქვს: ლონდონში ყოფნისას სამშობლო ძალიან ენატრებოდა. ერთხელ, ქუჩაში მიმავალს, წყლის წვეთების ხმა შემოესმა. მაღაზიის ვიტრინაში პატარა მადრეკანი დაინახა და ბავშვობისდროინდელი ოცნება გაახსენდა - როგორ უნდოდა ინისფრის კუნძულზე ცხოვრება. იეიტსი იხსენებს, რომ ერთხელ, როცა მამამისი ჰენრი დევიდ თოროს წიგნს - “უოლდენი ანუ ტყეში ცხოვრება” კითხულობდა, მასაც მოუნდა სიბრძნის საძიებლად პატარა კუნძულზე განმარტოებით ცხოვრება. ეს განწყობა ლექსში აისახა. მასში აღწერილი ჭრიჭინების ხმა და ოცნება თინისგან აგებულ ქოხზე, ბუნებასთან დაკარგული

კავშირის სიმბოლო გახდა. სწორედ ამაზე ისაუბრა მედია ზაალიშვილმა რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ რადიოგადაცემაში, რომელიც მთარგმნელმა პაატა ჩხეიძემ მოისმინა. დაუკავშირდა და როდესაც აღმოაჩინა, რომ იეიტის ბევრი ლექსი ჰქონდა ნათარგმნი, სთხოვა, ეს ყველაფერი როსტომ ჩხეიძესთან რედაქციაში მიეტანა.

რედაქციებში სიარული არასოდეს უყვარდა, ამიტომ მის მდიდარ მთარგმნელობით პორტფოლიოს თავად მთარგმნელებიც ნაკლებად იცნობდნენ. ჩხეიძეებთან თანამშრომლობითა და გამომცემლობა "ინტელექტის" დახმარებით იეიტის ლექსების მოზრდილი კრებული გამოიცა. ცალკე წიგნად გამოვიდა "კელტური მიმწუხრი" - რომელშიც მინიატურულ პროზად დაწერილი ძველი ირლანდიური თქმულებები, ლექსები და რამდენიმე პიესა შევიდა.

ფოლკნერი - პოეზია პროზად

პოეზიით რომ იღლება, პროზაზე გადაერთვება ხოლმე. ცოტა ხნის წინ ფოლკნერის ბოლოდროინდელ მოთხრობებზე იმუშავა. ფოლკნერი ის ავტორია, მუდმივად რომ უბრუნდება. მისი ტექსტებიც პოეზიაა, ოღონდ პოეზია - პროზად. წლების წინ "ნიუორლეანური ჩანახატები" გადმოაქართულა - ადრეული პერიოდის მოთხრობები, თუმცა თითქოს ვერ ამონურა და ამჯერად სასურველი გვიანდელს შორის ეძება. "მიღმა" და "კარკასონი" უკვე თარგმნა, რიგში კიდევ რამდენიმეა. **"ძალიან უცნაური მოთხრობებია, ენით აღუწერელი. ორივე მიღმიერ სამყაროზეა, მიცვალებულებზე. თითქმის საიქიოა, მაგრამ ისე ცოცხლად აქვს აღწერილი... მოხუცი დაკარგულ შვილს საიქიოში ეძებს. იქ პატარა ბიჭი ხვდება ქალთან ერთად, რომელიც ცხენიდან ჩამოვარდნილა და მომკვდარა. უცნაური ტექსტებია, გაორებული, თითქოს სიკვდილის წინათგარძნობა ჰქონდა. მათი დაწერიდან ძალიან მალე თავადაც ცხენიდან გადმოვარდა და მალევე გარდაიცვალა. ენობრივადაც ძალიან რთული სამუშაოა. ისეთი გარემო უნდა შექმნა, მკითხველი მიხვდეს, რომ საიქიოა, სადაც სხვა ლექსიკაა, სხვა აზროვნება. თან ისე უნდა თარგმნო, რომ ფოლკნერი იგრძნობოდეს, მისი პოეტური ენა, როგორც რომანში - "სული რომ ამოდრიოდა".**

"სული რომ ამოდრიოდა" მისი მთარგმნელობითი ბიოგრაფიის ერთგვარი მაგნუმ ოპუსია. ყოველ შემთხვევაში, მკითხველთა უმეტესობისთვის მედია ზაალიშვილის სახელი ამ რომანთან ასოცირდება. ტექსტს წლების წინ მელიქიშვილზე, ბუკინისტებში წააწყდა: Penguin-ის გამოცემა იყო - ჯიბის წიგნი, პატარა. დაინახა და გაგიჟდა. ჯერ ერთი ეგზემპლარი წამოიღო, მერე მეორე: სხვას რომ ეყიდა, თითქოს დამენანაო. მაშინ თარგმნას არ აპირებდა. უბრალოდ, წაიკითხა და მოიხიბლა. ერთ დღესაც პოეტი და მთარგმნელი გივი გეგეჭკორი და მისი მეუღლე ესტუმრნენ - ამ ზაფხულს არაჩვეულებრივი წიგნი წაეკითხეთ, ოღონდ რუსულად და იქნებ ქართულად თარგმნო - ეს რომანი დაუსახე-

ლეს. გადმოიღო თაროდან ორიგინალი და აჩვენა. მიუხედავად იმისა, გააზრებული ჰქონდა, ფოლკნერის თარგმნა რა სირთულეებს უკავშირდებოდა, რამდენიმე თავი თარგმნა და გეგეჭკორების წყვილს წაუკითხა. **"ჯერ ჩუმად იყვნენ, მერე გივიმ ხელნაწერს ჩახედა და მითხრა - გაავრძელე, ნამდვილი ფოლკნერი იქნებაო. კინალამ სკამიდან გადავვარდი, ისე გამიხარდა. იმავე ღამეს მუშაობა გავავრძელე. ექვს კვირაში დაინერა წიგნი და სამ კვირაში ვთარგმნე, ისე გამიტაცა".**

ეს უცნაური რომანი ფოლკნერმა, მართლაც, ძალიან სწრაფად დაწერა. მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. წერდა ღამლამობით, საქვაბეში მუშაობისას. ვიდრე დაიწყებდა, იცოდა, როგორ დაასრულებდა. ბანდრენების ოჯახის ათდღიანი მოგზაურობა დედის, ედი ბანდრენის დასამარხად, არაორდინარულ სიუჟეტთან ერთად, უამრავ ალუზიასა და თემას მოიცავს. სხვადასხვა მთხრობლის მიერ მოყოლილი ერთი "მოგზაურობის" ისტორია, რომელიც ტრაგიზმთან შერწყმული ცინიზმით გვზაფრავს, მკითხველს დიდხანს ამასსოვრდება და არაერთ საკითხზე ფიქრის საბაბს აღძრავს. უცნაურია, მაგრამ ბრწყინვალე თარგმანის წყალობით რომანის სიუჟეტი რალაც ეტაპზე უკანა პლანზე ინაცვლებს და მთელი ყურადღება თხრობის რიტმსა და ტექსტის მხატვრულ ღირებულებაზე გადაგვაქვს. ორიგინალის მსგავსად, ქართულ ენაზე რომანი პოეზიასავით იკითხება. მთარგმნელის ოსტატობას ყველაზე მეტად ალბათ ეს ფაქტი განსაზღვრავს.

სათაურს რაც შეეხება, "როცა ვკვდებოდი," როგორც მანამდე მოიხსენიებდნენ რომანს, ძალზე არაპოეტურად და არაფოლკნერიულად ჟღერდა. ბევრი ფიქრის შემდეგ ჰომეროსის "ოდისეას" ქართული თარგმანიდან გაახსენდა ეპიზოდი, როცა ჯოჯოხეთში ჩასული აგამემნონი ამბობს ფრაზას: "სულამომდინარს იმ ძაღლთაპირმა ჩემმა ცოლმა თვალებიც არ დამიხუჭაო". უცებ ამოუტივტივდა გონებაში ეს სიტყვები და მიხვდა - სწორედ ის იყო, რაც უნდოდა.

წიგნი პირველად 1989 წელს გამომცემლობა "საბჭოთა აჭარამ" დასტამბა. ყდა მისმა ბიძაშვილმა, მხატვარმა ნინო ზაალიშვილმა გააფორმა. პირველი გამოცემა კორექტურებით საფხე და უღიმღამო გამოვიდა, თუმცა შემდეგ კიდევ რამდენჯერმე გამოიცა და მკითხველამდე მისასვლელი გზაც იოლად იპოვა.

უცნაურია, მაგრამ ფოლკნერი რალაცით მამას აგონებს. წლების წინ ნათქვამ მის სიტყვებს იხსენებს: **"უფსკრულში რომ ჩავარდე, სიბნელეში ხელით უნდა ეძებო ხის ფესვები, თუნდაც ხმელი, მოეჭიდო და ამოძვრე. მერე, როცა ზემოთ ამოხვალ, გულაღმა დანეჭი და ცას შეხედეო. რალაც მსგავსს ამბობდა ფოლკნერიც. სულ მახსოვდა ეს სიტყვები. როდესაც გამიჭირდა, ვფიქრობდი, - უფსკრულში ვიყავი, ამოვძვერი და ახლა უნდა გავთავისუფლდე-მეთქი".**

დიდი ხნის წინ უკვე ამოვიდა უფსკრულიდან, ცასაც შეხედა და თავისი წილი თავისუფლებაც მოიპოვა. ახლა სხვა განზომილებებს ეძებს.

მედეა ზაალიშვილი

ბევრჯერ უმღერეს ღამეს უძილოს
და ჟამთა ზარის ამაო რეკვას,
დადგა ზამთარი... სევდა უძირო,
ტანზე ცივისსახლა გველივით მეკვრის.
ვნატრობ გაზაფხულს და ბაეშვის კისკისს,
უდარდებობის სიმღერებს წმინდას,
დღე გადაეშვა უფსკრულში კისრით,
ჩამოიფანტნენ ნისლეები ციდან.
ვნატრობ სიმაღლეს... ღრუბლების იქით,
ცათა მღვიმეში სიტყვები სდუმან,
ზღვის შრიალს ვნატრობ და ქარის ჩურჩულს
და მოულოდნელ, ღამეულ სტუმარს.
- სიზმარს, რომელიც სამუდამოდ გამომაფხიზლებს...

გინდა, რომ ვგავდე მონყვეტილ ფოთოლს,
ანდა ტერფის ქვეშ გათელილ იას,
არ დაგავიწყდეს, რომ მე სახელად
მედეა მქვია.
დავეცემი და ისევ აღვდგები,
ისევ ინათებს ჩემთვის არილი,
მე ჩემი გზა მაქვს
და ჩემი რწმენა და სხვის გაკვალულ
გზაზე არ ვივლი.
დიდხანს ვიცოცხლებ და თუ გავქრები,
ვილაც წაანერს საფლაფზე ჩემს ქვას,
აქ განისვენებს უდრეკი ქალი,
ქალი, რომელსაც მედეა ერქვა.

რაც არი, არი

რა გაეწყობა!
რაც არი, არი...
ჩავდგები, როგორც დაღლილი ქარი,
დედამინა კი განაგრძობს ბრუნვას,
კიდევ ჩაივლის მრავალი წყალი.
რაც არი, არი
ცეცხლი ქრება და ჩნდება ნაცარი,
ბოლოს ნაცარსაც გაფანტავს ქარი.
მაგრამ ამქვეყნად ბევრი დამრჩება
გულში ჩამწვდომი და სანუკვარი.
რა გაეწყობა!..
რაც არი, არი...

დილა მშვიდობისა, თეთრო ოფელია

“მაშ არ მოვა თავის დღეში?
თავის დღეში აღარ მოვა?
წავიდა და გაქრა
სამარეში ჩაძვრა.
(ჰამლეტი)

სიცოცხლეა, სიკვდილიც - წყვდიადის ფერია,
დილა მშვიდობისა, თეთრო ოფელია!
...
დილა მშვიდობის! ნუთუ გათენდა!



რა საოცარი ღამე იყო, კეთილო პრინცო!

...
ის ხომ დამარხეს, დააყარეს თებერვლის მიწა,
ღრუბლიანი თებერვლის მიწა,
ჩვილი ბავშვივით მლიმარი იწვა,
ცივ სამარეში...
მეც ხომ სხეული დავკარგე სადღაც;
ახლა მე და შენ ვართ მხოლოდ ლანდნი
თუმცა თქვენ მუდამ წმინდა ხატს ჰგავდით!

...
ნეტავ ხიდები რამ დაანგრია,
რამ დაბზარა სასახლეები,
უკვე ყვავიან ღიღილოები,
აი, საკმელა, ეს ქვეყნის გულა,
ეს ღვთისმშობლისა, ეს გულისაბა...
მაგრამ იები... იები დაჭკნენ...
როდესაც მოკვდა მამაშენი, დაჭკნენ იები;
დედაშენი კი ყვავილებით იმკობდა კაბას!

...
საათი რეკავს! საათი რეკავს!
იციტ? დრო არ მაქვს...
მე დრო არ მიცდის.
და... ის დამარხეს თებერვლის თვეში,
ნაზ და გაცრეცილ მიხაკით ხელში...

...
ქარმა წაიღო უცაბედი სიტყვები შორით:
- "მან მოკრძალებით სიყვარული გამომიცხადა."

...
ჩამოდგა ღამე...
ღამე მშვიდობის...
ხედავ? დრო გარბის და ვერაფრით ვერ დავენიე,
ციტ უცნაურად გადმომყურებს უსახო მთვარე...
ნეტავ რა უყო მწუხარებით სავსე თვალები
ან შეშფოთებით გაპოზილი მრგვალი ტუჩები?!...
ღამე მშვიდობის და მიიღეთ კეთილი რჩევა:
ყოველი ქრება ამაქვეყნად - სიტყვა კი რჩება!

...
სიცოცხლეც, სიკვდილიც წყვდიადის ფერია
ღამე მშვიდობისა, თეთრო ოფელია!...

1944 - მამის დაბრუნება

სავარძლის ზურგზე
გადაკიდული ფარაჯა ისვენებს,
სუნთქავს ნატყვიარი კალთებით,
ჯერ კიდევ ასდის დენთის... ტალახის და
ტყვიის სუნი...
მაგიდაზე გაშლილა
ღია ბარათები -
ბუდაპეშტის ხედებით.
სახსრების ტკივილი,
დაღლილი ხერხემალი,
ჩაცვენილი ლოყები,
დაკოჟირილი ხელები.
ხანდახან ვერ სუნთქავს,
იღლება ხველებით...
ყველაფერი შავ-თეთრ ფოტოს ჰგავს.
მაგრამ მე მაინც ვებლაუჭები
მოგონებების ჩონჩხებს
ჩემი გონების კარადაში
გამოკეტილს და დაუვინყარს.



მედეა ზაალიშვილი მოულოდნელი ნუთების ნათელი



ედგარ ალან პოს “ყორანს” დიდი გატაცებით ვთარგმნიდი და თან სულ მახსენდებოდა გალაკტიონის სტრიქონები:

*“ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი,
როცა საუბარი ედგარ პოეზეა.”*

ისე მოხდა, რომ ღამით ვთარგმნიდი “ყორანს” და დილით ძლივს ავდექი, რომ ლექციაზე არ დამგვიანებოდა. გამოვედი სახლიდან და სწრაფი ნაბიჯებით გავეშურე კინოსტუდიასთან მდებარე ავტობუსის გაჩერებისაკენ. უკვე მუშთაიდს მივუახლოვდი, როდესაც კაცის სილუეტი დავინახე. მან ჩემი ყურადღება მიიპყრო, დავაკვირდი და გულში გავიფიქრე, ეს ნამდვილად გალაკტიონია-მეთქი. როცა უფრო მივუახლოვდი, დავრწმუნდი, რომ მართლაც გალაკტიონი იყო. იდგა და მარცხენა ხელი გულზე ჰქონდა მიდებული. წყნარი სახით გაჰყურებდა მოპირდაპირე მხარეს ღამაზე, წითელი აგურით ნაშენ სახლს. ისეთი გრძნობა გამიჩნდა, რომ ვილაცის მოლოდინში იყო. ნაბიჯი ვეღარ გადავდგი, ვიდექი და შევეყურებდი. უცებ ვიგრძენი, რომ ლექციაზე მაგვიანდებოდა. მორიდებით ჩავუარე და გაჩერებისკენ გავიქეცი.

მთელი გზა გალაკტიონზე ვფიქრობდი. და მისი ერთი ლექსის სტრიქონიც კი შევცვალე: “ჯერ არას-

დროს არ მინახავს სახე ასე წყნარი, მდუმარებით შემოსილი უკვდავების ქნარი”. ის ჩემთვის მართლაც უკვდავების ქნარი იყო.

რა თქმა უნდა, ლექციაზე დამავიანდა და როცა მეხუთე კორპუსის კიბეები ავირბინე, კიბის თავზე დეკანმა გაკვირვებით შემომხედა. შენ არასდროს არ იგვიანებდი ლექციაზე, დღეს რა დამემართაო. ლექციის შემდეგ ავუხსენი, თუ რა დამემართა. მას გაეღიმა და მითხრა, გასამართლებელი საბუთი გქონიაო. იმ ღამეს ბოლომდე ვთარგმნე “ყორანი”.

თემურ კობახიძე, პაატა შვეარდნაძე და ზურა ქარუმიძე მუშაობდნენ ნიკო ყიასაშვილთან ტომას სტერნს ელიოტის, უილიამ ბატლერ იეიტსის და ჯონ დონის შემოქმედებაზე. ნიკომ დამიბარა და მითხრა, რომ ელიოტიდან და იეიტსიდან მათ მიერ გამოყენებული ციტატები მეთარგმნა ქართულად. ზოგიერთი ლექსი უკვე თარგმნილი მქონდა და მათ გამოიყენეს თავიანთ ნარკვევებში.

ერთ დღეს ჩემთან, სახლში ტელეფონის ზარმა დარეკა. თემურ კობახიძეს ჩემთან უნდოდა მოსვლა ორი ლექსის თარგმნის თაობაზე. საღამოს ექვს საათზე მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ უახლოეს დღეებში მეთარგმნა ორი ლექსი: “უკვდავების ჩურჩული” და “ბერბანქი ბედვეკერით: ბლასტაინი სი-



გარით”. ვუთხარი, მოდი, ეს ლექსები ერთად გავარჩიოთ-მეთქი. ჯერ “ბერბანქი” წაიკითხა და მისი პნკარედი დავწერეთ. მერე მეორე ლექსის პნკარედიც მოვამზადეთ და ვთხოვე, ცოტა ხანი მოეცადა. მე ჯერ “ბერბანქის” თარგმნას შევუდექი. დაახლოებით ერთ საათში ვთარგმნე. თემურს მოეწონა და თან გაკვირვებული დარჩა. ვუთხარი, თუ კიდევ ერთი საათი გცალკია, ბარემ მეორეც გავაკეთოთ-მეთქი. ღამის ათის ნახევარზე ორივე ლექსი მქონდა ნათარგმნი. თემური გაცხებული მეუბნებოდა, ვფიქრობდი, ორი ან სამი დღე მაინც დაგჭირდებოდათ ამ ლექსების სათარგმნელადო. დიდი მადლობა გადამიხადა და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული წავიდა.

მალე არილის ორ ნომერში (2002 N5, N6) დაიბეჭდა თემურ კობახიძის “მოდერნიზებული კარნავალი ტომას ელიოტის ვენეციაში”.

თემურმა ორივე ნომერი მაჩუქა ნარწერიით: “ჩემს თანაავტორს, მედიკოსს, სიყვარულით. 19.11.02”

დღეს თემური აღარ არის. მწუხარებით ვიხსენებ იმ წლებს, როცა ის ჩემი სტუდენტი იყო და მერე უკვე - კოლეგა.

2000 წელია, თვე და რიცხვი არ მახსოვს, ტელეფონის ზარი გაისმა. სატელეფონო რადიო მირეკავს და მთხოვს, რომ გადაცემაში “ერთი ლექსის ისტორია” - მონაწილეობა მივიღო. მოსაფიქრებლად ორი დღე ვთხოვე და ბოლოს დავთანხმდი. ვისაუბრე უილიამ ბატლერ იეიტსის ლექსზე “ინისფრის კუნძული ტბაში”. ისევ გაისმა ტელეფონის ზარი და პაატა ჩხეიძე გამომეცნაურა. მითხრა, რომ იეიტსის ლექსისთვის მოუსმენია და შემომთავაზა, “ჩვენი მწერლობის” რედაქციაში მივსულიყავი და ჩემი თარგმანები მიმეტანა. შევთანხმდით და მეორე დღეს მივაკითხე რედაქციას, ასე გავიცანი ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი, როსტომ ჩხეიძე.

იმ დროიდან “ჩვენი მწერლობის” თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა ჩემი თარგმანები. ლექსები, დრამები და პროზაული ნაწარმოები. “კულტური მიმწუხრი” საკმაო აღმოჩნდა იმისთვის, რომ წიგნად გამოცემულიყო. ჩემთვის უძვირფასესი ადამიანების, როსტომ და პაატა ჩხეიძეების, გულმოდგინებით გამოიცა კრებულიც, სახელად “კულტური მიმწუხრი”. წიგნის პრეზენტაცია ჩატარდა “ჩვენი მწერლობის” რედაქციაში, წიგნი გამოსცა გამომ-



ცემლობა "ინტელექტმა", რომლის რედაქტორიც არის ახლა უკვე ჩემთვის საყვარელი ახალგაზრდა მეგობარი, ზვიად კვარაცხელია. ზვიადმა არა მარტო იეიტის კრებული გამოსცა, არამედ სხვა ნაწარმოებებიც. აი, ასეთი ილბლიანი იყო მოულოდნელი წუთების ნათელი.

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში მრავალი რამ გადამხდენია, თავს მაინც ილბლიან ადამიანს ვუნოდებ, რადგან ჩემს გზაზე კეთილშობილ, საყვარელ ადამიანებს შევხვედრივარ და მიუხედავად ასაკში დიდი სხვაობისა, ჩემს ახლობელ ადამიანებად ჩამითვლია და ჩემი სევდა და დარდიც გამიზიარებია.

მადლიერი ვარ განგების, რომ ანგელოზად მომივლინა ეს უნიჭიერესი, უკეთილშობილესი, ერთგული მეგობარი, ანი კოპალიანი. მიუხედავად ჩემი ასაკისა, ვგრძნობ, რომ მასთან ბევრი საერთო მაქვს. ამიტომ ხშირად გვისაუბრია პირად ცხოვრებაზე, ვუამბობდი ჩემი ბავშვობის და სიყმაწვილის თავგადასავლებს, ისიც გულმოდგინედ და ინტერესით მისმენდა, სწორედ მან შემომთავაზა, დამენერა ჩემი ცხოვრების მოგონებათა წიგნი "ცაში გამოკიდებული სახლი".

უკვე ჩვევად მექცა, რომ რაც არ უნდა ვთარგმნო და რაც არ უნდა შევექმნა (თუნდაც საკუთარი ლექსები), ანის უნდა გაუზიარო, მე ვიცი მისი შესაძლებლობები, ვაფასებ მის ნიჭს და აღტაცებული დავრჩი მისი მშვენიერი თარგმანით, ელიოტის "კატებისა", რომელმაც ღირსეულად დაიმსახურა "საბა".

ახლა მე უკვე ისეთ ასაკში ვარ, რასაც არ უნდა ვაკეთებდე, სხვისი აზრი ჩემთვის ძვირფასია. სწორედ ამიტომ, ხშირად მივმართავ ჩემს ძვირფას მეგობრებს, პაატა ჩხეიძეს, ანი კოპალიანსა და ზვიად კვარაცხელიას, რადგან მათი ნიჭისა და გულწრფელობის მჯერა. მე მათი მადლიერი ვიქნები ჩემი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე.

ჩემი მოგონებების წიგნის გამოცემაში, რა თქმა უნდა, ანისთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის ზვიად კვარაცხელიას, რომლის გარეშეც არცერთი ჩემი წიგნი არ გამოცემულა. მადლობა მათ.

2018 წელს სრულიად მოულოდნელად ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთი უმცროსი მეგობარი გამოჩნდა. მე უკვე ნახევრად სიბნელეში ვცხოვრობდი. ასაკის მომატებასთან ერთად თვალის სინათლე დამაკლდა. არადა, გაჩერება არ შემეძლო, სიცოცხლე რომ გამეგრძელებინა, უნდა მეთარგმნა და ჩემი ფიქრები ლექსებად მექცია და, აი, გამოჩნდა ჩემი "თვალის ჩინი", ნია კახიძე, ერთგული და დაუზარელი ადამიანი, ამომიღვა მხარში და მისი შემწეობით ვთარგმნე ფოლკნერის "ნიუ ორლეანის ჩანახატები", ჩარლს ბუკოვსკის, რობერტ ფროსტის, ეზრა პაუნდის, ტომას სტერნზ ელიოტის ლექსები. ბოლოს ელიოტის პიესა "კოქტეილის წვეულება" ვთარგმნეთ. ჩარლს კონელისა და ფოლკნერის მოთხრობები ("მიღმა", "კარკასონი"). და ახლაც ვაგრძელებთ ერთად შრომას.

აქაც მოულოდნელობის ნათლის მადლიერი ვარ. იმედი მაქვს, რომ მე და ნია კიდევ ბევრ ახალ თარგმანს შევქმნით.

ნესტან ნენე კვინიკაძე

მოშინაურებული თაგვის გულისცემა და წიგნები

მედეა ზაალიშვილის “ცაში გამოკიდებული სახლი”



მედეა ზაალიშვილი პროზის, პოეზიის, დრამის, კლასიკური და ავანგარდული ნაწარმოების მთარგმნელია. მის ლიტერატურულ ანგარიშზეა შექსპირის “ტიტუს ანდრონიკუსი”, ფოლკნერის “სული რომ ამომდიოდა”, იეიტსის “კელტური მიმწუხრი”, უილიამ ბლეიკის, ჩარლზ ბუკოვსკის და სხვა მნიშ-

ვნელოვანი ავტორების ტექსტები.

მთარგმნელის საქმეს ნებისყოფა სჭირდება, მედეა ზაალიშვილის შემთხვევაში, ნებისყოფის და მოთმინების ეს უნარი ბავშვობაში, დარდსა და გაჭირვებაშია გამომუშავებული.

“ცაში გამოკიდებულ სახლს”, რომელსაც ავტო-

რი ძმებს უძღვნის, ბევრი გმირი ჰყავს; შემთხვევით ნანახიც და ახლობელიც; მეოცე საუკუნის ქართული მეცნიერების და კულტურის მთავარი მოთამაშეები. აქაა უცხო ამბები გალაკტიონის, ჭაბუა ამირეჯიბის, ნიკო კეცხოველის, ნიკო ყიასაშვილის, გივი გაჩეჩილაძის, გივი გეგეჭკორის, თამარ ერისთავის, თამაზ ჩხენკელისა და ეპოქის სხვა მნიშვნელოვანი ადამიანების შესახებ.

თუმცა, მთავარი სცენა, მაინც ცაში გამოკიდებული სახლია, მთავარი პერსონაჟი კი პატარა გოგო, რომელიც მწუხარებით სავსე სახლში ხან ძალიან ბედნიერია, ხან გულგატეხილი. მამა და ძმა ომში იბრძვიან, დანარჩენები კი მაგიდას მდუმარედ უსხედან და საჭმელს უგემურად ლეჭავენ.

მამა, როგორც თავად ავტორი ამბობს, განათლებით მათემატიკოსი იყო, ბუნებით რომანტიკოსი, მამა წერდა და კითხულობდა ბავშვებისთვის სხვადასხვა ავტორის ლექსებს. შაბათობით ერთი მსახიობის თეატრის მსგავს ნარმოდგენებს მართავდა, საკუთარ თარგმანებსაც კითხულობდა. როცა მამა ომში გაიწვიეს, წიგნების მფლობელი ქალიშვილი, მედეა გახდა.

ალქმის სიმძაფრე და მეხსიერების ვარჯიში - ამის გარეშე არ არსებობს მწერლობა და გნებავთ მთარგმნელის საქმე. ამ ფურცლებზე, ავტორი ბოლომდე იცლებს: გულწრფელია გაჩვეულებრივებული უბედურების შესახებ წერისას, ამბობს, რომ ნათესაობაში შეიმჩნევა ნაადრევი გაჭაღარავება. "პირველკურსელი ვიყავი, როცა შევამჩნიე, ჭაღარა მეპარებოდაო", - წერს. ის სიზუსტით აღწერს კარმიდამოს, ოსტატობით შლის სცენებს. ამიტომაც, ამ ფურცლებზე ქვის ლოდებით ნაშენი სახლიდან ქარის დროს კრამიტის ჩამოვარდნის ხმა მკაფიოდ ისმის.

საშიშ ადგილას აშენებული სახლი, ავტორს მისსავე თარგმნელ ფოლკნერის აღწერილ ბანდრენების სამოსახლოს ახსენებს.

სახლში თავგების ფაკუნის ხმა და მოშინაურებული თავგის გულისცემა ისმის. პატარა გოგოს თავგის არ ეშინია, პურის ნამცეცებს უნანილებს.

სადღაც შეშლილი მეზობელი ქალი კივის. ქალი ქმარს ძალიან უყვარს და საავადმყოფოში არ მიჰყავს.

სიტყვის ემოციური ძალით ცოცხლდება დედის სახეც - ნერვიულობის დროს გულმკერდზე ლაქები წითელი ფოთლებივით აყრიდა. დედა ბელურას ჰგავდა, შეჩვეულ ადგილს რომ ვერ ეღევა, თბილ ქვეყნებს არ მიელტვის, რასაც მშობლიურ მინაზე იშოვის, იმით იკვებება. გასაჭირთან შეგუების საოცარი უნარის მქონე ქალი გახლდათ, მისი შემყურე, - წერს ავტორი, - მე და ჩემი ძმებიც მამაცურად ვიტანდით სიდუხჭირეს.

მამა და ძმა როდესაც ომში წავიდნენ, დედა მეტისმეტად დაღლილი იყო, ამიტომ ბავშვები ხმას არ იღებდნენ; სასადილო პატარა მაგიდასთან მისხდებოდნენ და ყველაფერს მექანიკურად აკეთებდნენ. "თითქოს, ჩვენმა ხელებმა ისწავლეს ფინჯნის ერთდროულად აღება, ტურნებმა ჩაის მოწრუპვა, ერთდროულად ვდგამდით ფინჯანს, ვიღებდით შავი პურის თხელ ნაჭერს და უხალისოდ ვლექავდით. მე-

რე სანოლისკენ მივემართებოდით, ერთნაირი მოძრაობით ვწვებოდით. ხანდახან ისე ციოდა, ტანსაცმელსაც ვერ ვიხდიდით. საბანს ნავიფარებდით და ყრუ ხმით ვიძახდით: ძილი ნებისა", - წერს მედეა ზაალიშვილი.

აქაა ისტორია ეპოქების შესახებ. ამბავი იმაზე, რომ ავტორის ბიძა შოთა, საფრანგეთში ყოფნისას სპორტული ორგანიზაცია "შევარდენის" წევრი გამხდარა. შოთა ნიკოლაძეს ჩამოუყალიბებია ემიგრანტ ქალთა და ვაჟთა კალათბურთისა და ფეხბურთის გუნდები. 1934 წლის პარიზის ვაჟთა კალათბურთის ნაკრებში იყვნენ: ლულუ კერესელიძე, ოსია ჯავახიშვილი, შოთა გედევანიშვილი, აჩიკო ციციშვილი, არჩილ ზურაბიშვილი.

ამბავი სტუდენტობის პერიოდზე: ლექციების შემდეგ, სტუდენტობის დიდი ნაწილი უნივერსიტეტის კიბის წინ იყრიდა თავს. განსაკუთრებულ ჯგუფს ლიტერატურული წრის წევრები წარმოადგენდნენ. აქ იკითხებოდა ლექსები, ნოველები, აქ ისმოდა ახალი ანეკდოტები.

დანესებული იყო ჯილდო, გამორჩეული წიგნი, კვირის საუკეთესო რითმისათვის. ერთ-ერთ საუკეთესო რითმად მიჩნეული იყო გიგლა ხუბაშვილის შესანიშნავი მიგნება, რომელსაც მთელი უნივერსიტეტის სტუდენტობა ხშირად იმეორებდა: ჩემი ფანტაზია - ჩამოფანტავაზეა.

ამბავი უცნაური ყმანეილის შესახებ, რომელსაც ყველასაგან გამოარჩევ. ის მარტო დგას უნივერსიტეტის ეზოს შუაგულში. მუდამ ფიქრიანი სახე აქვს. იაპონელს ჰგავს. შავი, წვრილი თვალები უბრწყინავს. ჩამქრალი სიგარეტი უჭირავს. საყვლოანეული, შავი, გრძელი პალტო აცვია, გადავარცხნილი თმა ულაპლაპებს.

ავტორი წერს, რომ მისი დანახვა უცნაურ შიშს და მორიდებას იწვევდა. არ ვიცნობდი, მაგრამ მეგონა ყველაფერი ვიცოდი მის შესახებო. ეს შოთა ჩანტლაძე იყო.

მერე, ერთ დღესაც, მეგობარი მეუბნება: იცი, სამი დღის წინათ შოთა ჩანტლაძემ შენზე მკითხა, ის გოგო ვინ არისო. "ღვთის ტარიგს ჰგავს, - ასე უთქვამს ჩემზე, - ალბათ წინა ცხოვრებაში კრავი იყოო". და ამით შთაგონებულმა მედეამ დაწერა ლექსი. ფიქრობდა, ოდესმე ნაუკითხავდა შოთა ჩანტლაძეს, მაგრამ ასე არ მოხდა და მალევე მისი გარდაცვალების ამბავიც გაიგო.

მედეა ზაალიშვილის შემთხვევაში შესაძლებელი აღმოჩნდა ერთ ცხოვრებაში დატეულიყო მოშინაურებული თავგის გულისცემა, გაჩვეულებრივებული უბედურებაც, ინგლისურენოვანი ნაწარმოებების ათიათასობით ფურცელი, უნივერსიტეტის გამორჩეული და გულაჩქარებული თაობის გოგო-ბიჭების ამბები.


მედეა ზაალიშვილმა შფოთიანი ცხოვრებით, ალაგ-ალაგ დაკემსილი, თხელი პალტოთი, ბავშვობის უმზეო სახლიდან ქართული მთარგმნელობითი სცენის გადანათება და გადაკაშკაშება შეძლო.

ფიქრობდა, რომ "ორ რამეს უნდა გაფრთხილება - სიყვარულს და სილამაზეს". თავად ეს შეძლო. მედეა ზაალიშვილის შემოქმედება ყველაზე ძვირფასის გაფრთხილებაა.

ეზრა პაუნდი

ლექსები

ინგლისურიდან თარგმნა მედეა ზაალიძვილმა



ხე

უძრავად ვიდექ და ხე ვიყავ შუაგულ ტყეში,
ჭეშმარიტება შევიცანი აქამომდე შეუცნობელის;
დაფნებსა და დაფნის გვირგვინზე
და ღმერთებთან მონადიმე მოხუც ცოლ-ქმარზე
რომ გადაიქცნენ თელად და მუხად ვერან
ადგილას,

სასწაული მოხდა მას შემდეგ, რაც
ღმერთებს უმასპინძლეს კეთილი გულით,
კერიასთან მიიპატიჟეს
და ამის გამო მოხდა მერე ეს სასწაული
და მაინც ხე ვარ შუაგულ ტყეში
და ვეზიარე მრავალ სიახლეს,
რასაც მე ადრე გონებაშიც ვერ გავივლებდი.

გოგონა

ხედ გადამექცა ორივე ხელი,
ჩემი მკლავები აივსო წვენიით,
ამოიზარდა ხე ჩემს გულმკერდში,
დახრილი,
და ტოტები კი მკლავებივით ამონვერილი.

და ხე კი შენ ხარ,
და ხავსიც შენ ხარ,
შენ იებს ჰგავხარ, თავზე ქარი რომ დასტრიალებს.
შენა ხარ ბავშვი, მაღალი სულით,
და ყოველივე უგუნურება სამყაროს მიმართ.

პაქტი

ხელშეკრულებას გიდებ, უოლტ უიტმენ -
საკმაოდ დიდხანს ვერ გიტანდი.
ახლა მოვდივარ შენთან, უკვე როგორც გაზრდილი
ბავშვი,

რომლის მამასაც არ უჭრიდა ჭკუა-გონება;
მე მეგობრების შესაძენად კარგა ხნისა ვარ.
ეს შენ იყავი, ახალი ტყე რომ ამოყარე,
ახლა გაკაფვის დრო დაგიდგა.
ჩვენ ერთ წვენი ვიხარებებით, ერთი ფესვი გვაქვს -
მოდი მე და შენ დავამყაროთ მტკიცე კავშირი.

და არ არიან დღეები სავსე

და არ არიან დღეები სავსე
და ღამეებიც არ არიან ასევე სავსე
და სიცოცხლე კი იპარება მინდვრის თავივით,
და ერთ ბალახის ღერს არ შეარხევს.

მისალმება

ჰოი, თაობავ, თავით ბოლომდე თვითკმაყოფილო,
თავით ბოლომდე აღსავსევე შფოთვით,
მე ნანახი მყავს მეთევზეები, მცხუნვარე მზის ქვეშ
რომ ნადიმობდნენ,
მე ნანახი მყავს თავის ფეთხუმ ოჯახთან ერთად,
მე ნანახი მყავს, როცა ისინი კბილდაკრეჭილი
ილიმებოდნენ,

მათი უხამსი სიცილიც კი მომისმენია.
და შენზე მეტად ბედნიერი ვარ,
და ჩემზე მეტად ბედნიერი ისინი იყვნენ;
და თევზებიც ცურავენ ტბაში
უსამოსელოდ.

მედიტაცია

როცა გულდასმით გავიაზრებ მე ძალღების
უცნაურ ქცევას,
სხვა გზა არა მაქვს, იმას ვასკვნი, რომ
ადამიანი ცხოველია აღმატებული.

როცა გულდასმით გავიაზრებ ადამიანთა უცნაურ
ქცევას,
გამოგიტყდები, მეგობარო, რომ ვარ მუდამ
გაოგნებული.

ყოფიერების დებულება

მე პოეტური ქათამი ვარ, სერიოზული,
პოეტური კვერცხის მდებელი,
და ჩემი გზების გასალრმავებლად,
გასამხელი მაქვს სადარდებელი.

ფილოსოფიას ვქმნით კვერცხის გულით,
რომელსაც ცილა ლამაზად გასდევს
და მივანებებთ ლექსის ნაჭურჭზე,
ადამიანის ნათქვამს რომ ჰგავდეს.

დატირება

აღარც მცირედი ამოხვრა,
აღარც ქარები გვანუხებენ შელამებისას.

შეხეთ მშვენიერ მიცვალებულს!

აღარც ცეცხლი მწვავს.
აღარც ფრთები გვაქვს მოფარფატი,
თავს ზემოთ რომ დაგვეტრიალებდა.

შეხეთ მშვენიერ მიცვალებულს!

აღარც სურვილი არ შემომრჩა,
აღარც თრთოლას ვგრძნობთ,
როცა ხელნი შეეხებთან.

შეხეთ მშვენიერ მიცვალებულს!

აღარც ამბორის ღვინო გვათრობს,
აღარც შეცნობის გრძნობა შეგვრჩა.

შეხეთ მშვენიერ მიცვალებულს!

აღარც გრძნობათა ნიაღვარი,
აღარც ადგილი შეხვედრისა,
(შეხეთ მშვენიერ მიცვალებულს!)
ტინტაგოელ.

დაბრუნება¹

შეხე, ისინი გვიბრუნდებიან, აჰ, შეხე გაუბედავ
მოძრაობებს და ნელ ნაბიჯებს,
ძლივძლივობით რომ მოაბიჯებენ და უიმედოდ
მოქანაობენ!

შეხე, ისინი გვიბრუნდებიან, ერთი მეორის
მიყოლებით,

შიშით აღვსილნი, ნახევრად თვლემენ.
თითქოს თოვლივით მოფარფატიებენ
და ჩურჩულებენ ქარის შრიალში
სანახევროდ ზურგშექცეულნი.

მათ შიშისაგან “ფრთები შესხმიათ”,
და ერთმანეთს ეტმასნებიან!
ღვთაებანი ფრთიან ხამლებით!
და მათ მოსდევენ ვერცხლისფერი
მეძებრები, ჰაერის ყნოსვით!
ჰეი! ჰეი!

ადრე მსხვერპლს სწრაფად უსწორდებოდნენ,
გამძაფრებული ყნოსვის მქონენი;
სისხლის წყურვილით სავსე სულები.
ახლა საბმელნი მოსდუნებიათ,
ხელთ რომ უპყრიათ ფერგამკრთალ ღმერთებს!

ოთხი ლექსი განშორების წინ

მსუბუქი წვიმა მსუბუქ მტვერზე,
და ტირიფები კაფეს ეზოში
უფრო და უფრო გამწვანდებიან.
მაგრამ, თქვენ კი, სერ, ჯობია, ღვინო შესვათ
განშორებამდე,
რადგანაც გვერდით მეგობრები არ გეყოლებათ,
როცა გას წიშკრებს მიადგებით.
რიჰაკუ და ომაკიცუ.

I. განშორება მდინარე კიანგზე
კო-ჯინ მიდის დასავლეთისაკენ კო-კაკუ-როდან
და მდინარეზე ბუნდოვნად მოჩანს რუხი ყვავილნი,
და როგორც ლაქა, ცას ედება იალქანი
განმარტოებით.
და ახლა მხოლოდ მდინარეს ვხედავ,
ცამდე რომ აღწევს, გრძელი კიანგი.

II. განშორება მეგობართან
ცისფერი მთები ჩრდილოეთის კედლებთან
მდგარი,
თეთრი მდინარე, მათ ირგვლივ რომ მიიკლაკნება;
აქ, ამ ადგილას გავშორდეთ უნდა,
მკვდარ ბალახებში გავიაროთ ათასი მილი.

გონება, როგორც მოტივტივე ღრუბლების ფთილა.
მზის ჩასვლა, როგორც განშორება ძველ
ნაცნობების,
თავს რომ უხრიან შორ მანძილიდან ჩაკიდულ
ხელებს.
განშორებისას ჭიხვინებენ ჩვენი ცხენებიც.

1 იგულისხმება ღმერთების დაბრუნება



III. მზადება შოკუში გასამგზავრებლად

“შოკუს მბრძანებელს, სანსოს, გაჰყავდა სავალი გზები.”

და სანსოს გზები იყო ციცაბო,
ისე დამრეცი, როგორც მთის კალთა.
კაცის თვალნი კი თვით კედლები აღმართულიყო.
აღვირს ცხენისას კი ფარავდა გორაკთა ნისლი.

შინის ქვაფენილს მიჰყვებიან ლამაზი ხენი,
მათი ტოტები ამოზრდილან ქვაფენილთაგან,
ამოხეთქავენ ნაკადები ყინულთა შორის,
შუაგულ შოკუს ამაყ ქალაქში.

ადამიანთა ბედი უკვე განსაზღვრულია,
მისნის ჩარევას არ საჭიროებს.



მეტროს გაჩერებასთან

ეს სახეები ბრბოში ისე ილანდებიან,
როგორც ფურცლები ყვავილისა ჩაშავებულ,
ნესტიან ტოტზე.

აპრილი

მე მომეახლა სამი ზმანება
და მიმიყვანა იქამდე,
სადაც მინას ეკვროდა ზეთისხილის
შიშველი რტონი:
ფერგადასული ნაფლეთები მჭვირვალ ნისლის ქვეშ.

არჩევანი

ჭეშმარიტია, როცა ამბობ, რომ ღმერთები ფერიებზე მეტად გწყალობენ,
მაინც, როდესაც გხედავ თეთრ, კეთილშობილ, გრძელკანჭა ცხენზე,
მე შენ გამსგავსებ გასაოცარ ზღაპრის დედოფალს.

უცნაურია, უნდა გფარავდეს მოსასხამი ყვავილებით და ნაზი ყლორტებით;
უცნაურია, სახეს იცვლიდე და ვილაც ქალს ემსგავსებოდე, რათა ჭირივით შემეყარო;
უცნაურია, ინიღებოდე ლამაზ ქალების ღრუბელში, რომლებიც მე არ მაშფოთებენ.

და მე, რომელიც ქარს გაყოლილ ყოველ ლებანს ავედევნები!
ჩემზე იტყვიან, რომ ყველაფერ ამის ღირსი ვარ.

დავალება

ჰე, სიმღერებო, მიაკითხეთ მარტოსულებს და ბედის უმადურთ,
მისწვდით იმათაც, ვისაც ნერვები ველარ უძლებთ, კანონების მონად ქცეულან.
დე, აიტანონ მჩაგვრელებმა ის სიძულვილი, მე რომ ვუგზავნი.
და ცივი წყალის მძლავრ ტალღასავით გადაუარეთ.
ეს არის ჩემი სიძულვილი მჩაგვრელთა მიმართ.

ალაპარაკდით განუსჯელი ჩაგვრის წინაშე,
ალაპარაკდით ტირანია რასაცა სჩადის,
და ბორკილების დასამსხვრევად ალაპარაკდით



39865

და მიაღწიეთ ბურჟუამდე, უქნარობისგან რომ კვდებიან,
მიაღწიეთ ქალბატონებთან, გარეუბანში რომ სახლობენ.

მიაღწიეთ საზარელი ქორწინების ტარიგებამდე,
მიაღწიეთ მათ, რომელთა მარცხიც იდუმალია,
მიაღწიეთ მათ, ვინც უიღბლოდ შეუღლებულა,
და მიაღწიეთ ანგარებით შერთულ ცოლამდე,
მიდით იმ ქალთან, შეზღუდული რომ აქვს უფლება.

მასთანაც მიდით, ვისაცა აქვთ ფაქიზი ვნება,
მიდით იმათთან, ვისი ფაქიზი სურვილებიც შელახულია,
მიდით სამყაროს სიჩლუნგეთა დასათრგუნავად.
მის წინააღმდეგ გაილაშქრეთ მთელი ძალღონით,
და უფრო მეტად ააჟღერეთ ნაზი სიმები,
მიეცით რწმენა სულის ყვავილებს, საცეცები გააძლიერეთ.

იყავით უფრო მეგობრულნი
და გულლიად ილაპარაკეთ,
სცადეთ დანახვა ახალ სიავის და ახალი სიკეთე ჰპოვეთ.
წინ აღუდექით ყველა ჩაგვრას,
მიაკითხეთ შუახნის მამლარს,
და იმათაც, ინტერესი რომ დაუკარგავთ.

იმ მოზარდებსაც, ოჯახში რომ ავინრობენ -
ო, რარიგად შემზარავია
ერთ ოჯახში თავმოყრილი სამი თაობა!
ბებერ ხეს რომ ჰგავს, ყლორტებიანს,
ზოგი ტოტი კი დამპალი აქვს და ძირსა ცვივა.

გამოდით გარეთ, უარყავით ეს თვალსაზრისი,
ჩამოიხსენით ამაო ტვირთი სისხლის ყივილის,
ილაპარაკეთ გონების და სულის კავშირზე.
და შეებრძოლეთ ყოველგვარ ჩაგვრას.

სულის სიბერის ჟამს

არ ვირჩევ სიზმრებს, ისინი თავად მოდიან ჩემთან
იმ ძველ სურვილით, რომ ჩავიდინო გმირობა კვლავაც.
ისევე, როგორც ბებერ მეომრის უძღურ ხელებში
მოაქვს სიცოცხლე წამიერი იმ მივინყებულ ხელმარჯვეობას,
როდესაც ეპყრა მახვილის ტარი და ჩაჩქანი, ომგამოვლილი.
ასე დაბერდა ჩემი სული;
დაბერდა მრავალ ბრძოლასა და ჟამს თავდასხმისას;
ასე დაბერდა ჩემი სული ხეტილისას,
ახლა ისინი მარტოდენ სიზმრებს გზავნიან, მაგრამ არა საგმირო საქმეთ.
ისე, რომ კვლავაც ააღდება, რომ ეს სული აამოქმედოს,
და ავინყდება, უხუცესნი თუ რაზე ბჭობდნენ,
და ავინყდება, თუ ვინ მართავს და აღარ იბრძვის
და იარას რომ ველარავინ ვერ მიაყენებს
და ძველებურად აენთება გმირულ საქმისთვის.

IV. ქალაქი ჩოანი

მათ აივნებზე ფენიქსები დათამაშობენ.
მერე მიდიან ფენიქსები და მდინარე კი
მარტოდმარტო მიედინება.

ყვავილს და ბალახს



დაუფარავს ბნელი ბილიკი, გოს დინასტიის სახლს
რომ გასდევდა.

შინის მჭვირვალე ქსოვილები და მჭვირვალე
სახურავები
გადაქცეულან საძირკველად ძველ გორაკების.

შორეულ ციდან დაშვებულა მთის სამეული,
და თეთრ ყანჩათა კუნძული კი ნაკადს ორად
ყოფს.
მაღალ ღრუბლებს კი მზეც დაუჩრდილავთ,
და ახლა უკვე ველარ ვხედავ შორეულ ჩოანს
და სევდა მიპყრობს.

ფრანჩესკა²

ლამის მწუხრიდან შემოხვედი
და ხელთ გეპყრა ყვავილთა კონა,
შენ თავს დააღწე ხალხის შფოთვას,
და შენზე ნათქვამ მღელვარე სიტყვებს.

მე შენთვის ნაცნობ გარემოში მყავხარ ნანახი,
ვბრაზობდი, როცა სადაც არ მსურდა, იქ გაისმოდა
შენი სახელი.
მე გონებიდან განვდევნიდი ყველაფერ ამას,
გინდაც სამყარო გახმეს, როგორც მჭკნარი
ფოთოლი,
ბაბუნაწვერას თესლებივით მიმოიფანტოს,
რომ ჩემ მახლობლად ისევე გპოვო,
განმარტოებით.

მოცეკვავე ასული

ქორწილისათვის გალილეის კანაში

შავთვალა ასულო,
ჩემი ოცნების;
სპილოსძვლისფერი ხამლი გაცვია,
ცეკვაში ვერვინ ვერ შეგედრება,
შენსავით ვერვინ ვერ დასრიალებს.

ვერ მოგაგენი კარვებში,
როს სიბნელე გაჭრა ნათელმა.
ვერ მოგაგენი ვერც წყაროზე
კოკაშემოდგმულ ქალწულთა შორის.

შენი მკლავები, ნორჩი რტოებო, ნაზი კანით
გადაფარული,
და შენი სახე ვით მდინარე განათებული.

ეგ შენი მხრები, ნუშივით თეთრი,
კანგადაცლილი ნედლი ნუშივით.

საჭურისები არ გდარაჯობენ;
და არც ბრინჯაოს საკეტურები.

მაგ შენს სარეცელს ოქროცურვილი ფირუზი და
ვერცხლი ამშვენებს
მოგიხვევია ოქრომკედით შემკობილი მრეში
სამოსი,
ნატატ-იკანაე, "მდინარის ხეო."

შენი მკლავები შემომხვევია, როგორც ლელქაშში
მოჩუხჩუხე ნაკადულები;
შენი თითები თვით ყინულის ლოლუებია.

თეთრი მთის ბროლივით ქალწულები
შენ გიმღერიან!

ცეკვაში ვერვინ ვერ შეგედრება,
შენსავით ვერვინ ვერ დასრიალებს.

ალბა³

ისეთი ცივი, როგორც ფურცლები
სველ და ფერგამკრთალ შროშანისა,
ის გვერდით მენვა განთიადისა.



2 იხ. დანტე ალიგიერი - "ღვთაებრივი კომედია", "ჯოჯოხეთი", ფრანჩესკასა და პაოლოს ისტორია.

3 იტალ. - განთიადი.

ლიზა ძაგნიძე

მედეა ზაალიშვილის “კულტური მიმწახრი”



მოდერნისტული ლიტერატურის ადეკვატური თარგმანისა და ამ პროცესში “დანაკარგის” არსებობის საკითხები აფიქრებს როგორც ლიტერატურის მთარგმნელებს, ისე მკითხველებს, რომლებიც მშობლიურ ენაზე ეცნობიან მოდერნისტულ პროზასა და პოეზიას. წიგნში “თარგმანის გამოცდილება”, უმბერტო ეკო ამტკიცებს, რომ თარგმანი არ არის ორი ენის შეპირისპირება, არამედ ტექსტის ინტერპრეტაცია ორ სხვადასხვა ენაზე. ამავე ნაშრომში იგი წერს, რომ “ყველა გონივრული და ზუსტი ენობრივი თეორია გვაჩვენებს, რომ იდეალური თარგმანი შეუძლებელი ოცნებაა¹”. ის, რომ იდეალური თარგმანი “შეუძლებელია”, კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება მაშინ, როცა საქმე გვაქვს უილიამ ბატლერ იეიტსის მსგავს მრავალნაზნაგოვან შემოქმედთან, რომლის პოეზია, ერთ-ერთი საკმაოდ იშვიათი გამონაკლისია, როცა ერთი პოეტის შემოქმედებაში ისეთი მასშტაბური ლიტერატურული პროცესი აისახა როგორცაა ძველი, ტრადიციული პოეზიის შეჯამება და ახალი, მოდერნისტული

საწყისების გამოყენება - ე.წ. პოეტური ხატის, ფაქტობრივად, ორსაუკუნოვანი ტრანსფორმაცია.

საკუთარი პოეზიის ინტერპრეტირებისა და კონკრეტულად თარგმნის სირთულეს ირლანდიელი პოეტი თვითონვე აღიარებს 1923 წელს ნობელის პრემიის მიღების შემდგომ გამოქვეყნებულ გრძელ მიმართვაში, რომელშიც იგი განსაკუთრებულ მადლობას უხდის “იმ დინჯად მომუშავე ხალხს, უცნობებსა თუ კარგად ნაცნობებს, რომელთა წყალობითაც გარკვეული ცნობადობა შეიძლება მქონდეს მსოფლიოში”². სწორედ ასეთი ადამიანია ქართველი მეცნიერი, პედაგოგი და მთარგმნელი მედეა ზაალიშვილი, რომლის სახელი როგორც საუნივერსიტეტო, ისე მწერლობითა და ევროპული კულტურით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის, კარგად არის ცნობილი. იმ შთამბეჭდავი რაოდენობისა და სპექტრის ავტორთა თარგმანებთან ერთად, როგორებიცაა: შექსპირი, შელი, ბლეიკი, დიკინსონი, ფოლკნერი და სხვა, მედეა ზაალიშვილმა გააქართულა არა მარტო იეიტსის

1 “Every sensible and rigorous theory of language shows that a perfect translation is an impossible dream. In spite of this, people translate.”
2 „I commend all those diligent workers, obscure or well known, to whom I owe much of whatever fame in the world I may possess”

პოეზია, არამედ მისი პროზა და დრამატურგია. ამგვარად, ქართველ მკითხველს სწორედ მედია ზაალიშვილის წყალობით მიეცა შესაძლებლობა, გასცნობოდა იმ დიდი ირლანდიელი ავტორის შემოქმედებას, რომელიც აქა-იქ, ნაწყვეტებად თუ იყო შეტანილი მე-20 საუკუნის პოეზიის ქართულ ანთოლოგიებში.

“კელტური მიმწუხრის” (2010, ინტელექტი) ოსტატური თარგმანი დასტურია იმისა, რომ იეიტსის პოეზიის კომპლექსური სიმბოლიზმი და მისი ძლიერი ემოციური ენერგია ტოვებს საკმარის ადგილს ინტერპრეტაციების სიმრავლისა და თარგმანის ვარიანტულობისთვის. წიგნში შესულია იეიტსის ყველა ფართოდ ცნობილი და რჩეული ლექსი, რომლებიც დღესაც აქტუალურია და დიდ ინტერესს იწვევს.

საყურადღებოა, რომ კრებულის პირველი ლექსი “ბედნიერი მწყემსის სიმღერა” (1889) იეიტსის ყველაზე ადრეულ შემოქმედებით ეტაპს, პოეტის სიმბოლისტურ პერიოდს ეკუთვნის, თუმცა მოგვიანებით მკითხველი ეცნობა უმნიშვნელოვანეს ლექსებს მოდერნისტული პერიოდიდან. შეიძლება ითქვას, რომ მედია ზაალიშვილი მიყვება იეიტსის შემოქმედების ქრონოლოგიური განვითარების ხაზს და ის დიდი ესთეტიკური გარდატეხა, რომელიც პოეტის შემოქმედებაში მე-19 და მე-20 საუკუნეებს შორის მოხდა, თარგმანშიც ინტენსიურად იგრძნობა. ამ ეფექტის დაჭერა შეუძლებელია მხოლოდ ორიგინალი ტექსტის სკრუპულოზური ნაკითხვით, თუ მთარგმნელი მეცნიერულად არ უდგება იმ თეორიულ და ესთეტიკურ პრინციპებს, რომლებიც სათარგმნი მასალის მიღმა არსებობს. სწორედ ასეთი ლიტერატურათმცოდნეობითი დაკვირვება და დამოკიდებულება იგრძნობა მედია ზაალიშვილის გადმოქართულებულ ირლანდიურ პოეზიაში.

“არკადიის ტყეთ ტოტ-ფოთოლი
შემოქარცვათ
და ანტიკური სიხარული ძირ-ფესვში გახმა,
სხვა რალა დარჩა ძველ სამყაროს სიზმრების
ნაცვლად,
ჭრელ ტიკინას ჰგავს თმაჭალარა სიმართლე
ახლა”.
(“ბედნიერი მწყემსის სიმღერა”, 1-4)

ქართული კრებული იწყება სწორედ ამ ადრეული ლექსის თარგმანით, რომელშიც საუცხოო ემოციური მოქნილობითაა წარმოდგენილი ის ცვლილება, რომელიც იეიტსის მწყემსს მიჯნავს რომანტიზმის ლირიკული გმირისგან, ვინაიდან აქ ბუნება გაქცევის საშუალებად აღარ არის აღქმული.

ლექსის ორიგინალში ვკითხულობთ:
“The woods of Arcady are dead
And over is their antique joy;”

ქართულ თარგმანში სიტყვა “სიკვდილი” გაშლილია როგორც მაგიური არკადიის ტყის “შემოქარცვა” და ნგრევა. ხოლო ანტიკური სიხარული არა უბრალოდ დასრულდა, არამედ “ძირ-ფესვში გახმა”. მთელი ლექსის განმავლობაში კვდომისთვის სახასიათო ქართული ეპითეტებით შექმნილი ტონი

იდილიურსა და “ბედნიერ” მწყემსს მეტად უიმედოდ წარმოაჩენს, ვინაიდან თარგმანში ლირიკული გმირი გარემოს ცვლილებას, ახალ რეალობასა და საკრალურობის მოშლას უფრო ინტენსიურად აღიქვამს და შეიგრძნობს, ვიდრე ამას ორიგინალში ვხვდებით.

შემდეგი ლექსის - “სევდიანი მწყემსი” - როგორც ორიგინალის, ისე ქართული თარგმანის მკითხველს კიდევ ერთხელ უჩნდება სახეცვლილი რომანტიზმის ლირიკული გმირის ასოციაცია. აქაც, ბუნებას მწყემსის არ ესმის და ეს გაუცხოება ლექსის მთავარი თემაა:

“წამოიძახა: ზღვავე, უსმინე ჩემს მტანჯველ
ამბავს.

ზღვა უკუიქცა მისთვის ჩვეულ ხმაურით ისევ
და აზვირთებულ ოცნებებით შეერწყა

სივრცეს.

და განერიდა კაცი ზღვათა ტალღების დევნას,
და შორს, თვალწარმტაც ხეობაში შეჩერდა იგი,
იქ, ნამის წვეთებს გაუშხილა ამბავი რიდით,
მაგრამ მათ სხვაგან გაურბოდათ თვალი და
სმენა,

აყურადებდნენ ცვრის წვეთების ზეციდან

ცვენას.”

(“სევდიანი მწყემსი”, 9-16)

არადენისეული დამატება იმაზე, რომ ლირიკული გმირი რიდით ჰყვება თავის ამბავს, კიდევ უფრო ამძაფრებს მისი სასოწარკვეთისა და გაუცხოების მოტივებს. თარგმნისას ჩანართის გაკეთება დასაშვებია, თუ არ იკარგება ტექსტის ძირითადი სემანტიკური კომპონენტები და თუ ორიგინალი ტექსტის იმპლიკაციები სწორადაა ამოკითხული. მედია ზაალიშვილის შემთხვევაში, ნათელია, თუ რამდენად სათანადოდ ფლობს იგი იეიტსის შემოქმედების სხვადასხვა პერიოდებსა და სტილის ევოლუციას. “კელტურ მიმწუხრში” შესული მწყემსის თემაზე შექმნილი ამ ორი ადრეული ლექსით მთარგმნელმა ბუნების კვდომა და ლირიკული გმირის კრიზისი რომანტიზმისთვის ჩვეული ტონით წარმოაჩინა, თუმცა, ამავდროულად, ეპითეტების სიმძაფრითა და უიმედობით მას იდეურად დაუპირისპირა. მართლაც, მე-20 საუკუნის დასაწყისში პოეტები აქტიურად უარყოფენ რომანტიზმის ესთეტიკურ პრინციპებს და პოეზია შორდება პასტორალურ, “სილამაზის” მიღწევაზე ორიენტირებულ თემებს. ამის ნაცვლად, აქცენტი გადატანილია მექანიკური, კრიზისული გარემოს იმპერსონალურად წარმოჩენასა და ინტერპრეტირებაზე. ახალი პოეზიის ახალი პერსონაჟები არკადიის ტყეში მოხეტიალე მწყემსები აღარ არიან, ისინი ტ. ს. ელიოტის ფუტურო კაცებს უფრო წააგვანან. ამ მხრივ საინტერესოა იეიტსის გვიანდელი, მოდერნისტული პერიოდის შემოქმედება და მისი თარგმანიც.

“დანაწევრებულ საგნებს ველარ აკავებს

ლერძი,

აღვირახსნილი ანარქია სამყაროს ებრძვის.

ნაკადი, სისხლით დაბინდული, მოდის ულევად
და შიგ იხრჩობა უმანკოთა წეს-ჩვეულება,
საუკეთესოს დაჰკლებია თვითდაჯერება,

ხოლო უარეს მგრძნობელობის ვნება ერევა.
გამოცხადება კარს მოგვადგა უკვე ნამდვილად,
მეორედ მოსვლა კარს მოგვადგა უკვე
ნამდვილად,

მეორედ მოსვლა!"
(“მეორედ მოსვლა”, 3-11)

“მეორედ მოსვლაში” ე.წ. იდეალური წესრიგის ყველა იმედი ქრება. ლექსში განსახიერებულია ის ყოვლისმომცველი სისხლისღვრა და ანარქია, რომელიც მსოფლიო ომის შედეგად შექმნილ სამყაროში ყოველდღიურობად იყო ქცეული. თარგმანში ქაოტური და კრიზისული ტონი შემოტანილია სალექსო სტრიქონის წყობით, ინტონაციითა და მახვილთა განლაგებით და არა მორფოლოგიით ან სინტაქსით. ფრაზათა გამეორებებისა და მოკლე წინადადების უცვლელად შენარჩუნებით ფრაგმენტული და, ამავდროულად, ციკლური ინტონაცია მთარგმნელს იდენტურად აქვს გადმოტანილი - “ბრუნავს და ბრუნავს”, “გამოცხადება კარს მოგვადგა...მეორედ მოსვლა კარს მოგვადგა...მეორედ მოსვლა”, “უკვე ნამდვილად...უკვე ნამდვილად”. ადრეული ლექსებისაგან განსხვავებით, იეიტსის მოდერნისტული პერიოდის ლექსების თარგმანებში ენა განზრახ სადა და პირდაპირია, რაც ტექსტს უფრო მძაფრ ექსპრესიულობას ანიჭებს. ამ და, ზოგადად, მედია ზაალიშვილის მიერ თარგმნილ იეიტსის ყველა ლექსში, ვხვდებით მეტად გამოკვეთილ აზრობრივ სიზუსტეს, თუმცა, ამავდროულად, ქართული ვარიანტების უმთავრესი ღირსებაა დედნის რიტმისა და ინტონაციის ღრმა გააზრება და მისი ზუსტი ქართული შესატყვისის მოძებნა.

არანაკლებ საგულისხმოა ტერმინოლოგიური სპეციფიკა ისეთი მნიშვნელოვანი სიტყვის თარგმნისას, როგორც “gyre” არის იეიტსის შემოქმედებაში:

“Turning and turning in the widening gyre The Second Coming, 1.

“ბრუნავს და ბრუნავს, ფართოვდება ჯარა ძალუმად” მეორედ მოსვლა, 1.

გარდა ლექსებისა, ეს ტერმინი ფიგურირებს იეიტსის ადრეულ ესეებში და მოგვიანებით, 1923 წელს პოეტის გამოქვეყნებულ წიგნში “ხილვა” (A Vision), რომელიც ფილოსოფიური, ოკულტური, გეომეტრიული, ისტორიული, სპირიტუალური თეორიების ერთგვარი ჰიბრიდია და, მიუხედავად მისი არაორდინალური, ზედმეტად დეტალური და ჩახლართული კონცეფციებისა, მაინც უკავშირდება არაერთ ესთეტიკურ პრინციპსა და სიმბოლოს მის პოეზიაში. იეიტსის ამ ნაშრომის მიხედვით, “gyre”, რომელიც ზოგადი განმარტებით სპირალს ან წრიულ მოძრაობას აღნიშნავს, 2000 წლიანი ისტორიული ციკლია, ხოლო მედია ზაალიშვილის თარგმანში იგი გვხვდება როგორც “ჯარა”. იეიტსის ფილოსოფიური თუ ოკულტური შეხედულებების მიხედვით,

ჯარას, იგივე სპირალის, გაფართოება და შემცირება ცივილიზაციის დაბადებასთან და კვდომასთან არის დაკავშირებული. ქართულ ენაში კი ეს სიტყვა ძაფის სართავ ჯარასთან არის ასოცირებული, რომლის საშუალებითაც ოსტატი ძაფს ჭიმავს და აწვრილებს. ამრიგად, ტერმინის ასეთი სახით გადმოტანით მთარგმნელი არა მარტო სტილისტურ მსგავსებას ინარჩუნებს დედნისეულ ტერმინთან, არამედ, ხალხური ყოფა-ცხოვრების ნივთის სახელის გამოყენების მიუხედავად, მაინც იგივე მექანიზმის აღმნიშვნელ სიტყვას იყენებს, რაც მეტად საინტერესო იმპლიკაციური დეტალია.

ამ რამდენიმე სხვადასხვა პერიოდიდან აღებული ლექსის განხილვის ფონზეც ნათელია, რომ მედია ზაალიშვილის შემოქმედება დასტურია იმ ჭეშმარიტებისა, რომ ჩვენს ეპოქაში არ შეიძლება პოეზიის თარგმნის შესაძლებლობაში დაეჭვება. იეიტსის პოეზიის თარგმანებში შენარჩუნებულია ყველა მნიშვნელოვანი მხატვრული სახე და ლექსიკური ერთეული. იეიტსის პოეზიის მკვლევრებისთვის განსაკუთრებული დატვირთვისა და მნიშვნელობის დეტალები თარგმანის ტექსტში ადეკვატურადაა გადასული და მთარგმნელი ზუსტ გასაღებს უძებნის მათი ქართული მრავალფეროვანი შესაბამისობის წარმოჩენას. ქართველი ლიტერატურათმცოდნე მ. კვესელავა მოდერნისტულ პოეზიას ფილოსოფიურ ჭრილში საინტერესოდ განიხილავდა და, მისი აზრით, “ყველაფერს, უდიდესსაც და უმცირესსაც უნივერსალური სულიერი სივრცე აერთიანებს და ისიც არა მხოლოდ ერთსა და მის მეორეს, თუნდაც მესამეს, არამედ მრავალ, თითქოსდა ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელ საგნებს, მოვლენებსა და ცნებებს. ამგვარი შეერთება კი ახალ პოეტურ სინამდვილეს ქმნის”. ალბათ სწორედ ასეთი, მესამე და განუსაზღვრელი “ახალი პოეტური სინამდვილის” შექმნის იდეაა ყველაზე ახლოს ეკოსეულ მიუღწეველ იდეალურ თარგმანთან, რაც მედია ზაალიშვილს ასე ოსტატურად გამოსდის. უდიდესი კრიტიკოსი კ. ბრუკსი წერდა, რომ “პოეზიაში მსჯელობის ხაზს მხოლოდ იმ დეტალების გამო მიყვებით, რომლებიც გზის პირას გვხვდება. ჩვენ ან გვირილა მიგვიტყუებს, ან უცნაური ბუჩქი”³. სრულყოფილ თარგმანშიც ასეა. მკითხველს აზრობრივი სიზუსტე და ლოგიკური ხაზის მიყოლა იმდენად არ ხიბლავს, რამდენადაც მშობლიურ ენაში ამა თუ იმ დეტალის მრავალფეროვანი ინტერპრეტაცია, მედია ზაალიშვილი კი დიდი ზომიერებით, ბუნებრიობითა და ოსტატობით ახერხებს ამ ყველაფერს. იეიტსის პოეტიკა, თავისი გრძნობითა და ფორმით, მთარგმნელს ქართული პოეტური მეტყველების ნიაღში აქვს მოქცეული, ამგვარი თარგმანი კი საგულისხმოა არა მხოლოდ იმით, რომ ირლანდიელ პოეტს პირველად გვაცნობს მშობლიურ ენაზე, არამედ იგი იმ ლიტერატურასა და ენასაც ამდიდრებს, რომელზეც ითარგმნა და ეს ალბათ მედია ზაალიშვილის მოღვაწეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ღირსებაა.

3 „We follow the pathway of the argument [of the poem] really for the sake of the details that border the path. We are tempted to pick a daisy or to investigate an oddly shaped bush.”



დავით ცარელაშვილი

სული რომ ამომდიოდა ანუ მოდერნისტული ეპოსი

“ღმერთმა დასწყევლოს ეს გზა”¹

სული რომ ამომდიოდა



როდესაც ხანგრძლივი და მომქანცველი პოლიტიკური საქმიანობის შემდეგ, სერ უილიამ ჩარლზი სიბერისა და სიმშვიდის წლების გასატარებლად მშობლიურ იორკშირში დაბრუნდა და ბინა მამაპაპისეულ მამულში დაიდო, გადანყვიტა, გაცდენილი დრო აენაზღაურებინა და წაეკითხა უკანასკნელ წლებში გამოსული ინგლისურენოვანი წიგნები (ის წიგნები, რომლებსაც მოდერნისტული ლიტერატურის სახელით ვიცნობთ), რომლებზეც ასე ბევრს საუბრობდნენ მისი ხანმოკლე თუ ახალგაზრდა ნაცნობები. ვიქტორიანულ ლიტერატურაზე გაზრდილი ჩარლზი ძალზე გააკვირვა იმან, რაც იმ წიგნებში ამოიკითხა, მაგრამ ბევრად უფრო განცვიფრებული დარჩა ახალი ამერიკული ლიტერატურით, რომელსაც თითქოს არაფერი საერთო აღარ

ჰქონდა ოკეანისგადაღმა დაწერილი, მე-19 საუკუნის თითო-ოროლა რომანთან, ასე რომ ამაყოფნენ მისი ამერიკელი კოლეგები, თვითონ კი თავშეკავებული, ოდნავ ირონიული ქათინაურებით ამკობდა. შედეგად, შეიქმნა არაერთი ჩანანერი თუ მინანერი, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა მისი მსჯელობები ახალ ამერიკულ ლიტერატურაზე. მათ დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა და ამგვარად უღერს:

“გავეცანი ინგლისელი და ამერიკელი ავტორების წიგნებს და, უნდა ვაღიარო, ფრიად მოხიბლული დავრჩი ახალგაზრდა მწერლების ოსტატობით. ბრიტანელებს ოდითგან მოგვდგამდა წერის ნიჭი და, როგორც ჩანს, ნიჭის ამ უხვ მდინარეს არც ახალ საუკუნეში უწერია დაწრეტა; მაგრამ ამერიკულ

1 მედეა ზაალიშვილის თარგმანი

მწერლობას, გამოვცადები; ნიადაგ ეჭვის თვლით ვუმზერდი და როცა მათ გამოჩნულ ავტორებს, ირვინგს, კუპერს, პოს, ჰოთორნს, მარკ ტვენსა და დანარჩენებს ჩვენს სათაყვანო მწერლებს ვადარებდი, სიამაყის ცოდვანარევი განცდა მეუფლებოდა (განსაკუთრებით როცა იმ სათავგადასავლო აბდაუბდა, ვეშაპსამონადირეო წიგნს მიქებდნენ, რომელზეც, ამ ბოლო დროს, სულ უფრო და უფრო მეტი კარგი გამოხმაურება მესმის), თუმცა, როგორც ჩანს, ამერიკელთა ახალმა თაობამ ჩვენზე არანაკლებ, თუ არა უკეთ, შეიმეცნა თანამედროვე სამყაროს სიაჯარგენი, მათ წიგნებშიც რომ ასახულა და ზემოხსენებული ჩემი სიამაყეც, ვინ იცის, ეგებ სიბერის ყამითაც, გვარიანად მიინავლა. ახალი ინგლისური ლიტერატურა, გავბედავ და ვიტყვი, იმ განუზომლად ნიჭიერი, ოლონდ ცოტა ჭირვეული და გვარიანად გულჩათხრობილი ყმაწვილკაცებისა და ყმაწვილქალების დაწერილს ჰგავს, რომელთაც განათლება ოქსფორდსა და კემბრიჯში მიუღიათ და თავიანთი ცოდნა თუ პიროვნული სირთულენი მრავალსაუკუნოვანი ბრიტანული დახვეწილობით შეუზავებიათ, აი ამერიკელებს კი, ეს ყოველივე ველური დასავლეთის, სამხრეთ შტატების მანკიერი და თანამედროვე მეტროპოლიების გამოცდილებით უქცევიათ დიდ ლიტერატურად. თუმცა მათ შორისაც ბევრი განსხვავებაა. თეოდორ დრაიზერის კითხვისას ფრანგული სოციალური რომანები მომავგონდა, კი, მშვენივრად და დაწერილი, მაგრამ სიღრმე და ემოცია დამაკლდა; შერვუდ ანდერსონი უდავოდ ნიჭიერი მწერალია, მისმა ექსპერიმენტულმა მოთხრობებმა პატარა ამერიკული ქალაქების სატიკივარი ჩემს პოლიტიკისგან გაუხეშებულ გულამდე მოიტანა და ჩამაფიქრა; სკოტ ფიცჯერალდი ყველაზე უკეთ გამოხატავს იმ ამერიკას, რომელიც დეპრესიამდე არსებობდა (მასზე ალბათ ცალკეც დაწერ), ჰემინგუეი კი თითქოს თანამედროვე მწერლის ეტალონია, მაგრამ მისი წერის სტილით ვერ მოვიხიბლე - ცოტა მშრალი მეჩვენება. ჯამში, ყველა კარგია, არა, ძალიან კარგი, მაგრამ კითხვისას განსაკუთრებული ემოციები ვერცერთმა ვერ აღძრა ჩემში და, რომ მეგონა, დავბერდი, გრძნობები დამიქვეითდა-მეთქი, ორ იაფფასიან გამოცემას ვადავაწყდი მისტერ უილიამ ფოლკნერისას და ჰემ, ყველაფერს მივხვდი, წლები სადაც გაუჩინარდნენ, ახლაც შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ, თუ სადმე ლიტერატურული სამართალი არსებობს, ამ მწერალს დიდი მომავალი აქვს და, ცოტა უფრო ღრმადმორწმუნე რომ ვიყო, ვიტყოდი, მისტერ ფოლკნერის გულისა და გონებისთვის ღმერთი და სატანა ებრძვიან ერთმანეთს და მის გადასაბირებლად, დროდადრო, თავიანთი საუკეთესო თვისებებით - ზეციურითა და დემონურით აჯილდოებენ-მეთქი, იმდენად ჯოჯოხეთური ღვთაებრიობითაა მისი წიგნები ნაკვები... ჯერჯერობით მხოლოდ ორი წიგნი წავიკითხე, "ხმაური და მძვინვარება" და "სული რომ ამომდიოდა", რომელთაგან ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მომეწონა... მსახურთუხუცესი გავგზავ-

ნე, რათა მისი სხვა რომანებიც იშოვოს".
 ძნელია სერ ჩარლზს არ დაეთანხმო, მითუმეტეს, რომ მასზე მეტი ვიცი და მწერლის მთელ შემოქმედებასაც კარგად ვიცნობთ, რადგან იმ დროისთვის, როდესაც ეს დღიური იწერება, ფოლკნერს ახალი რომანები ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებია და სერ ჩარლზის მსახურთუხუცესს ბევრი-ბევრი "ჯარისკაცის ჯილდო", "სარტორისი" და "სავანე" მოეძიებინა, რაც პატივცემულ დიპლომატს, სავარაუდოა, არცთუ მოხიბლულს დატოვებდა, რაკი ეს უკანასკნელი რომანი სავსეა ათასი ძალადობითა თუ დანაშაულით და ხანში შესული ბრიტანელისთვის ძალზე უსიამოვნო საკითხავი უნდა ყოფილიყო. "ხმაური და მძვინვარება" დაახლოებით მაინც გასაგებია, რატომ მოენონა სერ ჩარლზს; როგორც თავად აღნიშნავს, არ ელოდა, რომ ოკეანისგალმა მწერლობაში საკუთარი ქვეყნის დიადი უახლესი წარსულის ნგრევისა და ბუნდოვანი მომავლის ანარეკლს გადაწყდებოდა; მაგრამ მეორე რომანში ("სული რომ ამომდიოდა") თუმცაღა მსგავსს ვერაფერს დაინახავდა, მაინც აღფრთოვანებული დარჩა პერსონაჟებით, ფორმით, ტრაგიზმით, კომიკურობით, აბსურდულობითა და მითოლოგიური პლასტებით, რაც ასევე ახასიათებდა მის თანამედროვე ბრიტანულ ლიტერატურას.
 იოკნაპატოფას ციკლის რომანების ფოკუსი, როგორც წესი, ოჯახებისკენაა მიმართული. თუ "ხმაური და მძვინვარება" სამხრეთული არისტოკრატიული ოჯახის დაქცევასა და გადაგვარებაზე გვიყვება, ხოლო ფოლკნერის უფრო გვიანდელი რომანები სნოუპსების გვარის მიერ იმავე სამხრეთის მიტაცების შესახებ, "სული რომ ამომდიოდა" ხელმოკლე ოჯახის ამბავია, რომელსაც არც წარსული აწევს მძიმე ლოდად ზურგზე კომპლსონებივით თუ მაქქასლინებივით და არც განსაკუთრებული მატერიალისტური ამბიციები აწუხებთ სატყუნივითა თუ ზემოხსენებული სნოუპსებივით. მათი ისტორია ერთ წიგნში იწყება და, ფაქტობრივად, ერთ წიგნშივე სრულდება, იმ წიგნში, რომელიც ფოლკნერისთვის შემოქმედებითი გამარჯვების ან მარცხის სიმბოლო უნდა გამხდარიყო, რადგან პირველი რომანების წარუმატებლობის გამო მთელ იმედებს მასზე ამყარებდა ("წერის დაწყებამდე გულში ვთქვი... ან გავიტან ლელოს, ან ჩავფლავებდი და ჩემს დღეში საწერ-კალამს აღარ გავეკარები")². შესაბამისად, შემოქმედებით პროცესსაც განსხვავებულად მიუდგა. თუ მწერლის სიტყვებს დაუფჯერებთ (და უნდა გვახსოვდეს, რომ ფოლკნერი ხშირად მიმართავდა მისტიკივაციას წერის პროცესთან მიმართებით), "ხმაური და მძვინვარების" წერისას ჯერ ბენჯის მონაკვეთი დაწერა და რომ იფიქრა, გაუგებარი გამოივიდაო, კვენტინის თავი დაამატა, შემდეგ, იმავე მიზეზით, ჯეისონის მონაკვეთი და ასე შემდეგ. ხოლო ახალი რომანის შესახებ ამბობდა: "სანამ ხელში კალამს ავიღებდი და პირველ სიტყვას დაწერდი, ვიცოდი, როგორ დაბოლოვდებოდა უკანასკნელი წინადადება".



მწერალს რომ სათქმელი მოუმნიფდება, თან ისეთ ავტორს, როგორც ფოლკენერია, რა რთულ პირობებშიც არ უნდა აღმოჩნდეს, ფურცელზე მაინც გადაიტანს და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. იმ დროს, 1929 წელს, მისისიპის უნივერსიტეტის ელექტროსადგურში მენახშირედ მუშაობდა ლამის ცვლაში, ჩაყრიდა ნახშირს ურიკაში, მიჰქონდა ცეცხლფარეშამდე და საცეცხლურში უკეთებდა. ღამეები ღამეებს მისდევდა, რუტინული საქმე იყო, დამღლელი და სულისშემხუთველი, მაგრამ როგორც კი ახალი რომანის ფაბულა, სიუჟეტი და პერსონაჟები საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ მწერლის გონებაში, ცარიელი ურიკა გადმოაბრუნა, ასე ვთქვათ, სანერ მაგიდად გადააქცია, აიღო ფურცელი, კალამი და წერას შეუდგა. როგორც თვითონ იხსენებს, ღამის 11 საათისთვის ხალხი უკვე იძინებდა, საქვაბეში დიდი წნევის საჭიროება აღარ არსებობდა და ცეცხლფარეშიც აღარ ეუბნებოდა, ქვანახშირი მაკლდებაო. ექვსი კვირის განმავლობაში, ასეთ პირობებში წერდა წიგნს, რომელსაც “სული რომ ამომდიოდა” უწოდა და სადაც ბანდრენების ოჯახის ეპიკური მოგზაურობა აღწერა, ოჯახის მატრიარქის, ედი ბანდრენის მშობლიურ მინაზე დასამარხად რომ წამოიწყეს.

ფოლკენერს ყოველთვის უყვარდა სათაურები, რომლებიც მწერლის თამამ განაცხადსაც წარმოადგენდნენ და, იმავდროულად, ტექსტსაც ორგანულად ერწყმოდნენ. თუ “აბესალომ, აბესალომს” ბიბლიურ ნარატივთან მივყავართ, ხოლო “ხმაურსა და მძვინვარებას” შექსპირის მაკბეტთან, “სული რომ ამომდიოდა” ეხმიანება ოდისეას XI სიმღერას, რომელშიც ოდისეესის ჰადესის საუფლოში ჩასვლაა აღწერილი, სადაც აგამემნონი ოდისეესს თავისი მუხანათური მკვლელობის ამბავს უყვება: “*მომაკვდებოდა ერთი წამოვიწიე, მახვილისთვის მინდოდა წამეტანა ხელი, მაგრამ გამექცა ის ძალთაპირი დიაცი, სულამომდინარეს არც პირი დამიმუწა და არც თვალები დამიხუჭა*”³.

სხვა მოდერნისტი ავტორების მსგავსად, ფოლკენერიც ხშირად ეყრდნობა მითებსა და არქეტიპულ სახეებს თავის ნაწარმოებებში, მათ შორის მოგზაურობის ფაბულას, რომელიც არაერთ ანტიკურ, თუ შუა საუკუნეების მნიშვნელოვან ტექსტს უდევს საფუძვლად. და რამდენადაც ფოლკენერი ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული ამერიკელი მწერალია, რომელმაც, ალბათ, ყველაზე კარგად იცის თავისი ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა, გასაკვირი აღარაა, რომ მის ძალიან ბევრ რომანში ვხვდებით საზოგადოებრივ ნარატივს, როგორც ამერიკული ყოფისა და ცნობიერების მთავარ ქვაკუთხედს. სწორედ ამიტომ, ბანდრენების მოგზაურობა მითოლოგიურ განზომილებას იძენს, ოღონდ ეგაა, მისი ეპიკურობა, გამომდინარე იქიდან, რომ რომანი მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში იწერება, რადიკალურად განსხვავდება ანტიკური თუ შუა საუკუნეების ეპოსის მასშტაბებისა და მორალისგან. როგორც ჯოზეფ კემპბელი განმარტავს, კლასიკურ ლიტერატურაში აღწერილი ეპიკური მოგზაურობები ძალზე გრძელი

და სახიფათო წამოწყებებია, რომლებიც დიდ ძალისხმევასა და თავგანწირვას მოითხოვენ და, როგორც წესი, ღმერთების, ნახევრადღმერთების ან/და ღვთისდარი გმირების მიერ ხორციელდება. მოგზაურობის პარალელურად გმირი იზრდება, ვითარდება და წარმატებასაც აღწევს, თუმცა მის ზრდასა და განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ გმირის ქმედებებმა საზოგადოებაზეც მოახდინოს სასიკეთო გავლენა, რადგან ყოველი ასეთი წამოწყება დიადი მიზნითაა განპირობებული. ერთი შეხედვით, ფოლკენერის რომანის გმირების მოგზაურობაშიც მოჩანს აღნიშნული ელემენტები: ოჯახის მიზანი, გარდაცვლილ დედას უკანასკნელი სურვილი აუსრულოს და ჩრდილოეთ მისისიპიდან მშობლიურ ჯეფერსონში გადასვენოს, ნამდვილად კეთილშობილურია; მთელი მათი მოგზაურობა საესეა დაბრკოლებებით, რომლებსაც დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც გადალახავენ; დიდ მსხვერპლსაც გაიღებენ; და დასახულ მიზანსაც წარმატებით სრულყოფენ; მაგრამ მათი ეს, ვითომდა, კეთილშობილური მიზანი საკუთარი ეგოისტური, ყოფითი მოტივებითაა შებღალული და ნელ-ნელა გასაგები ხდება, რომ ოჯახის უფროსი, ენს ბანდრენი, კბილის პროთეზის გასაკეთებლად უფრო მიჩქარის ჯეფერსონისკენ, ვიდრე მეუღლის თხოვნის შესასრულებლად; ქალიშვილს, დიუი დელს, მუცლის მოსაშლელი წამლის ყიდვა უნდა, მის პრაგმატულ ძმას, ქემს, გრამოფონის, ხოლო ყველაზე პატარა ვარდამანს - სათამაშო მატარებლის. რაც მთავარია, მათ მოგზაურობას, მათ გარჯასა და მათ თავგანწირვას სასიკეთო შედეგი არ მოაქვს სოციუმისთვის და იმის ნაცვლად, ხალხის პატივისცემა მაინც დაიმსახურონ, საპირისპირო შედეგს იღებენ. მათი “გმირული სულისკვეთება” კი მოდერნისტი მწერლის ხელში აბსურდის თეატრს ემსგავსება და კომიკურ ელფერს იძენს.

მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი ფოლკენერის ერთ-ერთი საყვარელი თემაა და გვამები მის ბევრ ნაწარმოებში გვხვდება, იქნება ეს “ხმაური და მძვინვარება”, “ვარდი ემილისთვის”, თუ “გვამის შემგინებლები”, გარდაცვლილის ამგვარი მოგზაურობის ანალოგი, რომელსაც “სული რომ ამომდიოდა” გვიხატავს, როგორც ფოლკენერის მკვლევარი და მისისიპის უნივერსიტეტის პროფესორი, რობერტ ჰემბლინი შენიშნავს, თითქმის შეუძლებელია ამერიკის სამხრეთის უახლეს ისტორიაში დაფიქსირებულიყო. სწორედ ამიტომ, გამომდინარე იქიდან, რომ რომანი მაინც შუა საუკუნეების საგმირო ეპიკური რომანის ქარგაზეა აგებული, იგივე ჰემბლინი ვარაუდობს, რომ მწერლის შთაგონების წყარო მე-13 საუკუნეში მომხდარი ისტორიული მოვლენა გახდა. ინგლისის მეფე ედვარდ პირველის ბრძანებით მისი მეუღლის, ელეონორ კასტილიელის ცხედარი ჩრდილოეთ ინგლისიდან ლონდონში გადამოსვენეს, რათა ვესტმინსტერის სააბატოში დაეკრძალათ, მოგვიანებით კი, მისსავე პატივსაცემად, იმ თორმეტ ადგილას, სადაც პროცესიამ ღამე გაათია, სიმბო-

3 თამაზ ჩხენკელისა და ზურაბ კიკნაძის თარგმანი



ლურად, ჯვრები აღამართვინა. საგმირო რომანსე-ბისგან განსხვავებით, ფოლკნერის რომანის გმირე-ბი ღარიბი ფერმერები არიან, მათ შორის ედი ბანდრენიც, რომელიც, მართალია, განათლების დონით ბევრად აღემატება ქმარ-შვილს, არც არისტოკრატია და არც სამეფო გვარის წარმომადგენელი, მაგრამ ფოლკნერი განსაკუთრებულ თანაგრძნობას იჩენს მის მიმართ და სურს, ისეთივე პატივი მიაგოს ბანდრენების ოჯახის დედას, როგორც ლეგენდა-რულმა ბრიტანელმა დედოფალმა დაიმსახურა საუკუნეების უკან. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დედოფლის დაკრძალვა, დღევანდელი გადმოსახე-დიდან, არცთუ რომანტიკულად გამოიყურება - ძვე-ლებური ტრადიციის თანახმად, მისი შინაგანი ორგანოები ლინკოლნის კათედრალში დაიკრძალა, გული ბლექფორიარში, ხოლო სხეული ვესტმინსტერის საააბატოში - და ედი ბანდრენის უკანასკნელი მოგზაურობის ხასიათს იდეალურად ერწყმის. რომანში 15 ნარატორი და 59 მონოლოგია, საიდანაც ედი ბანდრენს მხოლოდ ერთი ეკუთვნის, მაგრამ სწორედ ეს ერთია ღერძი, რომლის ირგვლივაც იკ-ვრება რომანის სიუჟეტი, ისევე როგორც მისი სიკ-ვიდილი კრავს, თუნდაც დროებით, დაშლილსა და დანაწევრებულ ოჯახს, რომლის წევრებიც, მათი ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად, ცდილობენ საკუთარი სათქმელი გადმოსცენ. მკითხველიც ერთი პერსონაჟიდან მეორეზე გადადის და ამგვარად ახერხებს გაარკვიოს სიმართლე, რომელიც არასანდო მთხრობელების წყალობით გამუდმებით ხელიდან უსხლტება; და ფოლკნერიც ყველა ღონეს

ხმარობს, გზები დაუხლართოს, მიუხედავად იმისა, რომ “ხმაური და მძვინვარებისგან” განსხვავებით, რომანში მეტ-ნაკლებად ლინეარულ ნარატივს გვთავაზობს - დასაწყისით, განვითარებითა და კულმინაციით. თუმცა ისიც ფაქტია, რომ მწერალმა საკმაოდ რთული მისია იკისრა - განსხვავებული ხა-სიათის, მსოფლმხედველობისა და ფსიქიკის მქონე თხუთმეტი პერსონაჟი შექმნა და ყველას ინდივიდუ-ალური ენა შესძინა. თუ წლების განმავლობაში მარკ ტვენის ჰაკლბერი ფინი იყო ის ტექსტი, რომელიც ყველაზე ავთენტური, რეგიონული ამერიკული ენით მეტყველებდა, მოგვიანებით, ეს როლი ფოლკნერის რომანმაც შეითავსა, ოლონდ, ცხადია, მისი გმირები ჰაკზე და ჯიმზე უფრო მეტს ნვალობენ საჭირო სიტყვების საპოვნელად - სამწუხაროდ თუ საბედნი-ეროდ, მე-20 საუკუნის ბინადრები არიან და მათი ლექსიკური მარაგი მათივე ფიქრების გასახმოვა-ნებლად საკმარისი არ არის.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ფოლკნერის თარგმნა ურთულესი საქმე უნდა იყოს და ვინც ამ მტანჯველ საქმეს შეეჭიდება, აპლოდისმენტებს იმ-სახურებს. რა თქმა უნდა, ის ანდაზაც გაგვიგონია, ცუდად ჯდომას ცუდად შრომა ჯობიაო, მაგრამ ფოლკნერის ამ რომანს ნამდვილად გაუმართლა (ისევე როგორც მის ბევრ სხვა ნამუშევარს). მედია ზაალიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ფოლ-კნერის რომანი უშუალოდ ორიგინალი ენიდან თარ-გმნა, თანაც იმ დროს, როცა არც ინტერნეტი არსებობდა, არც ელექტრონული ბაზები და არც ონ-ლაინ ლექსიკონები, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნე-ლოვანია მსგავსი ავტორების თარგმნის პროცესში. მედია ზაალიშვილი ფოლკნერის შემოქმედებას კარ-გად იცნობს, მისი რომანის გადმოქართულებასაც ამ ცოდნით შეჭურვილი შეუდგა და შედეგად არაჩვეუ-ლებრივი თარგმანით გაამდიდრა ქართული ლიტე-რატურული სივრცე, რასაც, სულ ახლახან, მწერლის ადრეული ნამუშევარი, “ნიუორლეანული ჩანახატე-ბიც” შემატა. ზოგადად, ქართული მთარგმნელობი-თი სკოლის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ფოლკნერის თითქმის ყველა რომანისა თუ მნიშვნე-ლოვანი ნაწარმოების ქართული გამოცემა მოგვე-პოვება, რაც ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის დიდი მოვლენაა, და სერ უილიამ ჩარლზე უპირატეს მდგომარეობაში გვაყენებს, ვისი სიტყვებითაც გვინდა ეს წერილი დავასრულოთ: “წიგნი რომ დავ-ხურე, უკვე ბინდდებოდა, ერთი ამოსუნთქვით წა-ვიკითხე... შემძრა... სახლის მეორე სართულზე ავედი და ჩემს წინ გადაშლილ შენაცრისფრებულ მინდვრებს გადავხედე, ქვის ყორეებით რომ დაუქ-სელავთ ჩემს წინაპრებს და, ვინ იცის, რამდენი დი-დი მწერლის შთავგონების წყაროც გამხდარა. არ ვიცი, წიგნმა ასე ძლიერ რატომ იმოქმედა, ეგებ იმიტომ, რომ ასაკმა მიწია და სიკვდილის მსგავსმა მძაფრმა აღწერამ ჩემს ბებერ ძვლებსაც სუსხი მოჰგვარა... ვეჭვობ, ამ ახალ საუკუნეში ამერიკა ლიტერატურაშიც პირველობისთვის იბრძოლებს... ნეტა ჩემი შვილები როგორ არიან? რამდენი ხანია, არ გვისაუბრია, ახალ წელს ერთად არ შევეკრებილ-ვართ...”

მარგარეტ ეტვუდი

ქვრივები

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

კანადელი წყვილის, ნელის და ტიგის ურთიერთობის სხვადასხვა პერიოდი ასახული მარგარეტ ეტვუდის მოთხრობათა კრებულში Moral Disorder. “ქვრივები” პირველი ავტობიოგრაფიული ტექსტია, რომელიც ეტვუდმა 2019 წლის შემდეგ დაწერა, როცა მისი ცხოვრების ბოლო თანამგზავრი გარდაიცვალა, რომანისტი გრემ გიბსონი. მოთხრობაში მწერალი ქალი გადმოგვცემს ნელის, არსებითად კი, თავის სულიერ განცდებს საყვარელი მამაკაცის დაკარგვის გამო.



ძვირფასო სტივი!
გმადლობ წერილისთვის. იმედია, ჯანმრთელად ხარ.
როგორც ჩანს, ახლა წერილები ამგვარად უნდა დავიწყოთ ხოლმე - ვიქტორიანული მოკითხვებით ჯანმრთელობის შესახებ. ეს იქცა ურთიერთობის დასამყარებლად საჭირო პირველ ნაბიჯად - უნინ ამ მიზნით სავიზიტო ბარათებს ტოვებდნენ ხოლმე. და წერილები უნდა დავასრულოთ სიტყვებით: “თავს გაუფრთხილდი”. რა უცნაური სურვილია! არ არსებობს არავითარი “გაფრთხილება”. ნებისმიერ მომენტში შეიძლება განყდეს წვრილი ძაფი, რომელზეც დაკიდულნი ვართ, და მაშინვე

უფსკრულში ჩავცვივდებით. სიტყვა “გაფრთხილება” კანონგარეშე გამოთქმად უნდა გამოცხადდეს. ის ადამიანებს ცრუ წარმოდგენებს უქმნის.
მაპატიე, მაგრამ ენობრივი სტილის მიმართ მომთხოვნი გავხდი, რაც ჩემს ასაკში გასაკვირი არაა. ახალგაზრდების აზრით, საგნების, მოვლენების სახელწოდებები მუდმივია, არ იცვლება, მაგრამ ხანდაზმულები მათ სხვაგვარად აღიქვამენ. ჩვენ ვამჩნევთ ნიუანსებს, განსხვავებებს მნიშვნელობათა შორის. ძველ კალამბურებზე აღარავის ეცინება. შეიქმნა ახალი კალამბურები, რომლებიც ჩვენთვის ყოველთვის გასაგები როდია. თუმ-

ცა, ახლანდელ პურიტანულ ეპოქაში კალამბურებს უფრო იშვიათად თხზავენ - არ იფიქრო, რომ ამის გამო მათ ვინუნებ. ალბათ, ცოტაოდენი სიცილი ქვრივებისთვის ნებადართულია.

თუმცა, ყოველი თაობის კალამბურები მალევე კვდებიან, რაც გასაკვირი არაა. რას ნიშნავს "ოცდასამი სკიდუ"?¹ ბავშვობისას ეს ლექსი ვიცოდი, მაგრამ უკვე მაშინ მოძველებული იყო. საშინელი ლექსია, თუ დააკვირდები: რამდენიმე ყაჩაღი შეიჭრა ერთი ლედის სახლში - იმხანად მოწიფულ ქალებს "ლედის" უწოდებდნენ - და უბრძანეს, რომ მათი სურვილისამებრ მოქცეულიყო, სახელდობრ, წინ დახრილიყო. აქედან არაფერი კარგი არ გამოვიდოდა: ყაჩაღები ოცდასამი იყვნენ, ქალი კი ერთადერთი იყო. მაგრამ "სკიდუ" გაქცევასაც ნიშნავს და ლედიც გაიქცა.

ვარ თუ არა მარტო? ვიტანჯები თუ არა? ცარიელია თუ არა სახლი? გავიარე თუ არა მწუხარების ყველა ეტაპი?

როგორი ხალისით წარმოვადგენდით ხოლმე სიკვდილს... ჰელოუინი იმის საბაბი იყო, რომ ზენრებში გავხვეულიყავით, აჩრდილები განგვესახიერებინა და ჯამი ყურძნის მარცვლებით გაგვევსო. შემდეგ ჩვენი პატარა მეგობრებისთვის თვალები აგვეხვია და მოგვეტყუებინა. "თვალეზია", ვამბობდით ჩვენ ყრუ, საზარელი ხმით. "ფუუუუუუ," გვპასუხობდნენ ისინი. ამას მოჰყვებოდა ხოლმე სიმღერა სიკვდილის, დამარხვის, მატლებისა და ხორცის გამწვანება-გახრწნის შესახებ, რითაც ძალიან ვერთობოდით. მაგრამ რამდენნი დავრჩით იმ ოდესლაც ცელქი ბავშვებისგან? არც ისე ბევრნი. დაიხოცნენ და თან წაიღეს ყურძნის მარცვლები და გამწვანებულ-გახრწნილი სხეულები. რამდენიმე ძველი მეგობარი, რომლებიც სიცოცხლეს ებლაუჭებოდა, ჩაისა და ნამცხვარს მიირთმევდნენ ხოლმე ეზოში, მზის გულზე, და საჭმლის ნამცეცებით ინაგვიანებდნენ არც ისე სუფთა ტანსაცმელს; ან კიდევ გაჭირვებით, ისე, რომ ყინულზე ფეხი არ დაუცურდეთ, ნიჩბებით ფხეკენ თოვლს ბილიკიდან. "ნება მომეცით, დაგეხმაროთ"- წუხან მეზობლები. "არა, თვითონ გავართმევ თავს". ბებერი ხოჭო ნელა მიცოცავს ყვავილის ღეროზე. "სად ვარ და რას ვაკეთებ?" - შეიძლებოდა ეკითხა ხოჭოს. "რამდენ ხანს გაგრძელდება ეს"? - ფიქრობენ მეზობლები. ალბათ, იმდენივე ხანს, რამდენსაც ხოჭო ყვავილამდე აცოცებას მოუნდება.

არ გეგონოთ, რომ არ ვიცით, რას ფიქრობენ მეზობლები. ოდესლაც თვითონაც ასე ვფიქრობდით და ჯერ კიდევ ვფიქრობთ.

მაგრამ შენ ჯერ კიდევ არაფერი გიჭირს, ძვირფასო სტივი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, თუმცა ახლა ასე არ ფიქრობ. კიდევ ოცდაათ წელს იცოცხლებ (რისი იმედიც მაქვს) - ან უფრო მეტ ხანსაც, რაც, რა თქმა უნდა, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება შენი ჯანმრთელობის მდგომარეობა - და თუკი შეძლებ, კვლავ დატკბე სიცოცხლით ან თუ იცოცხლებ, იმ უზარმაზარი ტალღის გათვალისწინებით, რომელიც უკვე მოგორავს ჩვენც კენ. იმედი მაქვს, რომ დიდად არ შეიცვლები და რომ გადაურჩები წყალდიდობებს, ხანძრებს, შიმშილს, შავ ჭირს, აჯანყებებს, მტრების თავდასხმებს და ა.შ., და იტყვი: "როგორი ახალგაზრდა ვიყავი მაშინ!"

თემას გადავუხვით. მკითხე, როგორ ხარო. ეს კიდევ ერთი ლიტონი შეკითხვაა. არავინ მოელის გულწრფელ პასუხს მასზე.


სინამდვილეში გულისხმობდი, თუ როგორ ვარ ახლა, როდესაც ტიგი მოკვდა. მარტო ვარ? ვიტანჯები? ცარიელია თუ არა სახლი? გავიარე თუ არა მწუხარების ყველა ეტაპი? ნუთუ ფიქრობ, რომ ბნელ გვირაბში შავი კაბით, ხელთათმანებითა და ვუაღით შემოსილი შევედი, ხოლო გვირაბის მეორე ბოლოდან გამოვედი მხიარული, ხასხასა ტანსაცმელში გამონყობილი და ახალი ცხოვრებისთვის გამზადებული?

არა. იმიტომ, რომ გვირაბი არ არსებობს. არ არსებობს მისი მეორე ბოლოც. დრო სწორხაზოვნად აღარ მიედინება და არც ცხოვრებისეული მოვლენები და მოგონებებია ქრონოლოგიურად ჩამნკრივებული, მძივის მარცვლების მსგავსად. უცნაური გრძნობაა... ან განცდა, ან გარდასახვა. არ ვიცი, როგორ აგინსა.

შეშფოთდები, რომ გითხრა, ტიგი სრულად არ მომკვდარაო. მაშინვე გაიფიქრებ, რომ მოჩვენებები მელანდება, ან ვბოდავ, ან გამოვთავყვანდი, მაგრამ ასე არაა. მოგვიანებით მიხვდები, რა არის დროის გამრუდება ან მისი დახვევა. ამ დროის ზოგიერთ ხვეულში ტიგი ჯერ კიდევ ცოცხალია.

არ მინდა ყოველივე ეს გაგიზიარო, არ მინდა, რომ შეშფოთდე, დაურეკო ჩემს უმცროს მეგობრებსა და ნათესავებს და სთხოვო, რომ რაიმე მიშველონ. კეთილმოსურნეობით ყოველთვის მამბებრებდი თავს. ამის გამო არ გასაყვედურობ - კეთილი ხარ და გულისხმიე-

1 ინგლისური სიტყვა skidoo მოტომარხილსაც ნიშნავს და სწრაფად გაქცევასაც.



რი, მაგრამ არ მინდა, რომ ნამცხვრები მომიტანონ ან ზედმეტი კითხვები დამისვან, პროფესიონალები მენვიონ ან ძმისშვილებმა მომვლელის დაქირავებას მომთხოვონ. მოგზაურობის პერსპექტივაც არ მხიბლავს.

სხვა ქვრივებს დავუახლოვდი. ზოგიერთი მათგანი მამაკაცია. ჯერჯერობით არ არსებობს გენდერულად ნეიტრალური ტერმინი მარტოდ დარჩენილი ადამიანების აღსანიშნავად. მათ შორის არიან ქალები, რომლებმაც საყვარელი ქალები დაკარგეს, ან მამაკაცები, რომლებმაც საყვარელი მამაკაცები დაკარგეს; მაგრამ ქვრივების უმეტესობა ქალებია, რომლებმაც მამაკაცები დაკარგეს. მამაკაცები ქალებზე გაცილებით უფრო სუსტები არიან: ამას ბევრი რამ ადასტურებს,

დროის ხვეულები - მოვლენა, რომელიც ეს-ესაა ვახსენე - ყველას აქვს განცდილი.

გარდაცვლილთა ახირებები და მათი სიყვარულის გამოვლინებები... რას იტყოდნენ ისინი - ან რას ამბობენ (ნამდვილად ამბობენ) - ჩვენ შესახებ?

სიკვდილის სცენები. ჩვენ შეპყრობილნი ვართ ამ თემით: ერთმანეთს ვუამბობთ, ჩვენს მოგონებებს ვიხსენებთ, ვასწორებთ, ვანესრიგებთ, რათა ისინი უფრო ასატანი გახდეს. რა ჯობია - ხანგრძლივი ავადმყოფობა, ტკივილი, როცა გამოსამშვიდობებლად მეტი დრო რჩება თუ, მეორე მხრივ, უეცარი ინსულტი ან გულის უკმარისობა, რომელიც ავადმყოფს სხვა სამყაროში გადასვლას უადვილებს, მაგრამ ჩვენთვის უფრო მძიმედ ასატანია? მახსოვს, ოთახიდან ხუთი წუთით გავედი და როცა დავბრუნდი, ტიგი უკვე გარდაცვლილი დამხვდა. ვიცოდით, რომ ასე მოხდებოდა. ათი წელი? რა საშინელებაა!

სახლის დალაგება. ძნელი საქმეა. წლიდან წლამდე უამრავი რამ გროვდება, და უეცრად ყველაფერი - წერილები, წიგნები, პასპორტები, ფოტოსურათები, საყვარელი ნივთები, რომლებიც ყუთებში, კოლოფებში ან თაროებზე ინახებოდა - ყოველივე ეს იფანტება გაფრენილი რაკეტის, კომეტის, ან ენერჯის ტალღის, ან შეწყვეტილი სუნთქვის კვალდაკვალ და ქვრივებმა უნდა დახვეტონ, დაახარისხონ, საქველმოქმედოდ გადადონ, ანდერძში ჩაწერონ ან გადაყარონ. სულის ნაწილები, რომლებიც ყველგანაა მიმოფანტული... ქვრივები მთლიანად მიეცემიან ხოლმე ამ საქმეს, რომელსაც ისინი შეშლილობამდე მიჰყავს. ერთმანეთს ვურეკავთ, ხელებს ვიმტვრევთ და ვკითხულობთ: "რა ვქნა... რით შევავსო სიცარიელე?" ერთმანეთს ბევრ რამეს ვთავაზობთ, მაგრამ ვერც ერთი შეთავაზება ვერ წყვეტს ძირითად პრობლემას.

ვლასპარაკობთ ხოლმე სინანულის შესახებ. რომ მცოდნოდა... მას რომ ეთქვა... რომ მეკითხა... უფრო მეტად უნდა მეზრუნა... სიცარიელის შევსებაზე. სიცარიელე ძალზე მტკივნეულია.

რა თქმა უნდა, ბედმა არ გაგვიღიმა. ქვრივები ვართ. ეს ვიცით. ჩვენ გარშემო უხერხული დუმილია. ადამიანები თითის წვერებზე დადიან. უნდა მიგვიწვიონ სასადილოდ? ან, იქნებ, სადილს ჩავუშხამებთ? უნდა ვეცადოთ, რომ არ ჩავუშხამოთ: არავის სიამოვნებს მგლოვიარე ადამიანებთან ურთიერთობა.

უნინ, სხვა ადგილებსა და სხვა ეპოქებში, ქვრივების მდგომარეობა უარესი იყო. მკვდარ მეფესთან ერთად ცოცხლად გვმარხავდნენ ან ცოცხლად გვწვავდნენ. ან გვაიძულებდნენ, მუდამ თალხი ან თეთრი ტანსაცმელი გვეტარებინა. თარს ადამიანებად გვთვლიდნენ. ობობა "შავ ქვრივს", რომლის შხამი მომაკვდინებელია, სახელი ჩვენ გამო დაარქვეს. ადამიანები ჩვენთან შეხვედრისას პირჯვარს იწერდნენ და იფურთხებოდნენ, რომ ჩვენი ბედი არ გაეზიარებინათ. ან, თუკი ახალგაზრდანი და სისხლსავსენი - "მხიარული ქვრივები" - ვიყავით, ფიქრობდნენ, რომ სექსში უნდა გვეძებნა ხსნა. ამას წინააღმდეგ, წვეულებაზე, ერთმა ხანდაზმულმა მამაკაცმა გადამიკრა სიტყვა ამაზე (ჯერ კიდევ დავდივართ წვეულებებზე. ფეხის ფრჩხილებს წითლად ვიღებავთ, თუმცა, ფეხსაცმლით ვფარავთ მათ. ვიცით, რომ ეს აბსურდული საქციელია, მაგრამ თავს ვერ ვერევი, პანანინა სიამოვნება...!). ერთმა კაცმა, ცოტა ხნის საუბრის შემდეგ, მკითხა, ხომ არ შევხვდეთო. ალბათ, იხუმრა, თუმცა, შესაძლოა, არც უხუმრია. ითვლება, რომ

ქვრივები მდიდრები და სიყვარულს მოწყურებული არიან.

მკვახედ ვუპასუხე:

- ქვრივი ვარ. ტიგი, ეს-ესაა, გარდაიცვალა.

- ესე იგი, მამაკაცებზე ნადირობთ?

ალბათ, ეს, მისი მხრივ, ერთგვარი გერიატრიული ფლირტი იყო. ჩვენი ასაკის ადამიანებმა შეიძლება იარსიყონ და ამას სერიოზულად არავინ აღიქვამს, რადგან ორივე მხარემ იცის, რომ აქედან არაფერი გამოვა, ან, უფრო ზუსტად, ვერაფერი გამოვა. მოარშიყეთა პატარა სამყაროში ვცხოვრობთ. ძველებური მარაო რომ მქონოდა, ოდნავ ჩავარტყამდი, ემშაკურად, ისე, როგორც რომელიმე გროტესკულ კომედიაში ხდება ხოლმე. ო, როგორი ცუდლუტი ხარ!

ვერ ვეცყოდი: "ნუ სულელობ. ტიგი ჯერ კიდევ აქ არის". ამას მოჰყვებოდა უსასრულო ჭორები: "ეს ქალი სულ გაგიჟდა". "ყოველთვის შერევილი იყო" და ასე შემდეგ.

ამიტომ ქვრივები ჩვენს აზრებს ხმამაღლა არ გამოვთქვამთ.

ძვირფასო სტივი, რა თქმა უნდა, ამ წერილს არ გამოგიგზავნი. შენ მდინარის მეორე ნაპირას იმყოფები.იქ, სადაც შენ ხარ, ჩემი ტიგი ჯერ კიდევ მატერიალურია, ხელშესახები. აქეთა ნაპირას ქვრივები ვართ. ჩვენ შორის გადაულახავი დაბრკოლებაა. მაგრამ შემოიძლია, ხელი დაგიქნიო და ყოველივე საუკეთესო გისურვო. ამგვარად:

ძვირფასო სტივი:

დიდი მადლობა წერილისთვის. ვიმედოვნებ, ჯანმრთელად ხარ. გამიხარდა, რომ გაინტერესებს, როგორ ვარ. გარწმუნებ, ძალიან კარგად. ზამთარი, ისევე, როგორც ყველასთვის, ჩემთვისაც გაჭიანურდა. მაგრამ ახლა გაზაფხული დადგა და ბაღში ვმუშაობ ხოლმე. უკვე გამოჩნდა ენძილები და ნარგიზების ღივებმაც ამოყვეს თავი. ვაპირებ, აღმოსავლური შრომანები დავრგო ბაღის წინა მხარეს. ერთხელ, დიდი ხნის წინ, გავახარე, მაგრამ ხოჭობმა გაანადგურეს. ამჯერად ამას არ დავუშვებ.


შვილები კარგად მყავს. შვილიშვილები ცელქობენ. ვფიქრობ, კნუტი ხომ არ შევიძინო. ახალი სხვა არაფერია. მაცნობე, ჩვენს მხარეში როდის იქნები - ერთად ვისადილოთ.

თავს გაუფრთხილდი.

სიყვარულით
ნელი.

რონ პეჯეტი

ლექსები

ინგლისურიდან თარგმნა მიხეილ ციხელაშვილმა


რონ პეჯეტი ნიუ-იორკული პოეტური სკოლის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელია. ის 1942 წელს ტულსაში, ოკლაჰომას შტატში დაიბადა და ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ დააარსა ავანგარდული ლიტერატურული ჟურნალი. პირველი პოეტური კრებული 18 წლის ასაკში, საკუთარი სახსრებით გამოსცა, დღეისთვის კი მისი ბიბლიოგრაფია 40-მდე კრებულს ითვლის.

პეჯეტის პოეზიას გამოარჩევს სადა ენა და ირონიულობა. მისი ლექსების მოულოდნელი დასასრულები ისეთ განცდას ქმნის, თითქოს ავტორს ან შუა გზაში პბეზრდება წერა, ან კი სწორედ დასასრულისას ვიეჭვებთ, რომ ავტორი პირველივე სიტყვიდან გვეთამაშება და სრული სერიოზულობით, სენტიმენტალური და ტრაგიკომიკური თხრობით გვამზადებს უბრალო და ტრივიალური პროცესებისთვის, იქნება ეს ნიფხვის გარეცხვა თუ სიზმრიდან გამოფხიზლება. მისი მეტაფორებიც უბრალო, ყოველდღიური ქმედებებით იქმნება: ქალაღდის დასტის სტეპლერით შეკვრითა თუ ლუდის სმით, გამათბობელთან ფეხების გათბობითა თუ ქლიავის ჭამით. სწორედ ამ უბრალოების გამოა მისი ლექსები ღია და ხელმისაწვდომი ნებისმიერი მკითხველისთვის.

რონ პეჯეტი არის მრავალი პოეტური პრემიის ლაურეატი და გუგენჰაიმის, ამერიკელი პოეტების აკადემიის სტიპენდიატი. 2001 წლიდან ის საკუთარ პოეზიას გამოსცემს არაკომერციულ მინეაპოლისურ გამომცემლობა Coffee House Press-ში.

სასიყვარულო ლექსი

ვინ მოსთვლის სახლში ასანთის ყუთებს!
 ყველგან დევს, ხელის ერთ განვდენაზე.
 იყო დრო, ბრენდ “დაიმონდს” ვწყალობდით, მაგრამ
 მას მერე, რაც “ოჰაიო ბლუ თიფის” ბრენდი აღმოვაჩინეთ,
 ჩვენს ფავორიტად სწორედ ის იქცა.
 საუცხოოდ მკვრივ, ციცქნა კოლოფზე

ლურჯში, ცისფერში და თეთრ ფერებში გამოყვანილი ლოგო-წარწერა
მეგაფონის ფორმას იღებს და თითქოს გასძახის მთელს დედამიწას:
“აი, იხილეთ სამყაროს უმშვენიერესი ასანთის ყუთი
და მისი ფიჭვის, ინჩნახვერიანი თლილი ლერო,
რომლის თავზეც მუქ იისფრად დახორკლილა ფოსფორის ქუდი,
თავდაჭერილი და მძვინვარე,
და მუდამ ჯიუტ მზადყოფნაში რომ აფეთქდეს ცეცხლის ალებად
და აეკიდოს შენთვის ძვირფასი ქალის სიგარეტს
სულ სულ პირველად.
მეორედ ხომ ველარასდროს განმეორდება ეს აფეთქება?! ამას გთავაზობთ!”
შენც სწორედ აი ეს მაჩუქე,
შეგრძნება, როცა მე სიგარეტად ვიქცევი ხოლმე, შენ კი - ასანთად.
ანდა პირიქით, მე ასანთი ვარ, შენ - სიგარეტი -
კოცნებისგან აალებული და ზეცისკენ უშფოთველად ამალღებული.

ხელსაყრელი გარიგების ძიებაში

ტეხს

დავუშვათ, ისეთ გადასარევ გარიგებას მიაგენი, რომ
გაოგნებული, წუთით იქვე დაეყუდე -
ვერ დაიჯერე, რომ ამ რალაცას ასე იაფად ასალებდნენ.
ეს ხდება, როცა იბადები
და წლიდან წლამდე გარიგების ფასიც მატულობს.
სიცოცხლის თითქმის ბოლოში კი ისე ძვირდება,
რომ მერე უკვე ძირს ეცემა საუკუნო გაოგნებისგან.

გასაუბრება ვლადიმერ მაიაკოვსკისთან

კეთილი, ვალიარებ:
წუხელ ნანახი მხოლოდ და მხოლოდ სიზმარი იყო.
გადახუნებულ, მუშურ ძონძებში გამონყობილი
მზერადახრილი კაცების მწკრივი
ნიუ-იორკის გარეუბანში
მწყობრი თუმცა მძიმე ნაბიჯით
ატალახებულ და ბნელ ბილიკს მივუყვებოდით.
ინვა ბინდი - გაჭვარტლული, ჩაშხამებული,
და მომავალი - უიმედო.
ჩემს მარცხნივ იდგა თავზოტორა მაიაკოვსკი,
გვერდს მეგობარი უმშვენებდა
ჭადარა წვერით, მუქ მოსასხამში.
“ჰა ალიარე,” - მეუბნებოდა
მაიაკოვსკი, - “ხომ მაგარია,
როცა ლექსი ასე იწყება?”
“კი,” - დავეთანხმე, - “ჩვენი მსვლელობაც
რიტმს უნარჩუნებს. და უდაბური პეიზაჟი
იღვენთება ყველა სიტყვაში.
თან შეგიძლია, რასაც ისურვებ, ყველაფერი თქვა.”
“ეგ იმიტომ, რომ” - მიპასუხა მან, -
“ლექსში ვართ, შიგნით, განა ლექსს გარეთ.”
ჩამონოლილი ღრუბლების ჩრდილში ელვარებდნენ მაზუთიანი გუბეები.
“ამიტომ ვწერდი ასეთ გრძელ ლექსებს:
შიგნით რომ მეტი სივრცე მქონოდა”.
ყბის ხაზი მკვეთრად მოეღრიჯა და კაცთა მწკრივი
დაიფანტა. მე მის მეგობარს ავედევნე
კედლის გადაღმა, რათა გამეგო,
როგორ გარდატყდა ისტორიის ლექციად ლექსი,

ის მეგობარი რომ კითხულობდა.
მაგრამ ამოდ, ნამდვილი ლექსი გალუულიყო.
უკან მივბრუნდი, ზუსტად იმავე სტრიქონთან,
სადაც დასრულდა ლექსი. თუმცა უკვე გვიანი იყო,
ვლადიმერს ლექსი მიეტოვებინა.

ჰაიკუ

ჯერ დამშვიდდი. და
დარჩენილი ცხოვრებაც
ეგრევე დარჩი.

კიდევ ერთი

ბავშვობისას
გასწავლიან,
რომ ეს სამყარო
- ფეხსაცმლის ყუთივით -
შედგება სამი განზომილებისაგან:
სიმაღლე, სიგანე და სიღრმე.
მერე იგებ, რომ არსებობს კიდევ მეოთხე განზომილება -
დრო.
ჰმმ!
მერე ვილაც იმასაც იტყვის, რომ კიდევ არის რაღაც მეხუთეც და მეექვსეც, მეშვიდეც...

სამსახურს ვრჩები.
ბარში ლუდს ვწრუპავ
კათხას დავცქერი, ბედნიერი ვარ.

გოგრუნა

ჩემო გოგრუნა,
ზოგჯერ გამირბის ფიქრი უცხო გოგონებისკენ,
მაგრამ სიმართლე ერთია:
შენ სადმე თუნდაც ერთხელ რომ მიგეტოვებინე,
ამოვიგლეჯდი ხელით გულს
და საგულეში მერე აღარც ჩავაბრუნებდი.

არასდროს არავინ იქნება შენი სადარი.
როგორ მრცხვენია!

იფიქრე და გააკეთე

სულ რაღაცა მაქვს საკეთებელი, მისაღწევი, შესაკეთებელი, მუდამ სადღაც ვარ წასასვლელი, თავს უნდა ვგრძნობდე აზრიანად და სასარგებლოდ, კომპეტენტურად; ჩახველება კი - თუნდაც წელანდელი - კმაყოფილების ისეთ განცდას მანიჭებს, თითქოს “უხჰუმ!” და ამოვწმინდე რაღაც ბინძური. თუ ტელეფონის ქვითარი მოდის, ნუთიც და უკვე ჩეკზე ვანერ ხელს. მთელი მსოფლიო ომში ერთვება, მე კი გავყვირი “ეი, მოიცა, აბა, ერთი ჭკუას მოუხმეთ!” და მაშინვე ყრიან იარაღს, მსჯელობაში ღრმად ეშვებიან და ფიქრსმიცემულ სხეულებით ემსგავსებიან ასლს მოაზროვნის, როდენისას, ფილოსოფიის კორპუსთან რომ წამომჯდარა კოლუმბიაში. მისი მიღწევები კუნთოვანია. და ამოდენა კუნთების პატრონს, კაცმა რომ თქვას, რანაირად შეუძლია ამსიღრმე ფიქრი? ისე ჩანს, თითქოს მთელი ცხოვრება მიუძღვნია ამ კუნთების დაყენებისთვის და ახლა უკვე აღარ არგია აღარაფერში. ესაა, ასე რომ ადარდებს, ანაღვლიანებს და გადაისვრის დეპრესიის მორევშიც ზოგჯერ და რადგან მისი მოძრაობის ტრაექტორია ნულის ტოლია, პიედესტალიდან ჩამოსვლაც კი არ შეუძლია, ფილოსოფიის ლექციას რომ მაინც დაესწროს. მე კი, ასეთი ელასტიური, ილბლიანი გამოვმდგარვარ. ეგ კი არა, ჩაფიქრებაც რომ შემოძლია ამ სიტყვაზე - “ელასტიური” - ვბედნიერდები. მერე ეს სიტყვა ჩემს ნიფხავზე ჩამაფიქრებს და მახსენდება, რომ სარეცხი მაქვს დასარეცხი.

ამ უჯრაში არაფერია

ამ უჯრაში არაფერია.
ამ უჯრაში არაფერია.
ამ უჯრაში არაფერია.
ამ უჯრაში არაფერია.
ამ უჯრაში არაფერია.
ამ უჯრაში არაფერია.
ამ უჯრაში არაფერია.
ამ უჯრაში არაფერია.
ამ უჯრაში არაფერია.
ამ უჯრაში არაფერია.
ამ უჯრაში არაფერია.
ამ უჯრაში არაფერია.

კუთხეში

ბიჭუნას
ყვითელ სანვიმარში
დედისთვის ხელი ჩაუკიდია.

სადარდებელი

ამერიკა თუ ოკეანეში შესრილდება, ერთი ნერვიც არ შემიტოკდება.
სადარდებელი მხოლოდ ესაა, ნეტავი რომელ ოკეანეში?!

სტეპლერი

დედას, გარდაცვალების შემდეგ
ბევრი არც რამ დაუტოვებია: ძველი სამოსი და ჭურჭელი,
მოკრძალებული ავეჯი და ცოტაც ხურდა, ეგ იყო და ეგ.
კიდევ სტეპლერი.
ძველი საბანკო ამონაწერი და ქვითრებით
გამოტენილ მის უჯრაში გადავეყარე. მყისვე შევნიშნე,
თუ რა მარტივად
ხვრეტდა ქალაღის მთლიან დასტებს
და ხელის ბორცვზე უმცირეს კვალსაც არ მიტოვებდა.
ისე ყოჩაღად მუაშობდა - სახლში წავიღე.
ტყვიების ყუთიც ხელს გავაყოლე,
თავდაპირველი შეფუთვიდან ხუთი ათას ცალს ცოტა თუ აკლდა.
მთავარი ხრიკი ისაა, რომ სულ გახსოვდეს, როგორ დატენო.
მე ყოველ ჯერზე რამდენიმე წუთი მჭირდება,
გამოვარკვიო რა და როგორ ვქნა,
მაგრამ არ ვტყდები სანამ
აჰააა! ეგააა!
და ასეთ დროს ვგრძნობ, რომ დედაჩემი გამჭვირვალე ნისლია და მისი ეთერი
განა სტეპლერის ტყვიითაა მიჭედელი ერთ ადგილას,
მთელს ოთახშია ჩამონოლილი.

ვუდი ვუდპეკერს

მიყვარხარ, ვუდი,
როდესაც ცუდი

ისე აღმოჩნდა

ისე აღმოჩნდა, რომ
როგორსაც ვიმედოვნებდი,
ზუსტად ისეთი კაცი დავდექი.
ძაანაც ცუდი!
ამის დედაც!

გარბენი

სანამ მივძვრები დერეფანში, სადაც
ტრილიონობით მოლეკულა აქეთ-იქით აწყდება,
გზა რომ გამიხსნას,
ორივე მხარეს ტრილიონობით სხვა მოლეკულა
ადგილზე რჩება.

ჭრიალებს

საქარე მინის სანმენდი.
წვიმამ გადაილო.
მეც გავჩერდი.

კაცის თავს მაგრად ჩაუნისკარტებ,
 მწარედ დასცინებ
 და ისე სწრაფად გაფრინდები,
 ჰაერში ტოვებ კვალს და უჩინარ
 მტვრის ღრუბლებს
 ირგვლივ მიმოფანტავ.

მიყვარხარ, ვუდი,
 და მიყვარს, როგორ
 გრძელდები მხოლოდ შვიდი წუთი:
 მოწყენის დროსაც კი არ გვიტოვებ,
 და შვიდი წუთი,
 შენთან ერთად გატარებული, ეს შვიდი წუთი
 ნეტარებაა ჩემი გულისთვის,
 ძვირფასო ვუდი.

იაპონური ბალი

ან. ჩ

1958 თუ 59 წელს, როცა თექვსმეტი წლის ვიყავი,
 ჭკუად დამიჯდა,
 ჩემი მშობლების
 სახლის უკანა ეზო მექცია იაპონურ ბალად.
 ეს ყველაფერი მოხდებოდა ოკლაჰომაში,
 ტულსას რიგით საშუალო კლასის სამეზობლოში.
 დედაჩემს ბალის გეგმარებაც კი წარვუდგინე
 და მანაც უმალ წარმოიდგინა,
 თუ როგორ ცვლიდნენ
 საგულდაგულოდ გაკრეჭილ გაზონს
 სადრენაჟო თხრილები და ქვის ფილაქანი
 მოჩუხჩუხე ნაკადულიც (რამენაირად).
 და მანამ, სანამ ის ზრდილობიან და წინდახედულ ფრაზას მეტყვოდა
 “ამ ყველაფერს ჯერ მამაშენს ვუჩვენებო”
 მე უკვე მივხვდი, რომ ჩემი გეგმა დღის სინათლეს ვერ იხილავდა
 და ხატვიდან ხელი ავიღე, ამ უარით შევბამოგვრილმა.

მაგრამ ნეტავი რა მოხდებოდა,
 თუკი მშობლები არა მხოლოდ ბალს გამოცვლიდნენ,
 დაანგრევდნენ შენობასაც და მის ადგილას
 იაპონურ სახლს ააგებდნენ,
 ჩაიცვამდნენ კომონოებს და ისწავლიდნენ იაპონურს.
 დედა ფეხმორთხმით იჯდებოდა, თავდახრილი,
 მამა ფიჭვნარში ისეირნებდა სამურაივით.

სახლი რაც იყო, იგივე დარჩა,
 მწვანე გაზონი იზრდებოდა-იკრიჭებოდა,
 იზრდებოდა-იკრიჭებოდა,
 მე სასწავლებლად კოლეჯს მივაშურე,
 ჩემი მშობლები განქორწინდნენ.

იქ ახლა სულ სხვა ვილაც ცხოვრობს
 ბედნიერად
 მარად აყვავებულ ალუბლებს შორის.

ირმა ტაველიძე

ძველი და მძიმე



თვალეები მაცივრის თავზე ჩამწკრივებული ჭიქების უცაბედად გაღებულმა ხმამ გამახელინა - ნკრიალ-ნკრიალით მაუწყებდნენ ახალი ერის დასაწყისს: შუქი მოსულიყო. ორი იანვრის დილით წასულს ახლალა შემოეხედა დაუნდობლად გამო-

ცარიელებულ ბინაში, რომლის პატრონებსაც მხოლოდ აუცილებელზე აუცილებელი ნივთები დაეტოვებინათ. ეს მაცივარს არ ეხებოდა. მისი აქ ყოფნის საიდუმლოს ამოსახსნელად იმ დამაფეთებელი გუგუნისა და დგანდგარის გათვალისწინ-



ნება იყო საჭირო, ზედ შემონწყობილი ჭიქები წვრილი ხმით ნათქვამი საჩივარს რომ უმატებდნენ. უკმაყოფილების მიზეზს რა დალევს! მე და დედაჩემმა ისინი მეზობელთან გასატანად გამზადებული ყუთიდან ამოვალაგეთ, ფრთხილად გამოვათავისუფლეთ ძველი გაზეთების მოსაწყენი ამბებისა და იმ ფოტოებისაგან, თვალის შევლებადაც რომ აღარ ღირდა. თავის დროზე დიდი ქვეყნის დიდ ქალაქში ეყიდათ - ოქროსფერზოლიანები, ამ ზოლის ქვეშ ვითომდა სახელდახელოდ მოხაზული ფიგურებით - ოქროსფერივე მსხლებითა და ვაშლებით. წვენი ჭიქები. ღვინის ჭიქებსაც შეეძლოთ თავიანთი ამბების მოყოლა და ალბათ ჰყვებოდნენ კიდევ სწორედ ახლა, მოულოდნელად გაჩახჩახებულ სამზარეულოში.

წამოდგომას აზრი არ ექნებოდა. ბედნიერების განანგრძლივებას ვერა მოკვდავი ვერ მოახერხებდა საგარეუბნო ცხოვრების უსიხარულო უდაბნოში. ელექტროგამათბობლის განყვეტილი სპირალის გადაბმა ძნელი საქმე არ იყო - წიგნების კითხვას ნაჩვევი ოცი წლის ქალიშვილიც თავს გაართმევდა, მაგრამ რისთვის? რისთვის უნდა გადამება? სიტბოს სანოლმიც ვგრძნობდი - ორი საბნისა და შალის სქელი გადასაფარებლის ქვეშ, შუქი კი რამდენიმე წუთში ისევ ჩაქრებოდა, ხანმოკლე შეყოვნების შემდეგ აუცილებლად გააგრძელებდა დიდ მოგზაურობას - სახლიდან სახლში, უბნიდან უბანში, ქალაქიდან ქალაქში.

* * *

ქარი გამეტებით ეხლებოდა იმ ცხრასართულიანი კორპუსის კუთხეს, რომელსაც უკმაყოფილების გამოხატვა თავზარდამცემი ხმებით სჩვეოდა: ისე ზრიალებდა კარგა ხნის გაუნმენდავი შუშები, ისეთი სასონარმკვეთი გმინვა და ხრიალი ისმოდა, თითქოს შენობა სიცოცხლის ბოლო წუთებს ითვლიდა. ყველაფერი უნდა გაეზვიადებინა - ზაფხულის სულის შემხუთველი დღეების მომთენთავი უხალისობაც და ნაახალწლევს დაწყებული ყინვების შიშიც. შენ კი ხელიდან დასხლტომაზე ვერც იფიქრებდი. სად ნაუხვიდოდი ან ერთს, ან მეორეს? იმდღევანდელ ქარში ყველაზე სწორი გადაწყვეტილება ლოგინის ორლებიან, ორსაბნიან თავშესაფარში დარჩენა და წვრილყვავილებიანი ბალიშიდან თავის აულებლობა იქნებოდა. ყვითელი ყვავილების გადათვლაც შეიძლებოდა - ისევ იმდენი იყო თუ არა? კორპუსის დამზაფრულ მოთქმას მაგრად თუ არ დაუდგებოდი, თან გადაგიყოლებდა: ერთიანად წამოგიშლიდა ძველ, დალაქავებულ სურათებსა და იმ ვეება რუკის ნაფლეთებს, რომელზეც ოდესღაც ის ადგილები აღნიშნე, სადაც გული ძალიან გატკინეს. არა, არ უნდა აჰყოლოდი სამყაროს აღსასრულის მანუგეშებელ წინათგრძნობას. ასე მარტივად, ასეთ ყურისწამლებ ღრიანცელში ვერაფრით გაერთიანდებოდა თავი და ბოლო, დილა და საღამო, ფანჯრის მიღმა მოტორტმანე ქვეყნიერება და ბალიშის ქვეშ შემალული, ყდაშემოცვეთილი წიგნი.

- გაბო! გაბო!

ამ ამინდში ვიღაც ორ ფეხზე დგომასაც ახერხებდა და ძალაც ჰყოფნიდა საიმისოდ, რომ ყოველდღე თავის ბოლომდე გამეტებით ეყვირა. ხმა ახალგაზრდა კაცისა ჰქონდა, მისი შეუპოვრობაც მხოლოდ და მხოლოდ მომავლის უპირობო რწმენაზე მიანიშნებდა. ვერაფრით ვაიძულე თავი, რომ ეზოში ერთხელ მაინც გადამეხედა და დამენახა ის, ვისაც არც ქარის მძვინვარება აფრთხობდა და არც უპასუხოდ დარჩენილი ძახილი, კანფეტის ქალღღივილი რომ დაფარფატებდა ცივ ჰაერში.

* * *

შავი რკინის კარი, მრავალსაკეტიანი, ორი სამყაროს მიჯნაზე მდუმარე დარაჯად დაყენებული. როდესაც დედას ვაცილებდი, ცალი ხელი მის ცივ სახელურზე მედო. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ძველ ეშმაკობას არ გაიხსენებდა და პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, რკინის კუნთების საჩვენებლად რომელიმე საკეტს არ გააჩხაკუნებდა? გასალებები რომ ჯიბეში მდებოდა, მაშინ შემამოფოთებელი არც არაფერი იქნებოდა, მაგრამ ისინი იატაკზე სვეტად აღმართული წიგნების თავზე ეწყო. მიხდოდა, დედას გავყოლოდი, გავტირებოდი, კობის ორი საფეხური მაინც ჩამეველო. თითქოს ამის უფლება მქონდა. თითქოს ოცი წლისა კი არა, ისევ ოთხისა, ხუთისა ვიყავი და, თვლემამორეული, მის სხეულზე ხალებისა და ხორცმეტების დათვლით ვერთობოდი. აი, ახლაც, წასვლამდე, წვრილი, ჩამუქებული თვალებით რომ გამომხედა, გამახსენდა, როგორ ვეფერებოდი ხოლმე მძინარეს, ზურგმუქცეულს - თითებს ფრთხილად ვუსვამდი კისრის ქვემოთ, სადაც სხვადასხვა ფერის თანავარსკვლავედები იყო: შოკოლადისფერი, ბაცი ყავისფერი, კანისფერზე ცოტა მუქი... ხაზებს ვავლებდი ერთი გალოკილი ადგილიდან მეორემდე, ისე ვენებებოდი ცხელ ზურგზე, ვერა ძალა ვერ დაგვაცალკეებდა. სულ ორი დღით მიდისმეთქი, გამეცინა ოთახში შემობრუნებულს. საკუთარ მგრძნობელობასა და გულს შემოწოლილ დარდს დავცინე: ქვეყანა ბოლომდე დაიქცა, ფაქტობრივად, გვამია - სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ემჩნევა, მაგრამ ერთი ქალაქიდან მეორეში გამგზავრება, ამ უსიცოცხლო სხეულის გადათელვა - რა დიდი საფრთხე უნდა იყოს-მეთქი. სიტყვას სიტყვაზე ანგარიშმიუცემლად ვანებებდი. ბოდავამამშვიდებდა და მშველოდა.

* * *

გაზით მომარაგება შობის დღესასწაულის გავლისთანავე შეგვიწყვიტეს. არ გამიკვირდებოდა, საძინებელსა და სამზარეულოში იგივე ატმოსფერული მოვლენები რომ შემენიშნა, რასაც შპიცბერგენზე ხედავდნენ, უზარმაზარი მაცივარი კი დამშეულ თეთრ დათვად გადაქცეულიყო და ჩემკენ გამოენია - მუცლის ამოსაყორავად, დიახაც, გამოსადეგი არსებისკენ.

გაზის შეწყვეტიდან ორ დღეში წყლის გრაფი-

კიცი საბოლოოდ აირია: დილა-საღამოს საათი-საათ-ნახევრით გამომეტყველებული წყალი ზღაპრად იქცა - სინამდვილიდან ისე მარტივად გადაინაცვლა საზღვარდაუდებელ სამყაროში, თითქოს მისი ამქვეყნიური არსებობა იყო შეცდომა, კანონზომიერების დროებითი დარღვევა. მარაგის შევსების ერთადერთი გზა კორპუსის ეზოში ჩასვლა და მოუთმენლად მომლოდინეთა რიგში ჩადგომა იყო. საერთო სარგებლობისთვის განკუთვნილი, ძველი, დაჟანგებული ონკანიდან წყალი გულისგამანვრილებლად მონანწკარებდა - წვრილზე წვრილ ძაფად, რომელიც შეიძლებოდა ნებისმიერ წამს განყვეტილიყო და დაქანცულ მაყურებელთა თვალწინ გამქრალიყო. შეიძლებოდა, ღამით გაყინულიყო კიდეც და გამთენიისას ჩასულ პირველ მწყურვალს წვეთიც ვერ ჩაეშვა გამომშრალ პიროში.

* * *

ორი დღე. ხომ ვთქვი, ორი დღით წავიდა-მეთქი. წერილობითი ნებართვის ასაღებად და ალბათ იმისთვისაც, რომ დამშეული თვალისთვის დედაქალაქის მღვრიე წყალი დაეღვივებინა. ღამეს დეიდაჩემთან გაათევდა, რომელიც ჩემზე ცოტა უფროს ქალიშვილსა და სიძესთან ერთად საბურთალოს ბაზართან ცხოვრობდა. რომ აღარ გამოჩნდა, მშვიდად წარმოვიდგინე, როგორ იჯდა ხელში ჩაის ფინჯნით და წვრილად ჰყვებოდა ბოლო თვეების ამბებს: ბინა დაცვალეთ, მყიდველის გამოჩენას ველოდებით, ირინა ისეთი უხასიათო გახდა, ირინას სახეზე გამოაყარა და გარეთ აღარ გადის...

ძალიან მომინდა იქ ყოფნა, მონატრებული ხმების მოსმენა - მშიერს, ხელეგათოშილს. მაინც რატომ არ დარეკა-მეთქი, გავიფიქრე. თუ ამდენ ხანს დარჩებოდა, ხომ უნდა გავეფრთხილებინე, რომ კიბის მხრიდან გაგონილ მცირე ხმაურზე გულისცემა არ ამჩქარებოდა-მეთქი. ისე, როგორც დიდი ხნის წინ: რას ჩამომიტანდა? რა ედებოდა ერთ ჩანთაში და მეორეში, რომელსაც შეუმჩნევლად დატოვებდა შავ კართან?

წერილობითი ნებართვა კი იმისა უნდა ყოფილიყო, რომ სავალდებულო ერთთვიანი პედაგოგიური პრაქტიკა მშობლიური ქალაქის რომელიმე სკოლაში გამეგლო და არა დედაქალაქის სასწავლო დანესებულებაში, სადაც სხვა სტუდენტები ივლიდნენ. გარემოებებისდა გამო. ცხადზე ცხადი გარემოებებისა და იმ ყველაფრის გამო, რამაც მთელი ქვეყანა ნაგავსაყრელად აქცია.

* * *

წავიდა და თითქოს დროც თან გაიყოლა. თავი ისევე ყვითლად მოჩითულ ბალიშზე მედო. თავში აზრები ერთს გაიბრწყინებდნენ და დაუყოვნებლივ იძირებოდნენ ყოვლისმომცველ სიბნელეში. შიმშილმა ძალა გამომაცალა, მაგრამ ეს ჩემი უშიზონო, უხალისო არსებობა, როგორღაც, უფრო ასატანიც გახადა. დასუსტებულსა და გაბრუებულს ძილი მანუგეშებელ შესაძლებლობად მესახებოდა. ადვილად ვიძინებდი - უწინდელივით არ ვწვალობ-

დი, არ ვწვრილებდი.

პირს ჯერ კიდევე ვიბანდი. ხისფერი საპნის გალეული ნატეხიც ჯერ კიდევე იდო პირსაბანის მარცხენა მხარეს. ოღონდ რამდენად ხშირად ვიმეორებდი ოდესღაც ნასწავლ მოძრაობებს - ძნელი სათქმელია. ცოტაც და, მივხვდებოდი, რომ თავის შენუხება არ ღირდა. წყვილია, რომლის ნაწილიც ვხდებოდი, წირპლიანსაც გულში ჩამიკრავდა, კბილებჩაყვითლებულსაც და აუტანლად აყროლე-ბულსაც.

თმაგაქონილსაც.

ფრჩხილებდაუჭრელსაც.

ფეხებგაუშპარსავსაც.

ვინ-იცის-როდის-გამოცვლილ-საცვლებიანსაც.

უბინძურეს ტანსაცმელში გამოხვეულსაც.

საშიშარებიანსაც.

საზიზღრად გაღიმებულსაც.

* * *

გაბო! გაბო! - იმდენი იძახეს ეზოში, რომ ბოლოს დამესიზმრა. მეტროს ვაგონში ვიდექით და მატარებლის დაძვრას ველოდით. მგზავრებს ზამთრის ტანსაცმელი ეცვათ. ხელით ნაქსოვი ქუდეები. დაძველებული, დაძენძილი ხელთათმანები. სითბო იყო იმ ვაგონში. სინათლეც. გაბოს შავი ქუდი თვალეზე ჩამოეფხატა, ბენვიანი საყელო ყურებამდე აენია და სახე ძლივსლა მოუჩანდა. ვითომ კარგად ვიცნობდი. ვითომ დიდი ხნის მეგობრებიც ვიყავით - უხმოდ გვესმოდა ერთმანეთის, სიტყვის ზედმეტად დახარჯვის სურვილი არ გვქონდა. ვიდექით იმ სითბოში, სინათლეში, უცხოების მზერის ქვეშ, და ჯიუტად ველოდით იმას, რასაც ყველა ელოდა.

არაფერი მეცვა. საერთოდ არაფერი და ამას ოდნავაც არ განვიცდიდი. ხარბი თვალეებით არავინ მომჩერებოდა. ხანმოკლე, ხმადაბალი საუბრების საგნადაც რაღაც სხვა უნდა ჰქონოდათ - უფრო საინტერესო, უფრო მეტი მნიშვნელობისა. მიყურებდნენ და უცნაურს ვერაფერს ხედავდნენ იმაში, რომ მეტროს ვაგონში შიშველი შემოვედი და ასევე ვაპირებდი ამოსვლას რომელიღაც მოუვლელ, ხელმიშვებულ სადგურზე - ზამთრის ბინდბუნდში, დანარჩენებივით ჩაფუთნულ ახალგაზრდა კაცთან ერთად.

* * *

ყურმილი ხელიდან გამივარდა და როცა ასაღებად დავიხარე, მივხვდი, რომ დარეკვის განწყობა აღარ მქონდა. დარწმუნებული ვიყავი, დედაჩემს სხვა ქალაქის ხმები და ხედები მოსწყინდებოდა, გასარკვევსაც გაარკვევდა და ისიც გაახსენდებოდა, ბევრი რომ არაფერი დამიტოვა თავის გასატანად.

წერილობითი ნებართვა ალბათ უკვე ჩანთაში ედო, ხელმოწერილი, ოთხად გაკეცილი.

ყურმილი მაინც მივიდე გაყინულ ყურზე. სიჩუმეს სრულყოფილებამდე არაფერი აკლდა.

სადაც რაღაც გამწყდარიყო. როგორც უნდა მომენდომებინა, ხმას ვეღარავის მივანვდენდი და ვერც სამყაროს მეორე ბოლოდან გამონვდილი ხელი შექმნიდა ჩემს გამოცოცხლებას. რა დამრჩენოდა - ისევ საბნების ქვეშ უნდა შევმალულიყავი...

სანოლთან ნახევრად ცარიელი შუშის ქილა მედგა, შიგ ჩარჩენილი ჩაის კოვზით. ჩვენს საკონსერვო ქარხანაში დამზადებული ვაშლის ხილფაფა იყო - ვინ იცის, რამდენი ხნის წინ ვადაგასული, ჩამუქებული. ეტიკეტის წვრილი, გადაბნობილი, რუსულ-ქართული წარწერების ნაკითხვა ადვილი საქმე არ იქნებოდა და თავიც არ შემინუხებია - შიმშილის მოსაკლავად გამოსადეგს სხვას მაინც ვერაფერს ვნახავდი, როგორი გულმოდგინებითაც უნდა გადამეჩხრიკა მთელი სახლი.

გაზი, შუქი, წყალი, ტელეფონი...

ვაშლის ხილფაფიანი ქილა ერთადერთი სიხარული იყო.

* * *

ჯერ ცალი ხელი გაუწონოდე წყვილადს, მერე მეორეც გამოვყავი და რაღაცას ნელა ნავეპოტინე. მწყურდა. წყლის ამოტანის დრო დამდგარიყო. ცივ ღამეში რიგის გამაგრების მოყვარული ბევრი არ იქნებოდა მათ შორის, ვისი გვარ-სახელებიც მახსენდებოდა და მავინყდებოდა, მახსენდებოდა და მავინყდებოდა. ნამოდგომის გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ გადავსინჯე გონებაში. ჯერ არა, ჯერ არა, - მემუდარებოდნენ მუხლები, საბნისქვეშა სითბო რომ არ ეთმობოდათ. თვალწინ ვერაფერს ვხედავდი. კარი მარცხნივ უნდა ყოფილიყო, სანოლიდან ხუთ ნაბიჯში. სანამ იქამდე მივიდოდი, ფანჯრის რაფიდან სათვალე უნდა ამელო და გუმანით დაორთქილილი შუშები სახელოთი გამეწმინდა. სათვალითაც ვერაფერს დავინახავდი, მაგრამ ასე თითქოს უფრო დავემსგავსებოდი საკუთარ თავს - იმას, ვინც გონებაში წარმომიდგებოდა ხოლმე. საბნები ბოლომდე გადავიხადე და შუალამის ცივი ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე. რაღა დარჩა-მეთქი, გავიფიქრე. რაც უფრო სწრაფად მოვიტან წყალს, წყურვილს მოვიკლავ და ლოგინის სითბოს დაუბრუნდები, მით უკეთესი იქნება-მეთქი.

არც მიფიქრია, რომ წყალი გაიყინებოდა, რომ ონკანის ჟანგმოდებული პირიდან წვეთიც კი არ გადმოვარდებოდა.

არც ის მახსოვდა, რომ სათვალე სანოლის ფეხთან ეგდო. ტკაცუნის სუსტმა ხმამ გამახსენა.

* * *

ნახევრად დამწვარი სანთელი და ნავთით სავსე ლიმონათის ბოთლი, ზედ მიხატული გულაბი მსხლებით; ბაზარში ნაყიდი პატარა პური; სამი კარტოფილის ღვეზელი, რომლებს შენვისასაც ზეთი დაეზოგათ და ცხელი ტაფიდანაც წაადრევიდათ ამოელოთ; წვრილი, მოყვითალო ვაშლები - მოტკბო, გემრიელი; ორიოდე ხახვი და კიდევ, დაფ-

ნის ფოთლები, რომლებიც ვერაფერში გამოვიყენე - აი, ეს დამიტოვა დედაჩემმა. დედაქალაქში დიდხანს დარჩენა თუ მოუწევდა, დღე დღეს თუ მიჰყვებოდა და მისი ხმის გაგონება სანატრელი გამიხდებოდა, გამოსავლის ძებნაზე ხელს თუ ავილებდი და საბნებში გამოხვეული დაველოდებოდი ბოლო წუთების დადგომას - რა წარმომადგენინებდა... ჩემი ოცი წელი მხოლოდ ქარისგან აფრიალებული ქალაქის ნახვევი იყო. ოცი წლისას თავის გადარჩენაზე ზრუნვა დიდ უაზრობად მეჩვენებოდა. ცხადია, შემეძლო რომელიმე მეზობელს შევკვდილებოდი - წყალწყალა წვნიანის ულუფას არავინ დამამადლიდა, ვისაც დედაჩემის წლებისწინანდელი სიკეთე ახსოვდა, მაგრამ რატომ უნდა მეცოცხლა? რატომ უნდა გადავრჩენილიყავი იმ ქვეყანაში, სადაც ნელ-ნელა ყველაფრის დათმობა მომიწევდა, რაც კი გულს ძვირფასად მიაჩნდა?

* * *

დრომ და უსაქმურობამ იმდენად ცხადად წარმომადგენინა გაბოს სახის ყოველი ნაკვთი, რომ აქ, ამ წვრილყვავილებიან ბალიშზე თავმიდებულს, თითქოს გახშირებული სუნთქვის ხმაც კი შემომესმა. ჩემი ხელის ქვეშ გული არათანაბრად უცემდა. ერთი არასწორი მოძრაობა და მაშინვე გაუჩინარდებოდა, ოთახში მობორილად აჩრდილების გუნდს შეუერთდებოდა. გაუნძრევლად უნდა ვწოლილიყავი და ერთმანეთის მიყოლებით გაჩენილი კითხვებით არ შემეწუხებინა. ისევ გიყვარვარ? სულ გიყვარები? უფრო მაგრად მიმიკრა მკერდზე - პასუხების გაცემისგან თავის დაღწევის შესაძლებლობაზე არც კი ეფიქრა. ისევ ჩემი იყო, ჩემი თმის ღერებს იხვევდა საჩვენებელ თითზე. სახლისკენ დიდხანს მოვდიოდით, მწარე ქარი დაუნდობლად გვისწორდებოდა, ერთიანად აენწყვიტა და როგორც ყველა გამვლელ-გამომვლელს, ჩვენც ცრემლებს გვაყრევინებდა. თითები გვეწვოდა. ყურებიც და ცხვირის წვერიც. თუმცა მაინც წინ მივინევდით, თხელი პარკებით ცოტა ხნის წინ ნაყიდ ფორთოხალსა და მანდარინსაც მივაქანავებდით. სახლში სიბნელე, სიცივე, მოჩვენებების მთელი გუნდი დაგვხვდებოდა, მაგრამ ჩვენ პალტოებსა და ფეხსაცმელებს გავიხდიდით, შემოსასვლელში მივყრიდით და მაშინვე საბან-ლეიბის უსაფრთხო თავშესაფრისკენ გავიქცევოდით. ლოგინში გაუხდელად ჩანოლილები ერთმანეთს ხელებს შემოვხვევდით და მარტივად შესაგრძნობი სითბოც დატრიალდებოდა. ცოტა გათბი, არა? მანდარინის ნაფცქვენები სად წავილოთ?

წარმოვიდგინე, როგორ მკოცნიდა, გამთბარი და შუაზე გაყოფილი, ქარგამოტარებული ნაყოფით დანაყრებული.

* * *

ისე გამიხეთქა გული ტელეფონის მჭექარე ხმამ, ვერაფრით მივხვდი, რა უნდა მექნა - რას ელოდა სიბნელის რომელიღაც კუნჭულში შემალული ცხოველი. საბნების ქვეშიდან ხელი ამოვყავი და ფრთხილ-

ლად გავაქნიე - რაღაც ისეთის მოშორება მინდოდა, რაც საპასუხო ქმედების მოფიქრებას მიძნელებდა. ვინ უნდა ყოფილიყო? დედა? თუ ვიღაცის გაცნობის სურვილით ანთებული მეათე-მეთერთმეტეკლასელი ბიჭები? ამდენი ხნით განყვეტილი კავშირი ნებისმიერ ახლობელ-ნათესავს აალებინებდა ხელს ნომრის ხელახლა აკრეფაზე. ალბათ უბის წიგნაკებშიც კი გადახაზეს. ალბათ ყველამ საბოლოოდ დაგვივიწყა მე და ჩემი სიბნელე. უცებ გამახსენდა, რომ ამასწინათაც რეკავდა - სამი დღის წინ? ერთი კვირის წინ? - და ხმა ვერავინ გამაგონა. იქნებ მე ვიდექი ენაჩავარდნილი, სანოლიდან გადმოთრეულ საბანში სანახევროდ გახვეული, აბლაბუდებიანი ჭერის, მოსაგველ-მოსანმენდი იატაკის, ოთხივე კედლის არსებობაში დაეჭვებული და სუნთქვაშეკრული... მაშინ ტელეფონის აპარატამდე მისვლა მაინც მოვახერხე. ახლა კი იმაშიც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ხმა მხოლოდ ჩემს თავში არ ისმოდა, რაღაც საგანგაშოს გამო აწრიალებულ-აფორიაქებული წარმოსახვის ნაყოფი არ იყო. ყველაზე გონივრული იქნებოდა, თავი დამემშვიდებინა, ერთიმეორის მიყოლებით გაჩენილ სურათებზე საყვარელი ადამიანების ძებნა არ დამეწყო. შეწყდებოდა, აუცილებლად შეწყდებოდა ეს გაჭიანურებული კვილი არსაიდან. ნყვდიადს ჭრილობა წამებში შეუხორცდებოდა.

* * *

როცა ახლად გამოღვიძებულს თავზე დამადა და გრძელ, დაუბანელ თმაზე თითები ჩამომისვა, ცხრამთაგადმოვლილი, მხრებდათოვლილი მოჩვენება შეგონა. თავშალი უკვე მოეხსნა და გასაშრობად იმ სკამზე გადაეფინა, რომელიც ავეჯის დიდი ნაწილის მაგივრობას სწევდა გასაყიდად გამეტებულ, ტანჯვით დაკლული შინაური ფრინველივით გამოიხვეწულ სახლში. ჩემკენ მეორე ხელიც გამოიწვინდა, მე კი, გამოუფხიზლებელმა, თავი მაშინვე შევაბრუნე - რაღაცას გავხედე, რისი დანახვაც სხვას არავის შეეძლო და მისი არსებობით დაიმედებულმა კინალამ ისევ სიზმრის ხასხასა ჯუნგლებში შევაბიჯე. ახსნის მოთხოვნის, კითხვების დასმის დროც დადგებოდა, მაგრამ მანამდე კიდევ ერთი ნატეხი შექარი უნდა გამეკვნიტა მაღალ ბალახში მოულოდნელად გაჩენილი თავმობშული ჯამიდან. რაღაცას მეუბნებოდნენ - ყურს ნაცნობი ხმა მოსწვდა, მაგრამ ნათქვამს მნიშვნელობა ერთიანად გამოსცლოდა. ახლა უფრო უადგილო ვერაფერი იქნებოდა, ვერაფერი გამანადგურებდა ისე სრულყოფილად, როგორც დედაჩემის მშვიდი გამოხედვა, აუჩქარებლად მოძრავი, აუხსნელი მიზეზით დამძიმებული მარცხენა ხელი, წერტილის ნაჩქარევად დასმისა და ყველაფრის თავიდან დაწყების თითქმის უმართავი სურვილი. რა თქმა უნდა, ამჯერადაც მართალი აღმოჩნდებოდა - მომხდარს ისე შეაბრუნებდა, ისეთ დამაჯერებელ ვერსიას შეთხზავდა, რომ წყენისა და უნდობლობის მსხვილ-მსხვილი, საავდრო ღრუბლებში წარმოქმნილი მარცვლებიდან ერთსაც ვე-

ლარ გადაარჩენდი.

* * *

რადგან აქ იყო, ეს დაწყებული ბინაც გაიყიდებოდა და აწმყოს ვინრო, აყროლებული საკნიდანაც გავალწევდით - ცოტა უკეთეს დღეებსა და ღამეებში გადავინაცვლებდით, სადაც ქარების გამუდმებულ თარემს რაღაც ისეთი დაუპირისპირებოდა, რაზეც ახლა წარმოდგენა ვერ გვექნებოდა. მერე ხელახლა ვისწავლიდი ორ ფეხზე სიარულს, პირის დაბანასა და კბილების გახეხვას, ნაფიქრის ხმამაღლა გამოთქმას, ყოველდღიური ურთიერთობების სასარგებლო წესებს. წუთით დამავიწყდა, როგორ აღარ მინდოდა ლოგინის სიმშვიდისა და დიდი ხნის გაურეცხავი თეთრეულის სუნისაგან თავის დაღწევა. სულ რა დრო გასულიყო მას შემდეგ, რაც ფიქრებში სამუდამოდ გამოვემშვიდობე ყველას, ვისი გახსენებაც მოვახერხე: ძველ შეყვარებულებს, ძველ და ახალ მეგობრებს, სკოლის, უნივერსიტეტის მასწავლებლებს, თვალის ექიმს, კბილის ექიმსა და დანარჩენებს, ვისთანაც იქნებ ბევრიც არაფერი მაკავშირებდა, მაგრამ ვინც განუწყვეტილად არბოდნენ და ჩარბოდნენ ჩემი სამყაროს ხვეულ კიბეებზე - ხან სად დამიკრავდნენ თავს და ხან სად.

- კალმები მიყიდე? - მეორეკლასელივით ვკითხე.

სიტყვა შუაზე გაუწყდა. შეკითხვა ვერაფრით დაუკავშირა ამბის იმ მონაკვეთს, სადაც მოყინულ ბილიკს სვენებ-სვენებით, დიდი სიფრთხილით მიუყვებოდა - ძველი ჩექმები წინა დღის წყალს დაემძიმებინა, ფეხის თითებს ველარ გრძნობდა წყვილ სველ წინდაში. ბოლოს თქვა, მერე ინათლა კიდევ და ხიდზეც შევდექითო, მაგრამ ვინმეს ადარდებდა მისი და უცხო თანამგზავრების ბედი? აღარც კი სწამდათ, დღის შუქს ისევ თუ ნახავდნენ, თვალს ისევ თუ გაუსწორებდნენ ზამთრის უძალო მზეს, ქვეყნიერებაზე მომაკვდავი მოხუცივით გულაყრილსა და გაურკვეველი დარდით სახეგაფითრებულს.

* * *

კვირის თავზე დავბრუნდიო, გამაგონა და წარმოსახვით დაფაზე მათემატიკის მასწავლებელივით გაავლო ხაზი. მერე ცარცის ნატეხით ნიშნულების გაკეთებას შეუდგა. ორშაბათი, სამშაბათი... ყველაფერი თვალსაჩინო, ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული უნდა ყოფილიყო. ცხოვრება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგრძელდებოდა, თუ მთავარზე შეთანხმებას მოვახერხებდით, ცარციით გასვრილ ჩვარს კი დაფის კუთხეში მივაგდებდით. ვინ გაამრავლებდა წყვდიადს სამნიშნა ციფრზე? ვინ გაყოფდა სასონარკვეთას იმდენ ნაწილად, რომ განმცდელს მანუგეშებელი ოპერაციის შედეგად მცირე შვება მაინც ეგრძნო? ყველაფერს სანყენად მიმარტივებდნენ, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად არასწორ მიმართულებებზე მითითებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ოცი წლისას ხელის განძრევა შემეძლო - ახლობლებისგან ცოტა ფულის სესხება, პურისა და ნავთის ყიდვა, სახეზე

ყინულიანი წყლის შესხმა, მეტი ამტანობის გამოჩენა, მეტი ადამიანობის გამოვლენა. არავის მიუტოვებებივარ, არავინ წასულა ჩემგან სამუდამოდ. ჰოდა, რა გამართლება უნდა ჰქონოდა განწირულების იმ განცდას, რომელიც საბნების ქვეშ გაშემებას მაიძულებდა და ძილ-ღვიძილის მიჯნაზე გულისცემას სახიფათოდ მიჩერებდა? რატომ დავიჯერე, რომ ფსკერზე განოლილი უკვე ბოლო სურათს ვხედავდი, სურათს, რომელზეც აღარაფერი ჩანდა?

* * *

დღის შუქი კლებას იწყებდა. ფანჯარას გავხედე და გაცრეცილი ცის ნაგლეჯმა მაშინვე უიმედობის განცდა დამიბრუნა. განა გუშინაც ასეთივე ამინდი არ იდგა? ვერაფრის შეცვლასაც ვერ შეძლებდა ეს ქალი, ისევ პალტოში გახვეული რომ იჯდა სანოლის კიდეზე და წვრილი, წყალჩამდგარი თვალებით შემომყურებდა.

- აქ ვინმეს გაბო ჰქვია? - ხმადაბლა ვკითხე.
 - აქ?
 - ჩვენს კორპუსში.
 - არა, ჩვენს კორპუსში გაბო არავის ჰქვია.
 - ვილაც ყოველდღე მოდის და უძახის.
 - არ მახსენდება... ისე, იქნებ იყოს კიდეც. ვინმემ ცოტა ხნით თუ შეიფარა ლტოლვილი...
- კარგა ხანს ხმა აღარ გაუღია, პურის ქერქს ღრღნიდა, სანამ ხველა არ აუტყდა.
- ისევ მშია, - ვუთხარი.

წუნწუნი არ დამინყია. არც მისი დარწმუნება მიცდია - სახიფათოდ დიდხანს დამტოვე მარტო ამ მორყეულ, ნაგავსაყრელზე წასაღებ სანოლთან-მეთქი. რა მოხდებოდა, შინ დაბრუნებულს მხოლოდ ცარიელი ოთახები და გაცივებული ლოგინი რომ დახვედროდა? გადაიტანდა კიდეც ერთ დარტყმას? უკვე იმდენისთვის გაეძლო, ვინ იცის, იქნებ მის გულს ძველებურადვე გაეგრძელებინა ფეთქვა, იმ აბლაბუდის ქსოვა, რომლის ერთ ბოლოსაც ყოველთვის რაღაც მყარს გამოაბამდა ხოლმე...

შემშობის შემანუხებელი შეგრძნება ვერა და ვერ მოვიშორე. ისევ მეგონა, ცოტაც და გონებას დავკარგავ-მეთქი, არადა, საფრთხეს ამკარად გადაევლო - დეიდაჩემის ხელგაშლილობის წყალობით, დედაჩემის საზრიანობისა და მოხერხებულობის წყალობით, ყველაფერი ნახევარ ფასად რომ ეყიდა. მრცხვენოდა, კიდეც მეთხოვა რამე - პური, სტაფილო, ხილის კანფეტი... სულერთია, რა შევაშინებდი ამ გაუმაძღრობით, შემშობის მოძრაობებით, გამოხედვით. ისიც მახსოვდა, რომ ნაშიმშილარი მცირე უღლუფებით უნდა დავკმაყოფილებულიყავი, საკვებს ნელ-ნელა უნდა შევჩვეოდი.

* * *

ლამით ისევ ერთად დავიძინებდით, რადგან სახლში სხვა სანოლი არ იდგა. ხანდახან რაღაც წამომივლიდა და უხმოდ ვეხვეწებოდი ხოლმე, არ გავეიდოთ, არ გავეიდოთ-მეთქი. ხმამალა რომ მეთქვა, ისიც უნდა ამეხსნა, სწავლის გაგრძელებ

ბაზე უარის თქმა რას გადაენწყვეტინებინა და თუ უარს არ ვამბობდი, სწრაფად გასავლელ რა გზას ვხედავდი? ამ ოთახებში დარჩენილებსაც როგორ უნდა გვეცხოვრა - საბოლოოდაც რომ ჩამექნია ხელი ყველაფერზე და სასიცოცხლოდ აუცილებელი სიხარული მხოლოდ კალმების ცვლასა და მოკლე-მოკლე ჩანაწერებით რვეულების შევსებაში დამენახა? ჩიხში ვიყავით. დიდი ხანი იყო, მყრალ ჩიხში ვიყავით და საითაც უნდა გავგეხედა, მხოლოდ ნაგავს, ნანგრევებს, გაუბედურებულ ადამიანებს, დარდით გულგასივებულ ადამიანებს, თავის მოტყუებას ნაჩვენებ ადამიანებს დავინახავდით. ყველა რაღაცას ყიდა - რაც ხელში მოხვედროდა და რის გარეშე იოლად გასვლაც შესაძლებლად მოსჩვენებოდა, რაც წინაპრებისგან დარჩენოდა, რაც თავად შეეძინა წინდანი შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის და კიდეც იმათი შვილებისთვის. სამკაულები, სავარძლები, მინის ნაკვეთები. თუ გაგიმართლებდა და მყიდველისთვის თავბრუს დახვევას მოახერხებდი, ცხელი ჩაით, ცხელი წვინანით ერთხანს მაინც გათბებოდით შენ და შენი ახლობლები - დანარჩენებიც და მშეულები, ცივი და ბნელი დღეებით დაშინებულები. მაგრამ ეს მყიდველებიც სადღა იყვნენ? უმეტესად ცარიელი სიტყვა ისმოდა. კითხვას სვამდნენ და პასუხის მოსმენა აღარ უნდოდათ. დიდ უთავბოლოებაში, გასაოცარ გაუგებრობაში ბედი ვილაცას მაინც გაუღიმებდა ხოლმე და სწორედ ეს უღვიძებდა იმედს მრავალჯერ ხელმოცარულებს, ზეციური სამართლის არსებობას აჯერებდა, ახალი ნაბიჯის გადასადგმელად აქეზებდა.

არა, არ უნდა ამომელო ხმა.

* * *

- გაბო არ ჰქვია. წყლის რიგში მითხრეს. ნიგნების სვეტთან დაყრილ გაურეცხავ ტანსაცმელზე ვიჯექი და კედელზე დახატულ პანანინა ცხენს მოჯადოებულებით შევყურებდი. ჩახლართული ამბავი იყო. გული მიგრძნობდა, უსინდისოდ უნდა მოეტყუებინათ ის, ვისაც გრიგალში გარეთ დგომა, უპასუხო ძახილით დროის გაჩერება შეეძლო.

ცხენი თვითონ დაეხატე შავი კალმით. სხვა ცხოვრებაში.

- და რა ჰქვია?
- რაღაც სხვა... არ მახსოვს, - მიპასუხა დედაჩემმა და ქუდის ქსოვა გააგრძელა. ნარღვევი ძაფით, ძველი ჩხირებით.

ვინ უნდა ყოფილიყო? რა ზნისა და ხელობისა? - მეცხრეზე რომ ცარიელი ოროთახიანია, იქიდან იხედებოდა და ვიკითხე. იყიდა, იქირავა, რა ქნა - არავინ იცის.

მეტი არაფერი უთქვამს და აღარც მე ჩავცივებებივარ. თითქოს რაღაც მქონდა დასამალი და სიფრთხილე უნდა გამომეჩინა, რომ დაუფიქრებლად ნათქვამ სიტყვას, ცნობისმოყვარეობის უცნაურად გამოვლენას არ გავეყიდე. ვცდილობდი, დაძაბულობა არ დამტყობოდა, არც ოთახის იმ

კუთხისკენ გამქცეოდა თვალი, სადაც ჩრდილი დავლანდე - ვილაც მალლის, შუბლზე ქუდჩამოფხატული.

* * *

- რა უნდა მექნა? - მძიმედ ამოისუნთქა. - მატარებელი გაჩერდა და... მეოთხედ თუ მეხუთედ გიყვები ახლა...

რამდენჯერაც უნდა მოეყოლა, ყურს ვერ დავუგდებდი, ვერანაირი ახსნა ვერ მომეჩვენებოდა დამაჯერებლად. გვერდით ვუჯექი და თავს ისე ვუქნევდი, თითქოს ცოტათი მომბეზრებოდა კიდევ ერთი და იმავე ისტორიის მოსმენა. აზრგამოცლილი წინადადებები. ზამთრისპირს დანთებულ ბუხარში შესაყრელი, ბოლომდე გამომშრალი, გამომხმარი წინადადებები.

- მერე ფეხით წამოვედით... სხვა საშველი აღარ იყო...

ცეცხლს თვალს ვერ ვწყვეტიდი.

- ერთ სოფელში წყალი ვითხოვეთ.

ცეცხლში შორისდებულებიც ლამაზად ინვოდა: ოჰ, უჰ...

- გზაზე რომ გამოვედით, შუალამე იდგა.

სახე მიხურდა. სადაც იყო, ალი ნვივებზე შემაცოცდებოდა.

- კარგი, დედა, - ვუთხარი და საკოცნელად გადავიხარე.

- ხელი, ხელი გამოშალე, - თქვა მოულოდნელად.

რა უნდა გვეთამაშა? ხბო წითელია, ძროხა ქრელია?

უბიდან შუშის მძივი ამოიღო. ნაირფერი მარცვლები ისე მიენყოთ ერთმანეთზე, რომ წამითაც არ დაფიქრებულებიყვნენ თითოეულის საეჭვო მშვენიერებაზე. თანმიმდევრობაც შემთხვევითი უნდა ყოფილიყო: რა ფერის შუშაც თითებში მოხვედროდათ, ის მიებათ წინასათვის - დროის დაუკარგავად, გადანყვეტილების სისწორეზე ფიქრით თავის შეუნუხებლად. რალაც მარტივი, იაფფასიანი უნდა შეექმნათ - სამყაროს შემოქმედთან გატოვლებას კი არ აპირებდნენ; და ალბათ ეპატიებოდათ კიდევ უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ნივთებისა და იმ უცნობების მიმართ, რომელთა მკერდიც მეტროს ამოსასვლელში შეძენილ მძივებს უნდა დაემძიმებინა. ბაცი ლიმონისფერი, ჭაობის წყლისფერი, თითებს შერჩენილი მელნის ლაქების ფერი, შავი, შავი...

* * *

- მეტროს ამოსასვლელთან ვიყიდე.

...

- მომენონა. და დარჩენილი ფული რომ დავთვალე...

...

- გახსოვს, დაბადების დღეზე, ოქტომბერში გითხარი...

...

- ოცი წლის ერთხელ ხდები ცხოვრებაში და... შეინახე, ახლა სად გაიკეთებ?! ზაფხულს, ზაფხულს

ლის კაბას მოუხდება.

...

- მანამდე გავყიდით ამ ბინას, ეგეთი დაწყველილებიც კი არა ვართ. გამოჩნდებიან მყიდველები - გუშინ გამდიდრებულები.

...

- ნუ მიყურებ მაგ თვალებით. როგორ არ უნდა მეყიდა? ის ველარ წარმოვიდგინე, ავტობუსის ბილეთს თუ გააძვირებდნენ.

...

- ამიტომ წამოვედი მატარებლით... და რა სიმყრალე, რა სივინროვე... მაგრამ არავის უკითხავს, ბილეთი მქონდა თუ არა.

...

- მატარებელზე უკვე მოგიყევი. გაჩერდა და... მერე, უცხო ხალხს რომ გამოვყევი, სიბნელეში გზის გამოგნებას რომ ვცდილობდით, გულში ვამბობდი: ვინ იცის, იქნებ სულაც დამინუნოს საჩუქარი-მეთქი.

...

- ახალგაზრდას თვალი საით გაექცევა, რას გაიგებ-მეთქი.

* * *

- მოგნონს?

თავი დაუქნიე. რა თქმა უნდა, ამ მძივს არასდროს გავიკეთებდი - ქუჩაში ასე ვერ გავივლიდი, ფეხადგმული საფრთხობელა ვერ გავხდებოდი. წარმოვიდგინე, როგორ დამამახინჯებდა, ტანჯვასა და სიკვდილს მომიტანდა. ლამეების გაუთენებლობაც მისი ბრალი უნდა ყოფილიყო, დღის საათების უცაბედი გაქრობაც, ცარიელ ქილაზე კოვზის კაკუნისას გაჩენილი ბზარიც. შიმშილის მიზეზი ხომ უნდა გამომერკვია, ხელში რალაც მყარი, ადვილად სახელდასარქმევი ხომ უნდა მომექცია. მძივიანად ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდი, მის სათრევად ძალა არ მეყოფოდა. გულდამძიმებულს, მაჯებდაბორკილს, ფეხებდაბორკილს გადარჩენის იმედი საბოლოოდ გადამენურებოდა. წარმოსახვაშიც ვერ გავუძელი ორ წუთზე მეტს, სასწრაფოდ წინ მოვიქციე ბაცი ოქროსფერი შესაკრავი, ფერი რომ ძალიან მალე გადაუვიდოდა, და აკანკალეული ხელებით გავხსენი - საკუთარი თავისთვის მიცემული პირობით, რომ პირველად და უკანასკნელად მეკეთა, მჩუქებლის წინაშე ვალის მოსახდელად. საჩუქარი კი უნდა შემენახა და დამევიწყებინა. ისეთ ადგილას უნდა შემენახა, ხშირად არ გადავწყდომოდი, მაგრამ რა სამალავისთვის უნდა მიმეგნო გამოშიგნულ-გამოცარიელებულ ოთახებში, სადაც თვალი ყველაფერს სწვდებოდა, ყველგან ძვრებოდა და ნანახს მესაკუთრის სიხარბით იმახსოვრებდა? რა თქმა უნდა, უჩუმრად გადაგდებაც შეიძლებოდა - წუთით გამოღებულ ფანჯრიდან, ანდა ქალაღლის ნაგლეჯში გახვევა და პირთამდე გავსებულ ნაგვის ყუთში ცალი ხელით ფრთხილად ჩაცურება...

- მადლობა, დედა, - ვთქვი და კარისკენ გავიხედე.

ოტტო ხვედელიძე



საუზმე

დროებით,
 სახლო.
 გამოვდივარ ისეთ დროს, როცა
 ჩემი ჩრდილი ჩემი სხეულია,
 გახვეული
 ათას სამოსში - ისე, რომ მხოლოდ თვალები
 მიჩანს
 და ზამთრის ცივიცა
 დნობას პირველად ჩემს თვალებში იწყებს...
 ჩემი სიტყვები სავსეა ცრემლით.
 საუბარიც ძალმიძს
 მხოლოდ თვალებით,
 თუკი მომისმენთ,
 გაგახსენებთ:
 გამხდარი მხრების მქონე
 ლიტერატურულ პერსონაჟებს,
 ბედნიერი ადამიანების პირებიდან
 დაღვრილ
 ასნლოვანი სახლების
 ლამაზ მირაჟებს,
 მე კი
 კატეხიზმო ვიქნები მათთვის,
 ვის სახლშიც
 ლამის სამი საათია,
 სანოლთან
 ელიოტის ლექსების კრებულია გადაშლილი,
 აბაზანაში
 კბილებს იხეზავს და
 ახალი დღისთვის ემზადება.

პოლ ტიბეტის დაბადების დღე

ბავშვი -
 გახარებული
 დაბადების დღეზე
 საჩუქრად მიღებული ასანყოფი ქალაქით -
 იცინის.
 გაიფიქრა: რა საჭიროა მანქანები,
 ადამიანის ფიგურები,
 გზები?!

რა იოლად დაინგრევა.
 იქვე ანთებულ სანთელს ხელი აუქნია,
 ბავშვის ჩრდილმა იცვალა ფორმა -
 გაიზარდა,
 გახდა შემზარავი.

* * *

მონყენილობის თაფლისფერ
 მოსასხამში
 შენ გამოჩნდი,
 თმაზე შერჩენილი
 ლამის ყვავილებით,
 ულმობლად
 რომ იდგამდნენ ფესვებს
 შენს თვალებში.
 იკარგებოდი აუჩქარებლად,
 საათის
 ისრის მოძრაობის მიმართულებით.
 რა იქნება მერე?
 მერე თუნდაც თოვლმა დამფაროს.

თოვად

ზუსტად
ერთი
ფანტელით
მეტი და
თოვლი
ზუსტად ისეთი იქნებოდა,
როგორც არასდროს.

* * *

ვინ იცის,
ყოველი
შემდგომი წამის შემდეგ
რა დრო მაშორებს შენამდე.
მე ვინცებ სვლას შენკენ,
თუ მდინარეები,
რომელთაც ჩაუარე?
მიტოვებული ტყეების
ფრინველები,
ეჭვით რომ დაგყურებდნენ...
სიზმრების გადამცემ
სადგურებს შორის
გაფანტული,
დაუსრულებელ
სილურჯეში
გახვეული სიზმრები...
ფაფუკი
სინყნარის
საბანში გაეხვევიან...
ძილში
ნანახი შენი ვერცხლისფერი
ლიმილი
გზად გამიძღვება,
შენს მძინარე
ლიმილზე კი
ჩემი შეცვლილი
მოგონება დაიღვრება.

შინაური ცხოველი

100 წელია, რაც
შავ-თეთრი
მანქანების ნაზ სურნელში
გახვეული მოედნის
შუაში ვდგავარ,
ხელის გულში დაგუბებულ
წყალში ვზრდი
ვეშაპს.
გაუნძრევლად ვდგავარ,
წვეთიც რომ დამელვაროს,
ვინ იცის, ქალაქი დავტობრო.
ვეშაპი
დროდადრო
ცდილობს,
ხელის გულიდან
ამოხტეს -
ასჯერ შეკეთებული, ხმაურით
შეხოჭილი,

ქალაქის თავზე გადაიფრინოს
და დაღლილ სახეებზე
წყლის
მილიარდობით
წვეთად ჩამოიშალოს...
თუმცა
ჩემი ხელები
შეკრულია
ფანჯრებიდან
რიგრიგობით გადმოღვრილი
შიშით.
ეს დაუძლეველი მყუდროება
სასჯელია!
რთულია,
ვეშაპი იყო და
ვარსკვლავებით გადაჭედო,
მძიმე ცაზე,
ანგელოზივით იფრინო.

* * *

ბინდდება.
ბროლის ტყეებიდან
ამოსული
ზამთრის
მძიმე ცა
გადაჰკვრია
მარტოხელა სახლს,
ბუხრის წინ
მიმოფანტული
ზღაპრები
ობობებს
ფოსფორის
ქსელში გაუხვევიათ -
შეუნახავთ
კედლებზე,
ჭერზე...

მისთვის, ვინც
ღია
ფანჯარას
დახურავს,
ცეცხლს დაანთებს,
ძველ ვოდვეილებს წაიკითხავს

შობა

უძილო ღამეებისგან
დაუძლურებული
ზამთრის ყვავილი აყვავდა
მის სხეულში.
ვარსკვლავების ნათება,
ჩაღვრილი თვალეშში,
წამნამებიდან
განთიადის
ნექტრად
გადმოიფრქვა,
ჩვენს სასონარკვეთილ,
ცოცხალ სხეულებში.

* * *

ამისა შემდგომად იხილა იესუ,
რამეთუ ყოველივე აღსრულებულ არს.
და რა?თა აღესრულოს წერილი იგი, თქუა: მწყურის.

“ჩვენი ფერფლისგან აიგება ჩვენი სახლები”
დ. პ.

ვისთვის
იდუმალი,
და მე ზუსტად ვიცი რას ფიქრობენ
ხის ნავეებში მოკალათებული
მეთევზეები
ჩემზე,
როცა
ზღვას საათობით ვუყურებ
და
თითების ფშვნეტაზე მეტყობა,
თუ როგორ მჯერა -
მე არა!
ეს ზღვას სჭირდება -
ძლიერმა,
რაც შეიძლება ძლიერმა,
დამანგრეველმა
ქარმა დაუბეროს
და
ჩემი ტენიანი მზერა
მთელს ტანზე შემოახვიოს,
გააგრილოს.
არ იციან,
როცა ქალაქში არის ძილის დრო,
მე ფანჯარასთან
მზის პარამეტრებს
ძილს
ისე ვაქსოვ,
რომ განთიადები ემთხვეოდეს
ჩემს
გალვიძებებს.
არც
ჩემი ლმობიერების იცოდნენ რამე,
როდესაც
საშოდან გამომძვრალმა თითის დაქნევით,
ხმამალლა განვაცხადე
უარი აკვანზე,
რადგან, როგორც წინასწარმეტყველებაში
იყო ნათქვამი -
ჩემი აკვნის შესაქმნელად
მსოფლიოს ყველა ხე
უნდა მოეჭრათ.
არ იციან,
გული
მეც რომ ისე მიმძიმს,
როგორც სრულიად უცნობ და შემთხვევით
ადამიანს,
როცა პატი სმითს უსმენს.

ბოლოს კი
უმაღლეს კოშკზე ასული და სუნთქვაშეკრული,
ყველა მეთევზეს
სახელით მივმართავ და ვეუბნები,
რომ სჯეროდეთ სხვა წინასწარმეტყველების:
“ჩვენი ფერფლისგან აიგება ჩვენი სახლები”.



მედია იმერლიშვილი

მშობიარობა

ქარი მაინც ამოვარდებოდეს,
 ადრე ქროდნენ, ჩემი პირველი შვილი რომ დაიბადა,
 ქარი არწევდა ხეებს სამშობიაროს კედლებს მიღმა,
 ფანჯრებიდან ცა ჩანდა მოიისფრო,
 მე კი, უცოდნელი ბავშვის დაბადების, და ყველაფრის
 უცოდნელი,
 ვცდილობდი ჩემი პირველი შვილის გაჩენას,
 ტკივილებით, მარტოობით, ტკივილში ხომ
 ყველა კაცი მარტოა და ქალი უფრო.
 სიხარულშიც ყველა მარტოა და სიკვდილში კიდევ უფრო.
 მერე უკვე, ჭუჭყისფერ ფლასებში გახვეული,
 გორგოლაჭებიან მაგიდაზე დამანვინეს და დერეფანში,
 სამშობიაროს კედლებს შიგნით, კვნესა-ხმაურიან დერეფანში
 ერთი დღე ვინეკი, ისევ მარტო, რადგან არ მოიძებნა ოთახი,
 სადაც შემიყვანდნენ, არარასთვის არ მოიძებნა ოთახი,
 რადგან არარა ვიყავ, ფლასებში გახვეული, უსახელო.
 ასე დაიბადა ჩემი პირველი შვილი,
 გამოუცდელი ტკივილებით, შიშით, ქარში,
 თეთრ კედლებში, პატარა გოგოს შვილი,
 რომელმაც არაფერი იცოდა - არც დედობა,
 არ ჩვილისთვის ძუძუს ჭმევა, ქვემოდან კი,
 წერილებს მიგზავნიდნენ, მილოცავდნენ,
 სანიტრებს ატანდნენ მანონთან ერთად,
 ბულიონთან ერთად, და სხვა ქალები მეხმარებოდნენ
 მანვნის ჭამაში, რადგან ვერ ვდგებოდი,
 ჭრილობიდან სისხლი მდიოდა და ვინეკი
 გასუსული ტკივილში და მარტოობაში.
 სანიტრებს მოჰქონდათ დაკეცილი წერილები,
 და ადამიანები სამშობიაროს კედლებს მიღმა,
 მილოცავდნენ, როგორც ვულოცავთ ერთმანეთს
 ბავშვის დაბადებას და ყველაფერ სხვას.
 მილოცავდნენ და მისურვებდნენ, რასაც ვუსურვებთ
 ერთმანეთს ბავშვის დაბადებისას,
 და რასაც ვუსურვებთ ერთმანეთს.
 მერე მზრდიდა ჩემი პირველი შვილი,
 თვითონ უფრო, ვიდრე მე მას.
 ასე დაიბადა ჩემი პირველი შვილი.




ჭურჭელი

დაე, ამოიხაპოს, როგორც ჭურჭელი
 მიწაში ჩაგდებული, და დაშრეს სიღრმე, შენი მცოდნე.
 და ვლვრიდე წყალს უდაბნოში,
 თუნდაც ვიცოდე, რომ ამ ქვიშაზე არაფერი აღმოცენდება.
 დაე, გამხადონ სამოსელი უკანასკნელი,
 და ამომკორტონ გულ-ღვიძლი და მთელი სხეულიც..
 და დავიმარხო ქვიშის ბორცვებში, როგორც დიდებული
 იზაბელ ებერარდი,
 რომელმაც წარსულიც, სიტკობაც ცხოვრებისა,
 თავისი ცოდნა და არცოდნაც, უდაბნოს შეუერთა და
 გაჰყვა შორეულ ქარავანს,
 გაჰყვა უდაბნოში მოვარდნილ ნიაღვარს.
 შენი ცოდნა - იყო ზაფხულის უშფოთველი დღეებიც.

უჩრდილო ქალი

უსიყვარულობას გთხოვ, ღმერთო,
 სიყვარულის უნარს კი არა, - უსიყვარულობის,
 რადგან გადავიარე მრავალი მთა და მრავალი ზღვა
 და ჩემი ტანი უჩრდილო გახდა, - დაჭრილი, დაჩეხილი.





ალარავინ ვიყავი და არარა იყო ჩემი ხმა და ფერი.
 არარა ვარ და დავდევ ჩრდილებს ქალაქში.
 ჩრდილების მდევნელი გავხდი ქალი,
 არავისთვის საჭირო, მოძულეებული.
 დავდევ ჩრდილებს და ვეფარები მათ
 ქალაქის მივარდნილ კუთხეებში.
 უსიყვარულობა მომმადლე, ღმერთო, -
 გულგრილობა და სამუდამო გაუტკივარება,
 როგორც კედლებს, რომლებიც უმტკივნეულოდ
 იშლებიან ჩვენ თვალწინ.
 და არავის ესმის მათი ხმა, არც მათი ჩივილი,
 მზისგან გამომწვარნი,
 ჩუმად იკრებენ ჩრდილებს თავიანთ ტანზე,
 უცხო ქალის შესაფარებლად.

* * *

არ გაუჩერდები სიტყვას,
 არ გადავდებ საქმეს - სახლი უნდა გამოვგავო,
 ცოცხი გავრეცხე და კედელზე მივაყუდე. მელოდება.
 არ გაუჩერდები სიტყვას და ის ნაწავ თავის გზით და მეც
 ნაწავ ჩემი გზით და ამ გზას ერქმევა ყოველდღიური
 მომბეზრებელი და ამ ერთფეროვნებით მშვიდი და
 მშვენიერი ცხოვრება.
 რა სჯობს სახლის დალაგებას ზაფხულში.
 რა სჯობს დაგვას და ფანჯრების წმენდას,
 ჭურჭლის რეცხვას რა სჯობს.
 რა სჯობს ამ ერთფეროვნებას,
 როცა სუნთქვა თითქმის შეუძლებელია.
 მაგრამ თითქმის და არა ბოლომდე და
 ამითაც ბედნიერი ხარ ამ შეშლილ დროში.
 სიტყვები კი ნავლენ თავის გზით.

* * *

ჩემი ნარინჯისფერი მზე
 ამოლადლადდა და გადატეხა ხაზები,
 გადალება დარაბები და
 დარაბებს მიღმა, ოთახის სიგრილეში,
 მძინარე კაცს სახეზე
 წვრილ ღარებად აელანდა.

დაკარგული წერილები

წერილი პირველი

მინდოდა
 ვყოფილიყავი ერთგული მეგობარი.
 ჰო, ჩვენ ვმეგობრობდით. მინდოდა ვყოფილიყავი.
 შევთანხმდით. შეხვედრა - პასუხი.
 ნათქვამი სიტყვა ელის, რომ გაიგონებენ, -
 ყველაფერს ცისქვეშეთში, ამ სამყაროში -
 ავსებს შეხვედრის მოლოდინი, - როგორც საზრისი,
 გასრულება საკუთარ თავში.
 კითხვები, სიტყვები - პასუხგაუცემელი, -
 უსასრულოდ იმეორებენ თავიანთ თავს,
 როგორც დაუამებელი ტკივილები.
 მიყვარს შენი ღიმილი.
 უწყინარი შეკითხვა - დავლევთ ისევ ჩაის?
 მეტისმეტად ელვარე იყო სიტყვები,
 რომლებსაც ვამბობდი?



ნერილი მეორე

ეს წიგნი, აი, ახლაც, გადაშლილი რომ დევს
ჩემ გვერდით, მარკო პოლოსა და ყუბილაი ყაენის შეხვედრის,
მათი დიალოგის,
მარკო პოლოს აღწერილი და წარმოსახული ქალაქების,
ყუბილაი ყაენის კაეშნის, - შენთვის მინდოდა.
“რატომ მართობ გულის მოსაოხებელი ზღაპრებით?” -
ეკითხება ყაენი მარკო პოლოს.
“თუ გინდა გაიგო, როგორი წყვედიანი გაკრავს ირგვლივ,
სადღაც შორეთში მოციალე სუსტ სინათლეს უნდა მიაპყრო მზერა”.

გიაბობდი ჩემს წიგნებზე.
გაუნელებელ სიხარულზე, რომელმაც
არ იცის დანაშაულის გრძნობა.
მეკითხებოდი, რა იყო ჩემი მიზანი, წიგნზე ვწერდი, -
შეხვედრა.

ნერილი მესამე

როგორ ხარ?
დაუძლეველი სურვილი მიპყრობს ხმის გაცემის.
როგორ ხარ?
დრო გადის.
თითქოს ყველაფერს ეჩვევი.

ნერილი მეოთხე

უცნაური, ლალი დღეები იყო.

* * *

შეცდომების ღმერთს
მივედი და კალთაში ჩაუფდე თავი.
კრიალოსანივით ჰქონდა აკინძული,
ხელში ათამაშებდა, მზეზე მიფიცებულს.
გარშემო კატები შემოხვეოდნენ და ნაბავდნენ თვალებს.
თრთოდნენ, ბენვი უბზინვარებდათ.
მოფერება დაუწყე კატებს.
ჩემი ხელი იყო თუ ღმერთისა, აღარ მახსოვს,
კალთაში კატას ჩაედო თავი, თუ მე?
ღმერთიც, შეცდომების, იქნებ ის იყო,
ჩემს კალთაში რომ ისვენებდა,
ჩემი თითები კი მარცვლავდნენ
ღმერთის შეცდომებს.

უუსტინი

ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი, ვამბობდი.
მერამდენე შემოდგომაა? მერამდენედ გადაეფარება
დასერილ ხელებს ღამე და ჩაკარგავს კაცთა ძილში ჩემს ღვიძილს.
საათის ისრების მონოტონური ხმაური ქარების სიჩუმეში,
სადღაც მიძინებული ქარების სიჩუმეში.
მუჭს კრავ, ჭრილობა იხსნება დამწყვედი ქარის, ზღვის სიჩუმის.
შემოგეფარები-მეთქი, მე - ქვაბული სალი კლდის, გთხოვდი კაცს,
უცნობ კაცს. შემოფარე-მეთქი, გთხოვდი, თავშემოფარებულს.
ხელი ჩამკიდე-მეთქი, არ ჩავიფშენე ღრმა ხევში.
სიზმარი ყოფილა ქარის და მიწის, ჩემი მიწის, რომელიც
ვერ მოსწყდა თავის თავს, ვერ ასცდა თავის თავს და დახუჭა თვალები.
იყავი ჩემი მეგობარი-მეთქი, გთხოვდი, გარს კი კედლები მერტყა.
კედლები მერტყა და ვერ გამოვარღვიე. ვერ გამოვარღვიე და
საათის ისრების ხმაურში, ოთახის სიჩუმეს
პარალელურ ხაზებად რომ ჭრიდა, ჩემი სხეული,
ქალის სხეული, უცნაური შიშით ბორგავდა,
უცნაური სიხარულით აყურადებდა
ქარების გამოღვიძებას.





ვალერი ოთხოზორია

ვაჟა და მოდერნულობა

ციკლიდან - "ვაჟა და კონფლიქტები"



ფუკოს მიხედვით, მოდერნულობა ლიტერატურაში გამოიწვია კავშირის წყვეტამ ტრადიციასთან. მწერლებმა დაიწყეს წერა "ცარიელი ფურცლიდან" და "ერთადერთი წიგნისა". ევროპაში ამ პროცესს აგრესიული ხასიათი ჰქონდა: მწერლები აცხადებდნენ თავს ერთადერთად, ისინი უარყოფდნენ არა მხოლოდ წინამორბედებს, არამედ თანამედროვეებსაც. ფუკო მოდერნულობის დამწყებ-

ბად მიიჩნევს მარკიზ დე სადსა და სტეფან მალარმეს. სადი თავდაყირა აყენებს ღირებულებათა ტრადიციულ სისტემას, ხოლო მალარმე ცდილობს, სრულიად "წაშალოს" მანამდელი ტექსტი და აბსოლუტურ სიცარიელეში აღმოჩნდეს. ამ ეპოქაში წერის ამოცანა სრულიად საპირისპირო ფუნქციას იძენს: სადი წერს იმისთვის, რომ სექსუალურად ალეგზნოს (წერის პრაქტიკა აქციოს სექსუა-

ლურ პრაქტიკად და ამით აღკვეთოს ის), მალარმე კი - იმისთვის, რომ ის შეუძლებელი გახადოს.

საქართველოში გვიანი მოდერნიზმი ექსპერიმენტული სტილით გამოიხატა, როგორც პროზაში, ასევე პოეზიაში. პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელი ნიკო ლორთქიფანიძეა, პოეზიაში კი ექსპერიმენტატორები ცისფერყანწელები არიან. ლორთქიფანიძის სტილი ფერწერულ იმპრესიონიზმსა და პუანტილიზმს ჰგავს, ცისფერყანწელთა პოეზია კი სტრავინსკის რევოლუციური მუსიკის მსგავსია. მიუხედავად ამისა, წერის ამოცანა, წერის კრიზისი მათთვის პრობლემა არ გამხდარა. უფრო მეტად, ისინი იღვწოდნენ ინდივიდუალიზმისთვის, განსხვავებულობის მისაღწევად, რაც, უდავოდ, მოდერნულობის მახასიათებელია, მაგრამ უკვე შემდგარი მოდერნიზმის შვილები იყვნენ, მეორე ტალღის წარმომადგენლები, როცა ყველაფერი გაირკვა და დალაგდა. მოდერნულობის სამშობიარო ტკივილები მათ არ გადაუტანიათ. ჩვენ ის უფრო ადრეულ პერიოდში უნდა ვეძებოთ.

პირველ დიდ მოდერნისტებს საქართველოში სამი მწერალი წარმოადგენს: ილია, აკაკი, ვაჟა. თუმცა, ამ სამიდან მოდერნის ტანჯვა მხოლოდ ვაჟა-ფშაველამ გადაიტანა. აკაკი წერეთელს ის საერთოდ არ შეხებია, მოდერნისტ-სახალხო პოეტად და მწერლად დარჩა; ილიას კი შეეხო მხოლოდ ნაწილობრივ და შედარებით მსუბუქად. წერის ფუნქციის განსაზღვრა, წერის ამოცანა ნამდვილად წარმოადგენდა ილიას პრობლემას. საყოველთაოდ ცნობილია მისი ლექსები - "პოეტი" და "ჩემო კალამო, ჩემო კარგო...". ილიას გადაჭრის გზა რეფორმისტული იყო, განსხვავებით ვაჟასგან, რომელმაც წმინდად მოდერნისტული, ანუ რევოლუციური სცენარი აირჩია. ამიტომ ილიას შემოქმედება კრიტიკული, ანუ პუბლიცისტურია, მაშინ, როცა ვაჟა-ფშაველას შემოქმედება (მოდერნული გაგებით) წმინდად ლიტერატურული, ანუ რევოლუციურია. მოდერნის ქარიშხლის სრული მასშტაბით დანახვა პირველი მოდერნისტებიდან მხოლოდ ვაჟა-ფშაველასთან შეიძლება.

ეს ქარიშხალი გამოიხატება ძველისა და ახლის უკომპრომისო დაპირისპირებით და მას მხოლოდ ვაჟას პოემებში ვიპოვით. ახალი ადამიანი ტოტალურად უარყოფს ძველ წესრიგს, უცხოვდება გარემოსთან და სხვა ხდება. ტრადიციასთან მიმართებით სხვა რევოლუციური სუბიექტია, ახალი პერსპექტივის აღმომჩენი, რომელიც თავდაყირა აყენებს ძველ წესრიგს. როგორ ახერხებს ის ამას? - ახალი, მანამდე უცნობი ეთიკური პერსპექტივის აღმომჩენით. შესაძლოა, ეს პერსპექტივა ყოველთვის არსებობდა ან ხელმისაწვდომი იყო გრძობისა და წარმოსახვის კოლექტიურ ველზე, მაგრამ ახალი სუბიექტი, უპირველეს ყოვლისა, მოქმედი სუბიექტია და ესწრაფვის რევოლუციის განხორციელებას, ჩადენას. სწორედ ესაა მოდერნულობის განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც ახალ დროს შეურიგებელს ხდის ძველის მიმართ.

ალუდას აღმოჩენა არ არის მხოლოდ - სხვა ადამიანი, მტერი, როგორც ადამიანი; მისი აღმოჩენა სულ სხვაა. მუცალი მის წინაშე წარდგება, როგორც სრულიად სხვა, უცხო. ჯოყოლასათვის ზვიადაური არა მხოლოდ ძმის მკვლელი სტუმარია, არამედ - ძმის მკვლელი ღმერთი. ალაზა არა მხოლოდ ცოლია, რომელსაც დიდსულოვანი ქმარი სხვა კაცის დატირების უფლებას აძლევს, არამედ სრულიად სხვაა, რომლის უფლებაც ეფუძნება მის უპირობო თვითდასწრებულობას. ამ მომენტების გათვალისწინების გარეშე, ვაჟას ეთიკას ოდნავადაც ვერ მივუახლოვდებით, ვერ ჩვენვდებით "გველის-მჭამელსა" და "შვლის ნუკრის ნაამბობს".

როგორ უნდა ჩავწვდეთ მათ? ნაწილობრივ ლევიანასის სახის ეთიკა დაგვეხმარება, ნაწილობრივ კი ბრალის (საბრალოობის) შესახებ ჩემი კონცეფცია, რომელიც მონოგრაფიაში - "სამართალი მეორე მხრიდან: ბრალის ყოფიერება სამართლიანობისა და სამართლის შესახებ" განვავითარე. მართლაც, ვაჟას წინააღმდეგობას წარმოშობს სახე და ხატი (იმიჯი) და საბრალოობა, რომელიც მას ახლავს, და ჩემგან აბსოლუტურ პასუხისმგებლობას მოითხოვს, როგორც ჩემს სამყაროში შემოჭრილი. ამგვარი წინააღმდეგობა, ახალი დისკურსის (პერსპექტივის) შემომტანი, მხოლოდ მოდერნის ეპოქაში ჩნდება, მანამდელი ლიტერატურა მსგავს ვნებას არ იცნობს.

მოდერნული რეზისტენტულობა თავის ნაკლს შეიცავს, რის გამოც თავისისავე კვალზე იმსხვრევა. რადგან შვლის ნუკრის ეთიკას წარმოშობს შვლის ნუკრის სახე, იმავს კი არ იძლევა შვლის ლეკვის სახე. ია საბრალოა, სარეველა კი - საძაგელი, რადგან იას სახეს და მის დაუცველობას სხვა გრძობადი ევიდენცია აქვს, სარეველას სახე კი პოეტის აგრესიას იწვევს. გველისმჭამელის ეთიკა შესაძლოა არსებობდეს მხოლოდ გრძობადი ევიდენციის დონეზე, ლოგიკური წინააღმდეგობის პირობებში: ხის მოჭრა ცუდია, ხოლო ხორბლის მკა კარგია, რადგან ხორბალი ყვირის - თავი მომჭერთ, ადამიანი მინდა დავანაყრო, ამისთვის გავუჩენივარ უფალს, ხოლო ხე იძახის - ნუ მომჭრი, ადამიანო, მტკივა... არადა, რა განსხვავებაა ამ ორ ხატს შორის: ხის მოჭრის სცენა და ხორბლის მკის სცენა. რა განსხვავებაა მუცალსა და მის ძმას შორის? ამგვარ ეთიკურ თვითნებობას ბადიუ სიტუაციურ ჭეშმარიტებას უწოდებს, რომელიც ვერ ამოიხსნება წინასწარ, უშუალო გამოცდილებამდე.

მოდერნის ჯოჯოხეთის ქვაბში აღმოჩენილი მწერლები ის გამორჩეული სახეები არიან, რომელთა წერის ამოცანაა, უთხრან "არა!" ძველს და "კი!" - ახალს, როგორც ძველის სრულ უარყოფას, თავისისავე სიმტკიცეში რომ შეუქცევადად იზარება. შესაძლოა, მოდერნულობა სწორედ ის მომენტიცაა, როდესაც ლიტერატურაში დიდი ბზარები ჩნდება, საიდანაც ახალი ლავა, ახალი ლიტერატურა იფრქვევა.



წიგნის სანახავად
დაასკანერეთ ▼



რა ხდება მაშინ, როცა ვინმე იმისაგან განსხვავებულად აღწერს სინამდვილეს,
როგორც ჩვენ ის წარმოგვიდგენია? ვბრაზდებით თუ ვცდილობთ,
განსხვავებულში სიმართლის მარცვალე მანინც დავინახოთ და მერე
ეს ყველაფერი ისევ ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ?
საქართველოს უახლესი წარსულის სიღრმისეული გააზრების მცდელობა
ნაირა გელაშვილის უმნიშვნელოვანეს რომანში, რომელშიც მეოცე საუკუნის
მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიული სინამდვილის სიღრმისეული,
ფენომენოლოგიური ანალიზია მოცემული.



პალიტრა L
სამომავლო

www.palitra.ge

facebook.com/Palitra.L.Publishing

ზურა ჭიშკარიანის ახალი კიბერპანკ რომანი

ზურა ჭიშკარიანი



სწრაფი,
ღამისიერი

როგორი იქნებოდა დეკარტი, ციფრულ პერსონაჟად რომ დაბადებულიყო?

ვინ და როგორ იპარავს ვიდუოთამაშების პერსონაჟებს და რატომ არის შავ ბაზარზე ასეთი მოთხოვნა მათზე?

შეიძლება თუ არა, რომ ერთხელაც სამყარო უბრალოდ გაითიშოს ტელევიზორივით?

ზურა ჭიშკარიანის კიბერპანკ რომანი „სწრაფი, ღამისიერი“ ექსპერიმენტული პროზის ნიმუშია, რომელშიც მოვლენები მომავლის თბილისსა და ფაზისში ვითარდება.



ზურა ჭიშკარიანის პირველმა რომანმა „საღეჭი განთიადები“ მიიღო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემია წლის საუკეთესო რომანისათვის (2017) და ლიტერატურული პრემია „საბა“ ნომინაციაში „წლის საუკეთესო დებიუტი“(2018).



სულაკაურის
გამომცემლობა